პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

16 დეკემბერი პარასკევი 2011

№296 (13593) ფასი 80 თეთრი

| განთესილები | განუთესავები |
| --- | --- |
| ბაიერნი (გერმანია) | ნაპოლი (იტალია) |
| ინტერი (იტალია) | ცსკა (რუსეთი) |
| ბენფიკა (პორტუგალია) | ბაზელი (შვეიცარია) |
| რეალი (ესპანეთი) | ლიონი (საფრანგეთი) |
| ჩელსი (ინგლისი) | ლევერკუზენი (გერმანია) |
| არსენალი (ინგლისი) | მარსელი (საფრანგეთი) |
| აპოელ (კვიპროსი) | ზენიტი (რუსეთი) |
| ბარსელონა (ესპანეთი) | მილანი (იტალია) |

## დღეს, 15:00 ნიონში...

# პარასკევია, ევროპა ღელავს: ვინ ვის ჩაუჯდება წილში?



9



უდინეზე-სელტიკი 1:1

# ტკივილია

## რამდენ ხანს არ ეყოლება ბარსას ვილია?



8

# მოდი და გაარჩიე ლიგები...

## ზემოთ აპოელები, ქვემოთ მანჩესტერები

სპორტინგი
ლაციო
ბეშიქთაში
სტოკი
ბილბაო
ზალცბურგი
შალკე
სტიაუა
ტვენტე
ვისლა
ანდერლეხტი
ლოკომოტივი

პაოკ
რუბინი
სტანდარდი
ჰანოვერი
პსვ
ლეგია
მეტალისტი
ალკმაარი
ატლეტიკო
უდინეზე
ბრიუგე
ბრაგა

ჩემპიონთა ლიგიდან დაემატნენ

მანჩესტერ სიტი
ტრაბზონსფორი
მანჩესტერ იუნ.
აიაქსი
ვალენსია
ოლიმპიაკოსი
პორტუ
პლზენი

ევროპის ლიგა

9

ქართული ფეხბურთი

● ინტერვიუ

# გიორგი ჭიაბრიშვილი
# შემდგარი მწვრთნელი ტიტულოვანი მწვრთნელია
## განახლების დრო და მორიგი ნაბიჯი ჩემპიონობისკენ

**როცა ტურის გამორჩეულ მატჩში რომელიმე გუნდი იმარჯვებს, ვცდილობთ, ინტერვიუ იმ ფეხბურთელს ჩამოვართვათ, რომელმაც ამ გამარჯვებაში განსაკუთრებული წილი დაიდო. "ზესტაფონისა" და "დინამოს" შთამბეჭდავ დაპირისპირებაში მასპინძელი გუნდის თითოეულმა წევრმა მაღალ დონეზე ითამაშა, მაგრამ, როცა ჩემპიონობის ერთი კანდიდატი მეორეს 5:1-ს უგებს, ეს, უპირველესად, მწვრთნელის დამსახურებაა. შესაბამისად, "ლელოს" რესპონდენტიც "ზესტაფონის" 32 წლის თავკაცი გიორგი ჭიაბრიშვილია, რომელთან ინტერვიუში "დინამოსთან" მატჩიც შევაფასეთ და სხვა მნიშვნელოვან თემებსაც შევეხეთ.**





გიორგი ჭიაბრიშვილი (მარცხნივ) და მისი ასისტენტი გიორგი ყიფიანი

**- პირველი ტაიმის შემდეგ ელოდით თუ არა, რომ შეხვედრის მიწურულს ტაბლოზე ასეთი ანგარიში ეწერებოდა?**

- გამარჯვების იმედი ნამდვილად მქონდა, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, 5:1-ს ვერ წარმოვიდგენდი. პირველი ტაიმი ამას საერთოდ არ მოასწავებდა, რიგ ეპიზოდებში "დინამო" გვჯობდა კიდეც. შესვენების შემდეგ კი ყველაფერი თავდაყირა დადგა. "დინამო" აირია, ჩემს ფეხბურთელებს კი ყველაფერი გამოსდიოდათ.

**- შესვენებაზე გუნდისთვის განსაკურებული დავალებები ხომ არ მიგიციათ?**

- განსაკუთრებული ნამდვილად არაფერი. მეორე ტაიმშიც იგივე ამოცანები გვქონდა, რაც პირველში. ბიჭებს მხოლოდ ის დავავალე, უფრო მეტი ყურადღებითა და კონცენტრაციით ეთამაშათ.

**- იყო თუ არა ეს საუკეთესო მატჩი თქვენი მთავარი მწვრთნელობის ხანმოკლე პერიოდში?**

- საუკეთესოდ უფრო "ბრიუგესთან" თბილისში ჩატარებულ შეხვედრას მივიჩნევ, რომელშიც "ზესტაფონმა" თითქმის შეუძლებელი შეძლო და ფრედ დაასრულა თამაში, რომელსაც, ერთი შეხედვით, უიმედოდ აგებდა. მართალია, ბელგიური ბარიერი ვერ გადავლახეთ, მაგრამ ძალიან ძლიერ მეტოქესთან თავი არ შეგვირცხვენია. "დინამოსთან" გამარჯვების მნიშვნელობას კი, ბუნებრივია, არ ვაკნინებ. ფსიქოლოგიური და პრაგმატული თვალსაზრისით, ჩემპიონობისკენ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადავდგით, თუმცა მთავარი ბრძოლები, რა თქმა უნდა, გაზაფხულზე გველის.

**- "დინამოს" ასეთი სუსტი თამაში თქვენთვის მოსალოდნელი იყო?**

- რა თქმა უნდა, არ ველოდი, რომ "დინამო" წინააღმდეგობას ვერ გაგვიწევდა, მაგრამ ამ გუნდის შესაძლებლობებზე მხოლოდ ბოლო მატჩით არ უნდა ვიმსჯელოთ. "დინამო" ჩვენს ერთ-ერთ უმთავრეს კონკურენტად რჩება ჩემპიონობისთვის ბრძოლაში.

**- გელა სანაიამ თქვა, რომ საბოლოოდ ჩამოყალიბდით როგორც მთავარი მწვრთნელი. თქვენ როდის იგრძენით ეს მომენტი?**

- ამაზე ჟურნალისტებმა და გულშემატკივრებმა უნდა იმსჯელონ, მე კი ჩემი საქმის კეთებას გავაგრძელებ და მხოლოდ მაშინ მივიჩნევ თავს შემდგარ მწვრთნელად, როცა რაიმე ტიტულს მოვიგებ. საქართველოს ჩემპიონობა უახლოესი ამოცანაა, თუმცა მეც და ჩემს გუნდსაც უფრო ამბიციური და, რაც მთავარია, საფუძვლიანი მიზნები გვაქვს, რაშიც, რასაკვირველია, ევროტურნირებზე წარმატებით ასპარეზობა იგულისხმება.

**- ბევრი აღნიშნავს, რომ თქვენი ხელმძღვანელობით "ზესტაფონი" უფრო აქტიურად უტევს ფლანგებიდან.**

- ფლანგებზე აქტიური თამაშისკენ სიტუაციამ გვიბიძგა. "ზესტაფონი" ყველამ კარგად შეისწავლა და იციან, რომ, თუ მოედნის ცენტრს საგულდაგულოდ გადაგვიკეტავენ, შეტევა გაგვიჭირდება. შესაბამისად, იერიშები გავამრავალფეროვნეთ და ჩვენს არსენალს კიდევ ერთი იარაღი შევმატეთ. ბუნებრივია, მაღალი დონის შემსრულებლების გარეშე ეს არ გამოგვივიდოდა.

**- ვფიქრობ, უკვე შეიძლება, სეზონის პირველი ნახევარიც შევაჯამოთ.**

- ამის გაკეთება უმჯობესი მაშინ იქნება, როცა რუსთავსა და მარტვილში რთულ გასვლებს მოვითავებთ, თუმცა ახლავე შემიძლია იმის თქმა, რომ "ზესტაფონმა" სეზონის პირველი ნახევრისთვის დასახული ამოცანა წარმატებით შეასრულა – ჩემპიონატსაც ლიდერობს და თასისთვის ბრძოლასაც აგრძელებს. ერთადერთი სერიოზული უსიამოვნება, რაც გადავიტანეთ, "დილასთან" შინ განადგურებაა, სხვა მატჩების უმრავლესობაში კი გუნდმა ხარისხიანი ფეხბურთი ითამაშა. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ "ზესტაფონის" ხელმძღვანელობა, თითოეული ფეხბურთელი, მწვრთნელები და კლუბის ყველა თანამშრომელი ერთ მუშტადაა შეკრული და ცოდნასა და ენერგიას არ იშურებენ საერთო წარმატებისთვის.

**- "ზესტაფონის" რამდენიმე ფეხბურთელმა ზესტაფონში ბოლოჯერ ითამაშა.**

- დიახ, დაზუსტებით ცნობილია, რომ გუნდს ნიკა გელაშვილი და ირაკლი ძარია დატოვებენ, აღარაფერს ვიტყვი ბუბა დაუშვილზე. გელაშვილისთვის აშკარად დროულია კარიერის საზღვარგარეთ გაგრძელება, დანარჩენებმაც საკუთარი არჩევანი გააკეთეს და თითოეულ მათგანს მადლობა ეკუთვნის იმისთვის, რაც "ზესტაფონისთვის" გააკეთა.

**- ახალწვეულებზეც ვთქვათ.**

- როგორც იცით, დავით რაჟამაშვილმა და ლევან შარიქაძემ "ზესტაფონთან" კონტრაქტი უკვე გააფორმეს. შარიქაძესა და მის შესაძლებლობებს დიდი ხანია, ვიცნობ, "გაგრაში" ჩემი მწვრთნელობის დროსაც თამაშობდა და მჯერა, რომ საკუთარ სიტყვას "ზესტაფონშიც" იტყვის. ზუსტად ასევე მეიმედება რაჟამაშვილისაც, რომელმაც ამ სეზონში უკვე დაამტკიცა, რომ მაღალი დონის ფეხბურთელია. ჩემთვის საფეხბურთო მონაცემებზე არანაკლებ მნიშვნელოვანი ფეხბურთელის ადამიანური თვისებებია და ამ მხრივ ორივე დადებითი პიროვნებაა, ისევე, როგორც ჩვენი სხვა სავარაუდო ახალწვეულები.

**- რომ არა მძიმე ტრავმა, "ზესტაფონის" ახალწვეულებს შორის, ალბათ, ირაკლი ქობალიაც იქნებოდა.**

- ჯერ კიდევ ტრავმამდე მის თაობაზე "ბაიასთან" მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა და შევთანხმდით, რომ ურთიერთობას ზაფხულში განვაგრძობდით. ზაფხულამდე ირაკლი, ალბათ, მწყობრში ჩადგება და მის საკითხს იმ დროისთვის მივუბრუნდებით.

**- ოვონიკოკოს "ზესტაფონში" გადასვლა უკვე გადაწყვეტილია?**

- მას ჩვენთან კონტრაქტი ჯერ არ გაუფორმებია, მაგრამ მხოლოდ ფორმალობებილაა მოსაგვარებელი. ლეგიონერების მიმართ ჩემი დამოკიდებულება იცით – მათ აყვანას ვერიდები არა უცხოელობის გამო, არამედ იმიტომ, რომ არ ვიცი, აულებენ თუ არა ალღოს ქართულ ფეხბურთს, აეწყობათ თუ არა ურთიერთობა თანაგუნდელებთან და ასე შემდეგ. ოვონიკოკო კი დიდი ხანია, საქართველოშია, ძლიერ თავდამსხმელადაც მიმაჩნია და ისიც ვიცი, რომ კარგი პიროვნებაა. ასე რომ, მას სიამოვნებით ველოდებით და ვიმედოვნებთ, რომ მძიმე ტრავმის შემდეგ ფორმაში დროულად ჩადგება.

**- როგორც ვიცით, "ზესტაფონი" "ბაიადან" გუგუჩიასა და სამუშიას გადაყვანასაც აპირებს.**

- ამ ფეხბურთელებითაც დაინტერესებულნი ვართ, მაგრამ მოლაპარაკებები გრძელდება და წინასწარ ვერაფერს გეტყვით. მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ წასულ ფეხბურთელებს სრულფასოვნად შევცვლით.

**- წასულების სრულფასოვანი შემცვლელი, შესაძლოა, ზურაბ მენთეშაშვილიც აღმოჩნდეს.**

- ამის ძალიან დიდი იმედი მაქვს. ზურა გუნდთან ერთად უკვე სრული დატვირთვით ვარჯიშობს და არ არის გამორიცხული, ახალ წლამდე ერთი ოფიციალური მატჩი მაინც ჩაატაროს. ეს მისთვის უდიდესი ფსიქოლოგიური სტიმული იქნება. არანაკლებ მეიმედება გიორგი ხიდეშელისა, რომელიც ჩვენთან ერთად შეკრებაზე წამოვა და მოედანსაც ახლო მომავალში დაუბრუნდება.

**- ბოლოს ზამთრის მოსამზადებელი ეტაპის გეგმებზე გვითხარით.**

- სეზონის მეორე ნახევრისთვის მზადებას 8 იანვრიდან შევუდგებით და პირველ ეტაპზე აქცენტს ფიზიკურ მომზადებაზე გავაკეთებთ. მირჩევნია, ეს პროცესი ზესტაფონში წარიმართოს, მაგრამ, თუ ამინდებმა ხელი არ შეგვიწყო, კლუბის ხელმძღვანელობა მზად არის, თურქეთში გაგვიშვას. მთავარ შეკრებაზე კი, ტრადიციულად, ესპანეთში გავემგზავრებით, სადაც მარბელას ტურნირში მივიღებთ მონაწილეობას. როგორც გახსოვთ, იქ გასულ ზამთარსაც ვითამაშეთ და ძლიერ გუნდებთან სპარინგით გამოცდილებაც გავიმდიდრეთ. ცნობილია, რომ მარბელაში კიევის "დინამო" და მოსკოვის ცსკა იასპარეზებენ, მოლაპარაკებები მიმდინარეობს სანკტ-პეტერბურგის "ზენიტსა" და პლზენის "ვიქტორიასთან". სხვა კლუბებიც არანაკლებ ძლიერები იქნებიან და მათთან ჭიდილში ყველაზე კარგად დავინახავთ, რომელ კომპონენტებში ვართ ძლიერები და რის გასაუმჯობესებლად დაგვჭირდება ყველაზე ბევრი შრომა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● სამზადისი სამზადისისთვის



# რა ხალხში ტრიალებენ იმერლები!

"სპორტ-ექსპრესის" ინფორმაციით, "მარბელას თასის" ორგანიზატორებმა მონაწილეთა სია დააზუსტეს, რაც ჩვენთვისაც საინტერესო აღმოჩნდა, რადგან ტურნირზე საქართველოს ჩემპიონი "ზესტაფონიც" მიიწვიეს.

კიევის "დინამო", მოსკოვის ცსკა, ყაზანის "რუბინი", სამარის "კრილია სოვეტოვი", ბუქარესტის "რაპიდი", ჩინეთის ჩემპიონი "გუანჩჟოუ", პლუს ჩვენი "ზესტაფონი" - ესპანელებმა მოსამზადებელი ეტაპის ერთ-ერთ ცნობილ ტურნირში მონაწილეობაზე თანხმობა ამ კლუბებისგან მიიღეს. ესპანეთის საკურორტო ქალაქი გათამაშებას 3-დან 9 თებერვლამდე უმასპინძლებს.

შეგახსენებთ, რომ "ზესტაფონმა" წინა სეზონშიც ითამაშა "მარბელას თასზე": პლოვდივის "ლოკომოტივი" 3:0 დაამარცხა, კიევის "დინამოსთან" 2:2 ითამაშა და მხოლოდ პენალტების სერიაში დამარცხდა 4:5, პრაღის "სპარტასთან" კი 0:5 წააგო.

**მერაბ მამულაშვილი**

● მწვრთნელი

# სანაია კიევიდან პროლიცენზიას ჩამოიტანს

ყველაზე მაღალი დონის სამწვრთნელო სერთიფიკატს — პროლიცენზიას — სულ რამდენიმე ქართველი სპეციალისტი ფლობს და მალე მათ რიცხვს **გელა სანაია** შეუერთდება.

როგორც იცით, ახალგაზრდა მწვრთნელი ამჟამად უმუშევარია, თუმცა დროს უქმად არ კარგავს და უკვე საკმაო ხანია, პროლიცენზიის მისაღებად შესაბამის პროცედურებს ასრულებს – უკვე რამდენჯერმე იყო კიევში, სადაც კურსები გაიარა და ლიცენზიის მიღების დროც დადგა.

კვირის ბოლოს სანაია უკრაინის დედაქალაქს სადიპლომო ნამუშევრის დასაცავად ესტუმრება და დიდი ალბათობით, 24 დეკემბერს თბილისში პროლიცენზიით ჩამოვა.

იმედია, მისი საქმეში გამოყენება სანაიას სულ მალე დასჭირდება. უსამართლობაა, მისი კვალიფიკაციის მწვრთნელი ამდენი ხანი შინ იჯდეს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com

ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:30

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

# ხომ არ რისკავ, მაქს?

## ქვილითაიას პასუხი ამ კითხვაზე ტორპედოსთან გახანგრძლივებული კონტრაქტია



**ბოლნისის "სიონთან" შეხვედრის შემდეგ ქუთაისის „ტორპედომ" მეკარე მაქსიმე ქვილითაიასთან ახალი 2-წლიანი კონტრაქტი გააფორმა.**

*"26 წლის ფეხბურთელს მოქმედი ხელშეკრულება „ტორპედოსთან" 2012 წლის ივნისში უმთავრდებოდა. მართალია, ქვილითაია იშვიათად თამაშობს „ტორპედოს" ძირითად შემადგენლობაში, მაგრამ მოედანზე ყოფნისას საიმედოობით გამოირჩევა. ამის მაგალითად „სიონთან" გამართული მატჩიც შეიძლება დავასახელოთ, რომელიც მაქსიმესთვის პირველი იყო 23-ე ეროვნულ ჩემპიონატში. ქვილითაიამ თასის გათამაშებაში „ტორპედოს" კარი ოთხჯერ დაიცვა"* - იუწყებოდა კლუბის ვებგვერდი.

**მაქსიმე ქვილითაია ორი წლის წინანდელ ჩემპიონატში ერთ-ერთ საუკეთესო მეკარედ მიიჩნეოდა და ექტორ რაულ კუპერი ეროვნულ ნაკრებშიც იწვევდა, მაგრამ "ტორპედოში" გადასვლის შემდეგ ძირითადში ადგილი დაკარგა, მისი კონკურენტი ომარ მიგინეშვილი კი კარიერაში საუკეთესო სეზონს ატარებს და გია გეგუჩაძის განვრთნილებში ერთ-ერთი საუკეთესოა.**

ქვილითაიას სწორედ ამ ამბებზე ველაპარაკეთ.

**- თბილისის "ლოკომოტივში" თამაშისას ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე იყავი. "ტორპედოში" საქმეები ცუდად რატომ წაგივიდა?**

- როდესაც ქუთაისში გადავედი, რამაზ მუმლაძე თავიდან მათამაშებდა, მაგრამ დაოჯახების შემდეგ ვითარება შეიცვალა. არ დავმალავ, ჩემი ბრალიც არის, რადგან შანსი ვერ გამოვიყენე, რალაცები ამერია. თავიდან კარგად კი ვიდექი, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ჩემში ბოლომდე დარწმუნებულები არ იყვნენ და ამან ძალიან ცუდად იმოქმედა. ეტყობა, თავდაჯერებულობა ამის გამო დავკარგე.

მერე კი სულაც სათადარიგოთა შორის აღმოვჩნდი, მაგრამ ჩემს შანსს ველოდები და შევეცდები დავამტკიცო, რომ ჩავარდნა დავძლიე. დანარჩენი კი მწვრთნელებზეა დამოკიდებული. ისე, კონკურენცია ორივე მეკარეს წაგვადგება, სპორტულადაც გავიზრდებით და ფსიქოლოგიურადაც გავძლიერდებით.

**- და მაინც, ახლა "ტორპედოს" სათადარიგო მეკარე ხარ და ახალი ორწლიანი კონტრაქტის გაფორმება სარისკო ჩანდა.**

- კი არ ვრისკავ, „ტორპედოს" მომავლის მჯერა და დარჩენა მსურდა. ძალიან მიხარია, სწორედ ამ გუნდში რომ მოვხვდი, რადგან დიდი ტრადიციების ქართული კლუბია. "ტორპედოს" ახლაც დიდი გეგმები და ამბიციები აქვს. ვფიქრობ, ევროპის ლიგაზე გასვლის კარგი შანსი გვაქვს – გეგუჩაძე ერთადერთი მწვრთნელია საქართველოში, რომელიც გუნდს საფუძვლიანად აშენებს და ფეხბურთელს შრომას არ უკარგავს.

ასე რომ, ნაჩქარევ გადაწყვეტილებას მოვერიდე და წასვლაზე არც მიფიქრია. თამაშის შანსი კი სამომავლოდ აუცილებლად გამიჩნდება, რადგან მაღალი მიზნებისთვის მებრძოლი გუნდი ბევრს თამაშობს და ორივე მეკარე იტვირთება – ეროვნული ჩემპიონატის გარდა, თასისთვისაც ვიბრძვით და, იმედია, ევროთასებზეც გავალთ.

**- არადა, იყო ლაპარაკი, რომ "ზესტაფონსა" და ბათუმის "დინამოში" გიწვევდნენ.**

- ეს შემოთავაზებები ადრე მივიღე, ახლა კი არავინ შემხმიანებია. ასეც რომ ყოფილიყო, მაინც დავრჩებოდი, რადგან გუნდის ხელმძღვანელები და მწვრთნელები ჩემ მიმართ კარგად განეწყვნენ და მეც მსურს, "ტორპედოს" გვერდში დავუდგე. სადაც კარგად ვარ, იქ დარჩენა მირჩევნია.

**– ისიც ვთქვათ, რომ შენი კონკურენტი ომარ მიგინეიშვილი ჩინებულ ფორმაშია.**

- ეს საკამათოც არ არის. კონკურენტები კი ვართ, მაგრამ ვმეგობრობთ და ომარს დიდ პატივს ვცემ, კარგი მეკარე და ადამიანია. მან თავისი შანსი მშვენივრად გამოიყენა, რადგან მშრომელია, მონდომებული და მაღალი კლასის მეკარედ ყალიბდება. მიმაჩნია, რომ საქართველოში ერთ-ერთი გამორჩეულია და, ჩემი აზრით, შანსი თუ მიეცემა, თავს ნაკრებშიც არ შეირცხვენს.

**მერაბ მამულაშვილი**

სიტუაცია

# აყალიბებს თუ არა თავდაცვის სამინისტრო საფეხბურთო გუნდს?

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო კალათბურთის და რაგბის კლუბებს ჰპატრონობს და საკმაოდ წარმატებითაც. **ბაჩო ახალაიას** უწყების პატრონაჟით 2011 წლის მარტის ბოლოს ჩამოყალიბდა მორაგბეთა გუნდი „არმია" და დაარსების წელსვე დიდ წარმატებას მიაღწია: გახდა საქართველოს ჩემპიონი და თასის მფლობელი, გაიმარჯვა შვიდკაცა რაგბის ჩემპიონატში.

საკალათბურთო კლუბი "არმია" კი 2010 წელს დაარსდა და ამ მოკლე დროში უკვე სამი თასის მფლობელი გახდა: 2011 წლის თებერვალში საქართველოს თასს დაეუფლა, მაისში - სუპერლიგის თასს, მაისის ბოლოს კი - ოთარ ქორქიას სახელობის სუპერთასს; გახდა ქვეყნის ჩემპიონი და კარგახნიანი პაუზის შემდეგ ევროთასებზე (ევროჩელენჯზე) პირველად წარადგინა საქართველო.

მოკლედ, "არმია" ორივე სახეობაში საკმაოდ წარმატებული და კარგად დაფინანსებული პროექტი აღმოჩნდა. ამას კი იმიტომ ვიხსენებთ, რომ ყოველივეს ლოგიკური გაგრძელება უნდა გახდეს საფეხბურთო "არმიას" ჩამოყალიბება. ამაზე თავდაცვის სამინისტროში ფიქრობენ - ყოველ შემთხვევაში, საფეხბურთო სამყაროსთვის ცნობილია, რომ თავდაცვის სამინისტრო კლუბის დაფინანსებას აპირებს.



თავდაპირველად ლაპარაკი იყო "არმიას" "გაგრასთან" გაერთიანებაზე. ეს გუნდი ჩვენს ჩემპიონატში რიგითი მნიშვნელობისა არ არის, თავდაცვის სამინისტროს კი საკალათბურთო და სარაგბო კლუბები ნულიდან არ შეუქმნია, ორივე გარკვეულ საფუძველს ემყარებოდა: მორაგბეები "უნივერსიტეტს" გაუერთიანდნენ, კალათბურთელები კი – რუსთავის "აზოტს".

„გაგრაში" თავდაცვის სამინისტროს ინტერესს ადასტურებენ, მაგრამ ამავე დროს განგვიმარტეს, რომ კლუბების გაერთიანება ერთ-ერთი ვარიანტი იყო და არა გადაწყვეტილი პროექტი, კონკრეტული მოლაპარაკება კი მხარეებს არ დაუწყიათ. მეტიც, ბოლო დროს სამინისტრიდან კლუბს არავინ შეხმიანებია.

ერთ-ერთი ვერსიით, სამინისტრომ, შესაძლოა, აიყვანოს არა კერძო "გაგრა", არამედ საბიუჯეტო გუნდი, მაგალითად, ცხინვალის "სპარტაკი" (რომელიც ხაშურში გადასვლას და იქაური სტადიონის განახლებას აპირებს) ან ბოლნისის "სიონი". "სპარტაკის" პრეზიდენტმა **დიმიტრი სანაკოევმა** ეს ხმები უარყო, ასეთივე პასუხი მივიღეთ "სიონისგანაც".

მაშ, რამდენად რეალურია ეს ინფორმაციები? ცნობების გადამოწმება თავდაცვის სამინისტროში ვცადეთ, მაგრამ ამ საკითხზე ლაპარაკს ჯერ ერიდებიან. სამინისტროს სპორტულ სამსახურს ცნობილი პაროდისტი, ფეხბურთის დიდი გულშემატკივარი **ბესო ბერულაშვილი** ხელმძღვანელობს, რომელმაც ორაზროვანი პასუხი გაგვცა: *"საფეხბურთო კლუბ "არმიას" ჩამოყალიბებაზე ჯერ ლაპარაკი არ არის და, ცხადია, "გაგრასაც" არ შეუერთდება. თუ სამინისტრო საკუთარი გუნდის ჩამოყალიბებას გადაწყვეტს, ის აუცილებლად ცალკე დაარსდება".*

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერები



ლადო დვალიშვილი (№9)

# ჩვენებურები ჯგუფში ჩარჩნენ

ოთხშაბათს უეფას ევროპის ლიგის ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურის მატჩები გაიმართა და ითამაშეს ქართველებმაც. გრაცის "შტურმს" პლეი ოფში გასვლის შანსი დაკარგული ჰქონდა და უმოტივაციო მატჩში შინ ათენის აეკ-თან 1:3 დამარცხდა. ავსტრიელთა შემადგენლობაში **გიორგი ფოფხაძემ** სრულად ითამაშა.

მეთექვსმეტედფინალში გასვლა შეეძლო ჰაიფას "მაქაბის", მაგრამ საკუთარ მოედანზე "შალკესთან" 0:3 განადგურდა და ჯგუფში ჩარჩა. **ლადო დვალიშვილი** "მაქაბის" ძირითად შემადგენლობაში იყო და 56-ე წუთზე შეცვალეს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# ღონღაძე: სიმპათიაზე მეტი

## ქართველი ლატვიელი მწვრთნელების რჩეულიცაა

**მამუკა ღონღაძე** ლატვიაში კიდევ ერთხელ აღიარეს. 21 გოლით ვირსლიგის ბომბარდირთა დავაში მეორე ადგილზე გასული "დაუგავას" თავდამსხმელი პირველად პოპულარულმა გამოცემა "სპორტ-ცენტრმა" დაასახელა წლის სიმბოლურ ნაკრებში.

ჩემპიონატის დასრულებიდან თითქმის ერთი თვის შემდეგ კი სეზონის 22 გამორჩეული მოთამაშის სია ლატვიის ფეხბურთის ფედერაციის მწვრთნელთა საბჭომ გამოაქვეყნა.

*"ჩვენ არ ვაპირებთ მედიასთან პოლემიკას, მაგრამ ფაქტია, რომ ბოლო დროს ლამის ყველა მედიასაშუალება საკუთარ სიმბოლურ ნაკრებს ასახელებს. ხშირ შემთხვევაში ეს პირად სიმპათია-ანტიპათიას ეფუძნება. ამიტომაც ჩვენ ვაქვეყნებთ სიას, რომელიც სპეციალისტებმა შეადგინეს"* – წერს „დაუგავას" საინფორმაციო-გასართობი პორტალის ჟურნალისტი.

"დაუგავას" ქართველი საუკეთესო მარჯვენა თავდამსხმელად დასახელდა, მეორე კი "ელგავას" ფორვარდი **ვლადისლავ კოზლოვი** იყო.

ასე რომ, ღონღაძე მედიის სიმპათიითაც სარგებლობს და სპეციალისტებიც აღიარებენ. სწორედ ამიტომ აღმოჩნდა სეზონის დასრულების შემდეგ უკრაინის ბევრად ძლიერი ჩემპიონატის ერთ-ერთ კლუბში – ამჟამად 26 წლის თავდამსხმელი ლუგანსკის "ზარიაში" ვარჯიშობს, კონტრაქტს კი, სავარაუდოდ, იანვრის დასაწყისში გააფორმებს.

**მერაბ მამულაშვილი**



ჯაბა კანკავა

# მოიჯარე კმაყოფილია: ქართველებს ცხვირი არ ჩამოუშვიათ

უკრაინის პრემიერლიგის საშემოდგომო ეტაპი კრივოი როგის "კრივბასმა" მეხუთე ადგილით დაასრულა, რაც მუდამ გადარჩენისთვის მებრძოლი გუნდისთვის მშვენიერი შედეგია.

კრივოიროგელთა შემადგენლობაში დნეპროპეტროვსკის "დნიპროდან" იჯარით გადაყვანილი საქართველოს ნაკრების ორი ფეხბურთელი თამაშობს - **უჩა ლობჟანიძე** და **ჯაბა კანკავა**. უკრაინულ "სპორტ-ექსპრესთან" ინტერვიუში "კრივბასის" მთავარმა მწვრთნელმა **იური მაქსიმოვმა** მათზეც ილაპარაკა.

*"ველოდი თუ არა, რომ ბოლო ორ სეზონში ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის ბრძოლის შემდეგ გუნდი მეხუთე ადგილზე იქნებოდა? ამის იმედი მქონდა, რადგან წლეულს "კრივბასში" კვალიფიციური მოთამაშეები დავიმატეთ – ლისენკო, სამოდინი, ლობჟანიძე, მოგვიანებით კანკავაც შემოგვიერთდა. თითოეული მათგანი ნაღდი ფეხბურთელია და გუნდი უფრო გააძლიერეს.*

*შემადგენლობაში ბევრ იჯარით აყვანილს ვათამაშებთ. კმაყოფილი ვარ თუ არა მათი თამაშით? რა თქმა უნდა. როდესაც ფეხბურთელები იჯარით სხვა კლუბში გადადიან, უმრავლესობა ცხვირს ჩამოუშვებს ხოლმე. ჩვენთან საპირისპირო მოხდა: ამ ბიჭებს სურთ რაღაცის დამტკიცება და ეს კარგადაც გამოსდით. მაგრამ "დნიპროს" ნებისმიერ დროს შეუძლია მათი უკან გაწვევა"* – ამბობს "კრივბასის" მთავარი მწვრთნელი.

საინტერესო აღმოჩნდა ამ წერილის ერთ-ერთი კომენტარი – ლობჟანიძის დაბრუნებით "დნიპროს" მთავარი მწვრთნელი **ხუანდე რამოსი** საკუთარ შეცდომას აღიარებს, ამიტომ, სანამ ესპანელი დნეპროპეტროვსკში მუშაობს, ეს გამორიცხული იქნებაო.

**მერაბ მამულაშვილი**

# კომფორტის, კვალიფიკაციის და კლასის!..

**გამოტოვებული** კი არა, მართლაც განსაკუთრებული უნდა ვუწოდოთ XV ტურს; თანაც ამ ტურში ხელმოცარული გუნდების მწვრთნელებსა თუ ხელმძღვანელებს, ალბათ, ვერც მსაჯებთან ექნებათ პრეტენზია და ვერც... უამინდობასთან - ხუთივე მატჩი ხომ დეკემბრის კვალობაზე აშკარად „მისალებ“ კლიმატურ პირობებში ჩატარდა. თუმცა, ამ ტურის შემდეგ ამა თუ იმ გუნდში აშკარად სხვადასხვა განწყობა რომ იქნება, ფაქტია და ყოველივე ზემოთქმულის დამადასტურებლად სატურნირო ცხრილიც გამოდგება. თანაც, როგორც ვივარაუდეთ, ეგრეთ წოდებული, ვირტუალური ცხრილი „თავდაყირა“ არ დამდგარა, სამაგიეროდ გარკვეული (თანაც, არცთუ უმნიშვნელო) გადაადგილებები კი ნამდვილად მოხდა...

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გაბ | ბურთები გაშ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ზესტაფონი | 16 | 12 | 2 | 2 | 35 | 15 | 38 |
| 2 | ტორპედო | 17 | 12 | 1 | 4 | 25 | 12 | 37 |
| 3 | დინამო | 17 | 10 | 3 | 4 | 33 | 20 | 33 |
| 4 | მეტალურგი | 17 | 8 | 5 | 4 | 21 | 18 | 29 |
| 5 | მერანი | 16 | 8 | 2 | 6 | 20 | 18 | 26 |
| 6 | ვიტ ჯორჯია | 17 | 6 | 5 | 6 | 21 | 21 | 23 |
| 7 | ბაია | 17 | 7 | 2 | 8 | 18 | 19 | 23 |
| 8 | სპარტაკი | 17 | 5 | 4 | 8 | 16 | 24 | 19 |
| 9 | ბაგრა | 17 | 5 | 3 | 9 | 17 | 23 | 18 |
| 10 | დილა | 17 | 4 | 3 | 10 | 20 | 25 | 15 |
| 11 | კოლხეთი | 17 | 3 | 6 | 8 | 14 | 24 | 15 |
| 12 | სიონი | 17 | 1 | 4 | 12 | 11 | 32 | 7 |

## ვირტუალური მდგომარეობა 15 დეკემბრისთვის

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გაბ | ბურთები გაშ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მეტალურგი | 11 | 7 | 2 | 2 | 14 | 9 | 23 |
| 2 | ზესტაფონი | 9 | 7 | 1 | 1 | 23 | 8 | 22 |
| 3 | ტორპედო | 11 | 6 | 1 | 4 | 12 | 9 | 19 |
| 4 | დინამო | 11 | 5 | 2 | 4 | 19 | 18 | 17 |
| 5 | მერანი | 10 | 5 | 1 | 4 | 13 | 10 | 16 |
| 6 | ვიტ ჯორჯია | 11 | 2 | 3 | 6 | 6 | 14 | 9 |
| 7 | სპარტაკი | 11 | 2 | 1 | 8 | 9 | 20 | 7 |
| 8 | ბაია | 10 | 2 | 1 | 7 | 7 | 17 | 7 |

## იღბლიანი ლიდერი

ამ ვირტუალურ ცხრილში ლიდერობა კვლავაც შეინარჩუნა „მეტალურგმა“ — **კობა ჟორჟიკაშვილის** გუნდს ცოტა იღბალმაც გადმოხედა, თორემ ზედიზედ მეოთხე მოუგებელ მატჩს „მიითვლიდა“. არადა, ეროვნული ნაკრების ტექნიკურ ცენტრ „ბასაზე“ ჩატარებული ეს შეხვედრა რუსთაველთათვის იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ მეტოქეც საუკეთესო რვა გუნდში მოხვედრის კანდიდატია. თანაც, „მეტალურგს“ სერიოზულზე მეტი რომ ჰქვია, ისეთი საკადრო პრობლემები ჰქონდა: სხვადასხვა მიზეზის გამო „სპარტაკის“ წინააღმდეგ ვერ ითამაშეს **ლაშა ჯაფარიძემ, ირაკლი მოდებაძემ, გიორგი სეთურიძემ** და **ალექსანდრე კვახაძემ.** ამის გამოც იყო, რუსთაველთა განაცხადი „სრულად“ რომ ვერ შეივსო და მარჯვენა მცველადაც ნომინალური საყრდენი, 22 წლის **გიორგი გავაშელიშვილი** რომ ვიხილეთ. ასეთი საკადრო პრობლემების მიუხედავად, „მეტალურგმა“ პირველ ტაიმში მეტოქეზე უკეთესი შთაბეჭდილება დატოვა, თუმცა რუსთაველები ძირითადად აქცენტს შორი თუ საშუალო მანძილიდან დარტყმებზე აკეთებდნენ (განსაკუთრებით **ირაკლი მაისურაძე** აქტიურობდა); აი, მეორე ტაიმში კი თამაში გათანაბრდა, მაგრამ რასაც სახიფათო მომენტი ჰქვია, ბოლო წუთებამდე მხოლოდ ორჯერ ვნახეთ და ორივეჯერ **გიორგი მიქაბერიძის** აქტიურობით; თუმცა, „მეტალურგის“ 23 წლის შემტევის ორივე მცდელობას „სპარტაკის“ 23 წლის მეკარემ **ლაშა ძაგანიამ** ჩინებული თამაში „დაუპირისპირა“. და აი, მაშინ, როცა მატჩი, ერთი შეხედვით, ლოგიკური საყაიმო ანგარიშით უნდა დამთავრებულიყო, „მეტალურგისთვის“ მართლაც შეუცვლელი და „შეუმჩნეველი“ ფეხბურთელის, 27 წლის **ლუკა რაზმაძის** დარტყმას მცირე რიკოშეტი მოჰყვა და ბურთიც ორიენტაციადაკარგული ძაგანიას კარში შეგორდა! სხვათა შორის, „სპარტაკს“ მაინც შეეძლო ამ მატჩში ქულის მოპოვება, მაგრამ ბოლო შტურმი შედეგიანად ვერ დაასრულა. ისე, ამ მატჩში საინტერესო კიდევ ის იყო, რომ მთავარი არბიტრის რამდენიმე გადაწყვეტილება, რბილად რომ ვთქვათ, საკამათოს წააგავდა; თანაც, არბიტრის ქმედებით ხან ერთი გუნდი იყო უკმაყოფილო, ხან — მეორე...

## ვეტერინარული გოლთაცვენა

ჯერ კიდევ ორი ტურის წინ „ვიტ ჯორჯიას“ ასპარეზობაზე იმის თქმაც შეიძლებოდა, რომ ამ ახალგაზრდულ გუნდს არცთუ სახარბიელო პერიოდი აქვსო. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, კონკურენტები ქულებს აგროვებდნენ, **ზურაბ ბერიძის** ახალგაზრდული გუნდი კი, ცოტა არ იყოს, საუკეთესო რვა გუნდში ყოფნა-არყოფნის ზღვარზე დადგა. და აი, ზედიზედ ორი გამარჯვებით „ვეტერინარებმა“ სატურნირო პოზიციები მკვეთრად გაიუმჯობესეს და თუ რაიმე „გაუთვალისწინებელი“ არ მოხდა, საუკეთესო რვა გუნდშიც უნდა მოხვდნენ. განსაკუთრებით აღსანიშნავი და თვალშისაცემი კი „ვეტერინართა“ ბოლოდროინდელი შედეგიანობაა: უკანასკნელ ორ ტურში გუნდმა მეტოქეთა კარში 8 გოლი გაიტანა! ჰო, ჯერ იყო და, „ბაიას“ მოუგეს დიდი ანგარიშით (4:0), ახლა კი „სიონი“ დაამარცხეს არანაკლებ შთამბეჭდავი სხვაობით (4:1). აქვე, ბარემ ისიც აღვნიშნოთ, რომ „ვიტ ჯორჯიამ“ ოთხ-ოთხი ბურთი ზედიზედ ორ მატჩში უკანასკნელად 2008-09 წლების სეზონში გაიტანა, — შეგახსენებთ, რომ **რამაზ მუმლაძის** ხელმძღვანელობით მოასპარეზე „ვეტერინარები“ მაშინ ჩემპიონები გახდნენ. თუმცა, ორი-სამი წლის წინანდელს და ახლანდელ „ვიტ ჯორჯიას“ შორის საკმარისზე მეტი სხვაობაა, ბოლოს და ბოლოს, კონტიგენტიც განსხვავებულია და კლუბის ამბიცია-მიზნებიც; თუმცა, ყველაფრის მიუხედავად, ასეთი შედეგიანი თამაშით ამ გუნდმა მართლაც მშვენიერი სიურპრიზი შემოგვთავაზა და ცალკეული ფეხბურთელებიც ხომ ასევე აღნიშვნას იმსახურებენ. წინა ტურში თუ 22 წლის **გიორგი კორიფაძემ** გამოიჩინა თავი და „ბაიას“ კარში სამი გოლი გაიტანა, ამჯერად „ჰეთ თრიქი“ 23 წლის **ბესიკ ჩიმაკაძემ** შეასრულა! სხვათა შორის, „სიონთან“ მატჩში კორიფაძის გარჯაც არანაკლებ შექებას იმსახურებს — ერთ მატჩში სამი საგოლე პასი, დაგვეთანხმებით, პატარა ამბავი არ უნდა იყოს...

## საჩემპიონო განაცხადი

„ჩვეულებრივ“ ცხრილში პირველ ადგილზე ყოფნა და მეტოქეებთან შედარებით ერთით ნაკლები ჩატარებული მატჩი, „ვირტუალურ“ ცხრილში მეორე ადგილზე ყოფნა და კონკურენტებთან ორით ნაკლები ჩატარებული მატჩი, — დღესდღეობით ყველაზე კომფორტულ სიტუაციაში „ზესტაფონი“ რომ იმყოფება, ამას ბევრი მტკიცება არ სჭირდება **(იხილეთ ორივე ცხრილი)**; თუმცა, მხოლოდ ცხრილებსა თუ ციფრებში როდია საქმე: თასზეც და პირველობაზეც „ზესტაფონი“ ისეთ თამაშს უჩვენებს, წესითა და რიგით, მეტოქეთა... ქომაგებისგანაც ეკუთვნის კომპლიმენტები! ტურისა და, ალბათ, პირველი ეტაპის ცენტრალურ დაპირისპირებას „ზესტაფონსა“ და „დინამოს“ შორის ტელევიზიის საშუალებით თვალს ბევრი მიადევნებდა და ამ მართლაც გამორჩეული შეხვედრის პერიპეტიებზე დაწვრილებით აღარ ვისაუბრებთ; არც იმ ორ „უცნაურ“ ტაიმზე: პირველში რომ დინამოელები მძლავრობდნენ, მეორეში კი, მასპინძლებმა გაილაღეს!

...როცა ერთმანეთს ჩემპიონობის ორი ფავორიტი ხვდება, წინასამატჩო პროგნოზის გაკეთებას აზრი არა აქვს; მით უფრო, რომ ორივე გუნდის მწვრთნელებმა, გადატვირთული კალენდრიდან გამომდინარე, წინა ტურში თავიანთი გუნდის შემადგენლობებში როტაციაც მოახდინეს და წამყვან ფეხბურთელებს დასვენების საშუალებაც მისცეს. ამის მიუხედავად, მართლაც წარმოუდგენლად გვეჩვენებოდა მოვლენების ისეთი განვითარება, ერთი გუნდი მეორეს... ასეთი სხვაობით თუ დაამარცხებდა. კი, ბატონო — ერთიორჯერ ადრეც მომხდარა, როცა „ზესტაფონს“ ან „დინამოს“ ერთმანეთში ჩატარებულ მატჩში ოთხი ბურთი გაუტანიათ, მაგრამ ასეთი უპირატესობა რომ ჰქონოდა რომელიმეს, რალაც ვერ გაგვიხსენებია! ჰო, „ზესტაფონმა“ მეორე ტაიმში, როგორც იტყვიან, წალეკა მეტოქე და ერთიმეორეზე ეფექტური და გააზრებული შეტევები დაატეხა თავს! კიდევ ვიმეორებთ: ამ მატჩის დეტალურ აღწერას აღარ შევუდგებით, უბრალოდ, მხოლოდ იმას დავძენთ, რომ ასეთი შთამბეჭდავი გამარჯვებით „ზესტაფონმა“ ჯერ კიდევ დეკემბერში გააკეთა... საჩემპიონო განაცხადი! იმაზე ხომ, საერთოდ, ალარაფერს ვამბობთ, რომ საქართველოს ჩემპიონატში დღესდღეობით ყველაზე სანახაობრივ ფეხბურთს სწორედ „ზესტაფონი“ უჩვენებს; სხვათა შორის, ქვემოთ მოყვანილი ორი ფაქტორიც არ უნდა იყოს ვინმესთვის საკამათო: ჯერ ერთი, ამ მატჩმა კიდევ ერთხელ დაგვანახა ყველას, რომ „ზესტაფონში“ ბევრად უფრო კვალიფიციური ფეხბურთელები (გნებავთ, შემსრულებლები) თამაშობენ, ვიდრე „დინამოში“; ამას გარდა, თვალშისაცემი იყო სამწვრთნელო „დუელიც“: ახალგაზრდა სპეციალისტმა **გიორგი ჭიაბრიშვილმა** თავის ესპანელ კოლეგას აშკარა უპირატესობით აჯობა!

## ყურადსაღები სტატისტიკა

როცა გუნდი ასეთ პრინციპულ მატჩში ოთხბურთიანი სხვაობით მარცხდება, წაგების მიზეზ(ებ)ის ძებნაა საჭირო; მით უფრო, რომ ლაპარაკია „დინამოზე“ — საქართველოს ყველაზე ტიტულიან კლუბსა და ამ სეზონის დაწყებამდე ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტად შერაცხილ გუნდზე. შორს ვართ იმ აზრისგან, რომ „დინამოს“ ფიასკო მხოლოდ და მხოლოდ ერთი პიროვნების (ამ შემთხვევაში, რალა თქმა უნდა, გუნდის მთავარ მწვრთნელს ვგულისხმობთ) ბრალია; თუმცა, **ალექს გარსიას** სასარგებლოდ ძალიან, ძალიან ბევრი რამ არ ხდება და მოდი, ჯერ მხოლოდ სატურნირო ცხრილ(ებ)ს გადავხედოთ. „ჩვეულებრივში“ მესამე ადგილზე ყოფნა და ლიდერთან ხუთქულიანი ჩამორჩენა კიდევ არაფერია იმასთან შედარებით, რაც „ვირტუალურში“ ხდება: „დინამო“ იქ უკვე მეოთხე ადგილამდე ჩამოქვეითდა და იმავე „ზესტაფონსა“ და „მეტალურგს“, შესაბამისად, ხუთი და ექვსი ქულით ჩამორჩება. მაგრამ, ნუ დაგვავიწყდება, რომ „ზესტაფონს“ ორით ნაკლები მატჩი აქვს ჩატარებული და იმის ალბათობაც არსებობს, რომ ზამთრის პაუზამდე „ზესტაფონსა“ და „დინამოს“ შორის ქულათა სხვაობამ (ვირტუალურ ცხრილში) 8 ან 11 ქულა შეადგინოს!

...ალექს გარსია ვერც უშუალო კონკურენტებთან ნაჩვენები შედეგებით მოიწონებს თავს: „ზესტაფონთან“ ერთი მატჩი ფრედ ითამაშა და მეორეში სასტიკად განადგურდა, „მეტალურგთან“ საშინაო შეხვედრა წააგო, „ტორპედოსთან“ სტუმრად წააგო და შინ მოიგო; ანუ, ამ ხუთი პრინციპული შეხვედრიდან მხოლოდ ერთის მოგება შეძლო, რაც, დაგვეთანხმებით, დიდი ვერაფერი შედეგია ჩემპიონობისათვის მებრძოლი გუნდისათვის. ცალკე თემაა ფეხბურთელების შერჩევა-სელექცია ჩვენს ყველაზე ტიტულიან გუნდში, — რა თქმა უნდა, საკადრო პრობლემებიც (განსაკუთრებით, დაცვაში) გასათვალისწინებელია, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ „დინამოს“ ზოგიერთი ფეხბურთელის ტექნიკურ-ტაქტიკური განსწავლულობა, რბილად რომ ვთქვათ, უკეთესის შთაბეჭდილებას უნდა ტოვებდეს...

დაბოლოს, ალექს გარსიასათვის არცთუ სასიამოვნო სტატისტიკაზეც: საქართველოს ჩემპიონატების ისტორიაში „ზესტაფონმა“ პირველად შეძლო „დინამოს“ კარში 5 გოლის გატანა; საერთოდ კი, „დინამომ“ ხუთი ბურთი უკანასკნელად 2004 წლის 25 ოქტომბერს გაუშვა: ავლაბარში, სკა-ს სტადიონზე, **გიორგი დევდარიანის** „თბილისმა“ 5:0 მოუგო ჩვენს ყველაზე ტიტულიან გუნდს. უცნაური დამთხვევაა, მაგრამ ფაქტია — დინამოელთა კარში მაშინაც ხუთ სხვადასხვა ფეხბურთელს გაჰქონდა გოლები...

*P.S. 2009 წლის 29 აგვისტოს „ზესტაფონმა“ 4:1 მოუგო თბილისის „დინამოს“, - აი, აქამდე ეს ითვლებოდა იმერული კლუბისთვის სარეკორდო გამარჯვებად პრინციპულ მეტოქესთან. თუმცა, ამ შემთხვევაში ორი წლისწინანდელ მატჩს სხვა რამის გამო ვიხსენებთ, უფრო ზუსტად, იმდროინდელი და ახლანდელი შემადგენლობების შედარება გვინდა. ისე, მართლაც საინტერესო ფაქტია: „ზესტაფონის“ დღევანდელ შემადგენლობაში 8 ფეხბურთელია (**ჯაბა დვალი, ზაალ ელიავა, ნიკა გელაშვილი, შოთა გრიგალაშვილი, ირაკლი ძარია, თორნიკე აფციაური, ალექსი ბენაშვილი, გიორგი ონიანი**), ორი წლის წინაც რომ მონაწილეობდა ფავორიტთა დაპირისპირებაში, „დინამოს“ კი, მხოლოდ და მხოლოდ, **გიორგი ლორია** შემორჩა; ჰოდა, ყოველ ნახევარ წელიწადში „ახალი გუნდის კეთებას“ კი რა შედეგ(ებ)ი მოაქვს, ამას „ჩვეულებრივი“ და „ვირტუალური“ ცხრილები მოწმობენ...*

**გია ტუხაშვილი**





ზესტაფონი-დინამო 5:1 ფოტო: www.fcdianmo.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

● რასიზმი





# სუარესის და ტერის საქმეები

ბოლოორი დღეა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციაში განაახლეს „ლივერპულის“ ურუგვაელი თავდამსხმელის, 24 წლის **ლუის სუარესისა** და „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფრანგი მცველის, 30 წლის **პატრის ევრას** კონფლიქტის გარჩევა. ამბობენ, ვერდიქტს 48 საათში გამოიტანენო. მოკლედ შეგახსენებთ საქმის არსს: 15 ოქტომბერს, „ენფილდ როუდზე“, „ლივერპულისა“ და „მანჩესტერ იუნაიტედის“ 1:1 დამთავრებული შეხვედრის შემდეგ ევრამ იჩივლა, რომ სუარესმა ათჯერ მაინც მიაყენა რასობრივი შეურაცხყოფა. თუ დამტკიცდება, რომ ეს მართლა ასე მოხდა, ურუგვაელს დისკვალიფიკაცია და დიდი ჯარიმა არ ასცდება, თუმცა ლივერპულელი შეშინებული არ ჩანს. ის კატეგორიულად აცხადებს, რომ მსგავსი არაფერი მომხდარა.

ევრა ამბობს, რომ მისი სიმართლე იოლად დამტკიცდება თუ გამომძიებლები ვიდეოჩანაწერებს კარგად გაჩხრიკავენ: *„თამაშს უამრავი კამერა იღებდა. ამ ჩანაწერებზე ნათლად ჩანს, რომ სუარესი ერთსა და იმავე ფრაზას ათჯერ მაინც მეუბნება“.*

ბრალდებასთან დაკავშირებით „ლივერპულის“ წარმომადგენლები ამბობენ, რომ ევრას სიტყვები საეჭვოა, რადგან ლივერპულში ჰოლანდიიდან 11 თვის გადაბარგებულმა სუარესმა ინგლისური ძალიან ცუდად იცის და საეჭვოა ოქტომბერში ამ ენაზე რასობრივი შინაარსის ლანძღვა შეძლებოდა. თავად ფეხბურთელმა თქვა:

*„არ არსებობს არანაირი მტკიცებულება იმისა, რომ მე ევრას შეურაცხყოფა მივაყენე. რატომ არ არსებობს? იმიტომ, რომ მსგავსი არაფერი მომხდარა. თამაშის მსვლელობისას ჩვენ ერთმანეთს რალაც სიტყვები მართლაც გავუცვალეთ. ეს დიალოგი ნაწილობრივ ესპანურად მიმდინარეობდა და ნაწილობრივ ინგლისურად. ვიმეორებ, შეურაცხყოფა არ მიმიყენებია, უბრალოდ, ჩემს სათქმელს ვამბობდი. მე მას ის დავუძახე, რასაც თანაგუნდელები ეძახიან. ევრას არაადეკვატურმა რეაქციამ თვით „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფეხბურთელებიც კი გააკვირვა“.*

სიახლეა პრემიერლიგაში ამტყდარ მეორე სკანდალთან დაკავშირებითაც: „ქუინზ პარკ რეინჯერსის“ 26 წლის მცველის, **ანტონ ფერდინანდისა** და „ჩელსის“ კაპიტნის, 31 წლის **ჯონ ტერის** კონფლიქტის შესახებ მოგახსენებთ. ესეც ოქტომბრის ამბავია — „რეინჯერსმა“ „ჩელსის“ 23 ოქტომბერს უმასპინძლა და 1:0 მოუგო. ბრალდება ამ შემთხვევაშიც იგივეა, ფერდინანდი ამბობს, რომ ტერიმ რასობრივად გალანძღა, ხოლო სიახლე მორიგი ვიდეოჩანაწერი გახლავთ. მოგეხსენებათ, ამ საქმეს ფეხბურთის ასოციაციის გარდა ლონდონის პოლიციაც იძიებს და ჩანაწერი სწორედ მას გადაეცა. პოლიციელებმა დისკი ანალიზისთვის თავიანთ შესაბამის ანალიტიკურ ცენტრს გადასცეს.

შეგახსენებთ, რომ ამ ისტორიას სათავეში სწორედ ვიდეოჩანაწერი უდევს. რამდენადაც ცნობილია, ფერდინანდი თავიდან ტერის წინააღმდეგ ჩივილს არ აპირებდა, მაგრამ, როდესაც გამოჩნდა კადრი, სადაც, თითქოსდა ჩანს, როგორ ლანძლავს მას „ლურჯების კაპიტანი“, რეინჯერსელმა ასოციაციას მიმართა. ტერი ბრალდებას უარყოფს.

„ჩელსის“ ვეტერანი თავის ვერსიას ყვება. ის ამბობს, რომ თამაშის ერთ-ერთ ეპიზოდში მასთან მივარდა ფერდინანდი და ჰკითხა, მართლა დაუძახა თუ არა მან „ესა და ეს“. ტერის უპასუხია, რომ „ესა და ეს“ მისთვის არ უწოდებია. „რეინჯერსის“ მცველი ამ პასუხით დაკმაყოფილებულა, მაგრამ მოგვიანებით ინტერნეტში გამოჩნდა ვიდეო, სადაც ჩანს ის მონაკვეთი, როდესაც ტერი ფრაზას „ესა და ეს“ იმეორებს.

თავის მხრივ, ფერდინანდი აცხადებს, რომ მასა და ტერის შორის მსგავსი დიალოგი საერთოდ არ ყოფილა. პოლიციამ დაჰკითხა „ჩელსის“ მოთამაშეები: **ეშლი კოული, ჯონ ობი მიკელი, ბრანისლავ ივანოვიჩი** და **დავიდ ლუიზი.** ტაბლოიდებს ეჭვი აქვთ, რომ ამ ფეხბურთელებმა ვერც თავისი კაპიტნის სიმართლე დაადასტურეს და ვერც ანტონ ფერდინანდის. პოლიციის ანალიტიკური ცენტრი ახალ ჩანაწერთან დაკავშირებულ დასკვნას, სავარაუდოდ, დღეს-ხვალ გამოიტანს.

● ლივერპული

# მონატრებაა...

კაცის ესა ყოფილა: 22 წლის **ენდი ქეროლი** იანვარში „ლივერპულისგან“ ეგრეთ წოდებულ ერთგულების პრემიას, 150 ათას ფუნტს მიიღებს. არადა, თავდამსხმელმა, „ენფილდ როუდზე“ „ნიუკასლიდან“ 35 მილიონ ფუნტად გადასვლის შემდეგ „წითლების“ სასტარტო შემადგენლობაში მხოლოდ 13 შეხვედრა ჩაატარა. ხსენებული თანხა ქეროლს კონტრაქტით აქვს გარანტირებული - თუ სადმე არ გაიქცევა, ყოველი წლის ბოლოს მიიღებს.

დავუბრუნდეთ სტატისტიკას და ყოფილი „კაჭკაჭის“ საკონტრაქტო დეტალებსაც კიდევ ერთხელ გადავხედოთ. ფორვარდს, რომელმაც „ლივერპულში“, 11 თვის განმავლობაში, მხოლოდ ოთხი გოლი გაიტანა, მერსისაიდელები კვირაში 60 000 ფუნტს უხდიან. ეს ჩვეულებრივი გასამრჯელოა. გარდა ამისა, არსებობს „იმიჯის უფლებები“, რაც ფეხბურთელს ზედაც 10 ათასს აძლევს, ხოლო მოედანზე თითოეული გამოჩენისთვის მის ჯიბეს კიდევ 5 ათასი ემატება.

ალსანიშნავია ისიც, რომ ქეროლისა და „ლივერპულის“ ხელშეკრულების თანახმად, თუ თავდამსხმელი მიმდინარე სეზონში თამაშების 60 პროცენტში მიიღებს მონაწილეობას, მას ხელფასს გაუზრდიან. როგორც ჩანს, მომავალ ზაფხულში კონტრაქტის ეს პუნქტი ვერ ამოქმედდება, რადგან ქეროლი **კენი დალგლიშის** გუნდში ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი არ არის. გეხსომებათ, თავდაპირველი ჩანაფიქრის თანახმად, ქეროლს „აიაქსიდან“ ნაყიდ **ლუის სუარესთან** უნდა შეექმნა ფორვარდთა წყვილი, მაგრამ დრომ აჩვენა, რომ ურუგვაელი და ინგლისელი ერთად შეხმატკბილებულად თამაშს ვერ ახერხებენ.

ქეროლმა სახელი „ნიუკასლ იუნაიტედის“ შემადგენლობაში გაითქვა, როდესაც გასულ სეზონში, „ენფილდზე“ გადაბარგებამდე, 19 შეხვედრაში 11 გოლი გაიტანა. სწორედ ამ პერიოდის ხათრით აიყვანეს ახალგაზრდა ვარსკვლავი ინგლისის ნაკრებში და „ლივერპულმაც“ ამის გამო გაიმეტა თანხა, რომლის ტოლიც ფეხბურთელში არასდროს გაემეტებინა.

ისმის კითხვა: რამ შეუშალა ხელი უთუოდ ნიჭიერ ფორვარდს თავი დიდ გუნდშიც გამოეჩინა? პასუხი ორი ნაწილისგან შედგება. ერთი მიზეზი გახლავთ ტრავმები. ხშირმა ტრავმებმა მის ფორმაზეც იმოქმედა და საკუთარი შესაძლებლობების რწმენაზეც. მეორე მიზეზი კი, გაგიკვირდებათ და ნიუკასლის მონატრებაა. როგორც ირკვევა, ენდი ქეროლი არის ადამიანი, რომელსაც თავისი ქალაქის, გარემოს და მიკროკლიმატის გარეშე არ შეუძლია.



● მწვრთნელის აზრით



# ელოდეთ ხმაურს ხმაურიანისგან

„ტოტენჰემ ჰოთსპურის“ მწვრთნელმა, **ჰარი რედნაპმა** „მანჩესტერ იუნაიტედს“ და მის ქომაგებს გული ატკინა — ინგლისის ჩემპიონთა „ხმაურიან მეზობელზე“, „მანჩესტერ სიტიზე“ თქვა, ევროლიგას მოიგებსო. თავად „ტოტენჰემი“, მოგეხსენებათ, თავიდანვე ამ, მეორეხარისხოვან ევროშეჯიბრებაში მონაწილეობდა და მაინცდამაინც გულს არ უდებდა — გუშინდელ თამაშამდე, მაგალითად, საქმე ისე მიიყვანა, რომ პლეი ოფში გასასვლელად თავად „შემროკისთვის“ უნდა მოეგო, მაგრამ მარტო ესეც არ ყოფნიდა. კიდევ, ბერძნულ „პაოკს“ რუსული „რუბინი“ ექვსი გოლით უნდა გაენადგურებინა... მანჩესტერული გრანდები კი ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე ჩაფლავდნენ და ევროლიგაში გადავიდნენ.

რედნაპმა თქვა: *„კეთილი იყოს მათი მიბრძანება ევროლიგაში. ზურგის ქარს ვუსურვებ. „იუნაიტედი“ და „სიტი“ ევროლიგაში... რა საინტერესოა, არა? ბოლო ტურში „ოლდ ტრეფორდზე“ ვიყავი და ძალიან ვიხალისე „ვულვზის“ ფანების სიმღერაზე „იუნაიტედის“ სანახავად, ამიერიდან, ხუთშაბათობით მეხუთე არხზე გადართეთო. ვფიქრობ, თუ მოინდომებს, ამ შეჯიბრებაში „სიტი“ გაიმარჯვებს. ალექსი, ალბათ, საუკეთესო შემადგენლობით ბრძოლას არ ისურვებს, ისტლენდელებს კი შეუძლიათ ორი თანაბარი გუნდი ცვალონ. გაიხსენეთ, ორშაბათს, როგორ ეთამაშა „სიტი“ „ჩელსის“. ნასრი და ჯეკო სათადარიგოთა სკამზე ჰყავდა. დაუჯერებელია“.*

● ტოტენჰემი

# დეზებს ნიგერიელი მოუნდათ

„ტოტენჰემ ჰოთსპურს“ ნიგერიის ახალგაზრდული ნაკრების ვარსკვლავის, **რაჰიმ ლავალის** შეძენა სურს. შემტევმა ნახევარმცველმა, რომელიც 21 წლის გახლავთ, ორი კვირის წინ, ნიგერიისა და ალჟირის ოლიმპიური ნაკრებების შეხვედრაში ჰეთ-თრიკი შეასრულა. ეს შეხვედრა ოლიმპიელმა „სუპერარწივებმა“ 4:1 მოიგეს.

ლავალი დღეისათვის ესპანეთში, სეგუნდა დივიზიონ B-ში თამაშობს. კერძოდ, ის ამ ლიგის ლიდერის, „ატლეტიკო ბალეარესის“ წევრია. „ატლეტიკოს“ წარმომადგენლებმა განაცხადეს:

*„რაჰიმ ლავალის ყიდვა ფრანგულ „ლიონს“ და ეგვიპტურ „ზამალექს“ უნდოდა. ახლა ამ ორ კლუბს ინგლისური „ტოტენჰემ ჰოთსპურიც“ დაემატა“.*



● ჩელსი

# რომელი სამართლით იტოვებთ რომეუს?



„ჩელსისა“ და „ბარსელონას“ შორის დავაა — 20 წლის ესპანელი ნახევარმცველი **ორიოლ რომეუ** ლონდონში დარჩენითაა თუ დაბრუნებით. ესპანეთის ჩემპიონთა და ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულთა შეფებმა „ლურჯებს“ შეახსენეს, რომ ფეხბურთელის კონტრაქტში შეტანილია გამოსყიდვის პუნქტი, რომლის თანახმადაც რომეუ „კამპ ნოუზე“ უნდა დაბრუნდეს. უფრო კონკრეტულად, ბარსელონელების ვერსიით ნახევარმცველი კატალონიაში ან ამ ზაფხულს დაბრუნდება და, ამ შემთხვევაში, „ბლაუგრანა“ მასში 9,5 მილიონ ფუნტს (11,3 მილიონი ევრო) გადაიხდის, ან 2013 წლის ზაფხულში, ოღონდ ამ დროისთვის ის უკვე 13 მილიონი ფუნტი (15,5 მილიონი ევრო) ეღირება. შეგახსენებთ, რომ „ჩელსიმ“ რომეუ 4,35 მილიონ ფუნტად (5,2 მილიონი ევრო) იყიდა.

მავანმა ბარსელონელმა ჩინოსანმა ინგლისურ ტაბლოიდებს ასეთი რამ უთხრა: *„ორიოლის ბედი „ჩელსის“ კი არა, ჩვენს ხელშია. ჩვენ შეგვიძლია ბიჭი როდესაც მოგვეპრიანება, მაშინ დავიბრუნოთ და რას ლაპარაკობს ამის შესახებ ვილაშ-ბოაში, გაუგებარია. ჩვენ სულაც არ გვიკვირს, რომ რომეუ პრემიერლიგაში კარგად თამაშობს. ის დიდი მომავლის მქონე ფეხბურთელია, რომელიც დღითი დღე, ტურიდან ტურამდე იზრდება“.*

რამ გამოიწვია ბარსელონელების რეაქცია? რა თქვა ასეთი დასავლეთლონდონელთა მწვრთნელმა, **ანდრე ვილაშ-ბოაშმა?** მან, ამ დღეებში მიცემულ ერთ-ერთ ინტერვიუში თქვა, რომ რომეუ „სტემფორდ ბრიჯზე“ დიდხანს დარჩება:

*„კონტრაქტში წერია, რომ „ბარსელონა“ რომეუს მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოისყიდის, თუ „ჩელსი“ იქნება თანახმა. პრემიერლიგას ისეთი ჩემპიონატი აქვს, რომ მასთან შეგუებას, როგორც წესი, დრო სჭირდება, ორიოლი კი პირველივე დღიდან მოერგო ინგლისური კლუბების შეჯიბრებას. იგივე შემიძლია ვთქვა ხუან მატაზეც, რომელიც „ვალენსიადან“ ჩამოვიყვანეთ“.*

ორშაბათს, „ჩელსისა“ და „მანჩესტერ სიტის“ უმნიშვნელოვანესი შეხვედრა, რომელიც „ლურჯებმა 2:1 მოიგეს, რომეუსთვის დასავლეთლონდონელთა შემადგენლობაში ზედიზედ მეხუთე იყო.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

● მინი-ინტერვიუ



# კლაუდიო მარკიზიო ზამთრის ჩემპიონობას იუვენტუსი იმსახურებს

**ახალ წლამდე სერია A-ს მიმდინარე გათამაშების კიდევ ორი ტური გაიმართება, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ზამთრის ჩემპიონი ან "იუვენტუსი" გახდება, ან "უდინეზე", ან „მილანი", ანაც "ლაციო". მართალია, იტალიაში ზამთრის ჩემპიონობას იმდენად დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებენ, როგორსაც მაგალითად გერმანიაში, მაგრამ მაინც საგულისხმო ამბავია – სწორედ ამ საკითხზე, "კორიერე დელო სპორტი" "იუვენტუსის" ნახევარმცველს კლაუდიო მარკიზიოს გაესაუბრა, რომელიც მიმდინარე სეზონში შეუდარებლად ასპარეზობს...**

**- საშობაო შესვენებამდე ორი ტურია დარჩენილი, გახდება "იუვენტუსი" ზამთრის ჩემპიონი?**

- ძალიან რთულია ამაზე დარწმუნებით საუბარი, მაგრამ ჩემი პირადი აზრით, ზამთრის ჩემპიონობას სწორედ "იუვენტუსი" იმსახურებს. თუმცა, სიმართლე გითხრათ, ამ ეტაპზე სატურნირო ცხრილს დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებთ. ვცდილობთ, თითოეულ შეხვედრაში სამი ქულა მოვიპოვოთ, ცხრილს კი უფრო ყურადღებით სეზონის ბოლოსკენ ჩავხედავთ.

**- მომდევნო ტურში "ნოვარასთან" გიწევთ დაპირისპირება, შემდეგ კი "უდინეზეს" უნდა შეხვდეთ...**

- "ნოვარასთან" პაექრობაში "იუვენტუსი" ფაორიტია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სამ ქულას იოლად მოვიპოვებთ. მართალია, მეტოქე სერია A-ში წელს ალზევდა, მაგრამ უკვე დაამტკიცა, რომ ნებისმიერი მეტოქის დამარცხება შეუძლია. "ნოვარამ" "ინტერს" და „ნაპოლის" დააკარგვინა ქულები, ეს კი ბევრს ნიშნავს. ამიტომ, მაქსიმალური ყურადღებით გვმართებს თამაში. რაც შეეხება "უდინეზეს", ეს გუნდი ტურიდან ტურამდე მაოცებს და დარწმუნებული ვარ, ასე იქნება სეზონის ბოლომდე. აღფრთოვანებული ვარ ფრანჩესკო გვიდოლინის მუშაობით, ფანტასტიკური სპეციალისტია.

**- მიმდინარე სეზონში შესანიშნავად ასპარეზობთ და გუნდის ლიდერად ყალიბდებით...**

- მე თვითონ გაკვირვეული ვარ იმით, რომ ამდენი გოლი გამაქვს და ბომბარდირთა დავაშიც კი ჩავერიე. ეს უფრო ანტონიო კონტეს დამსახურება მგონია, რომელიც ყოველთვის პოულობს საჭირო სიტყვებს საიმისოდ, რომ თავი საუკეთესო კუთხით წარმოაჩინო. რეალურად, "იუვეს" პროგრესის მთავარი შემოქმედი სწორედ მთავარი მწვრთნელია.

**ლაშა წიკლაური**

● რომა

# დრონი მეფობენ...

## ტოტი დელ პიეროს კვალზე?

წარმოგიდგენიათ "რომა" **ფრანჩესკო ტოტის** გარეშე? – ან ფრანჩესკო ტოტი სხვა გუნდის მაისურით? – ვერც ჩვენ, მაგრამ ყველაფერს აქვს დასასრული და მათ შორის პუპონეს რომაულ კარიერასაც. ეს დასასრული აშკარად მოაახლოვა **ლუის ენრიკემ**, რომელსაც "რომა" ხანგრძლივი დროით ჩააბარეს და ამას კლუბის მესვეურები არ მალავენ – ესპანელმა იტალიის დედაქალაქში ახალი „ბარსელონა" უნდა შექმნას, რომელიც არა მარტო აპენინებზე, ევროპის მასშტაბით საუკეთესო იქნება. ლუის ენრიკეს გეგმებში ფრანჩესკო ტოტი არ ჯდება, ეს აშკარაა და ამას უკვე აღარც თავად ფეხბურთელი მალავს. მოვუსმინოთ ტოტის და შემდეგ განვავრცოთ თემა:

*"ბოლო პერიოდში, სულ უფრო და უფრო ხშირად ვფიქრობ იმაზე, რომ კარიერის სხვა გუნდში გაგრძელება მომიწევს. მერწმუნეთ, ეს იძულებითი ფიქრია, რადგან სხვა გამოსავალი უბრალოდ არ მაქვს. ხშირად იწერება იმის შესახებ, რომ ლუის ენრიკეს გეგმებში ვერ ვჯდები – ეს მართლაც ასე ჩანს და არ შემიძლია, რომ ჟურნალისტებს არ დავეთანხმო. თუ გუნდის სამწვრთნელო შტაბი ფიქრობს, რომ პრობლემა ჩემშია, მზად ვარ გვერდზე გავდგე და ადგილი სხვებს დავუთმო".*

ტოტის მიმართ კრიტიკამ მას შემდეგ იმატა, რაც "იუვენტუსთან" შეხვედრაში თერთმეტმეტრიანი გააფუჭა, მისმა გუნდმა კი გამარჯვების შესანიშნავი შანსი გაუშვა ხელიდან – რა გასაკვირია, რომ ყოველივე ამის შემდეგ, კაპიტანი შეხვედრის ანტიგმირად მოინათლა. ჟურნალისტები ლუის ენრიკეს შეეხმიანენ და სწორედ ტოტის შესახებ ჩამოუგდეს სიტყვა:

*"ტოტი "რომას" ლეგენდაა და ეს ჩვენ ყველამ კარგად ვიცით – ამიტომ, მის აზრს უდიდეს პატივს ვცემ და რა თქმა უნდა, ვითვალისწინებ. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ რადგან ტოტია, მუდმივად ძირითად შემადგენლობაში იქნება. ფრანჩესკო გუნდისთვის საჭირო ფეხბურთელია, დღეს ასეა და რა იქნება ხვალ, რთული სათქმელია".*

იტალიელი ჟურნალისტები დარწმუნებულნი არიან, რომ სეზონის დასრულების შემდეგ, ტოტის ისევე მოუწევს "რომადან" აბარგება, როგორც **ალესანდრო დელ პიეროს** "იუვენტუსიდან". ყველაფერი სწორედ აქეთკენ მიდის, რადგან ლუის ენრიკე ახალგაზრდა ფეხბურთელებზე აკეთებს აქცენტს, მათზე, ვინც მოედანზე მთელი 90 წუთის განმავლობაში გაუჩერებლად ირბენს. ტოტი საუკეთესო პერიოდშიც არ განეკუთვნებოდა იმ მოთამაშეთა კატეგორიას, რომლებიც გაუჩერებლად დარბიან და მით უმეტეს, ვერ ირბენს 35 წლის ასაკში. მოკლედ, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ტოტი დელ პიეროს კვალს დაადგება – ანუ, როგორც თავად ამბობს, სხვა გუნდში მოუწევს გადაბარგება. "პინტურიკიოს" მსგავსად, "პუპონეც" სხვაგან გადასვლაზე აკეთებს განცხადებას და არა კარიერის დასრულებაზე, ანუ, დიდია შანსი ვიხილოთ ის, რაც ვერ წარმოგვიდგენია და რაზეც თავშივე ვთქვით: ტოტი სხვა გუნდის მაისურით... მაინც სად შეიძლება გააგრძელოს კარიერა ფრანესკომ? – ამაზე თვითონ ისაუბრებს და ბოლოს, კიდევ ერთხელ გადავცეთ მას სიტყვა:



ტოტი და დელ პიერო

*"ერთი დანამდვილებით ვიცი, ვერასდროს ვითამაშებ "რომას" წინააღმდეგ და გამომდინარე აქედან, იტალიურ გუნდში ნამდვილად არ გადავბარგდები. თუ მაინც მომიწევს "ჯალოროსიდან" წასვლა, კარიერას საზღვარგარეთ, ალბათ, რომელიმე ევროპულ გუნდში გავაგრძელებ. დიდი სიამოვნებით მოვსინჯავდი ძალებს ინგლისურ პრემიერლიგაში, თუმცა რომელ გუნდში, დღეს ამაზე საუბარი გამიჭირდება. ბოლოს კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ ჩემი სურვილია კარიერა "რომაში" დავასრულო, მაგრამ მომეცემა თუ არა ამის საშუალება, დღეს რთული სათქმელია".*

**ლაშა წიკლაური**

● მილანი

# ტევესის არჩევანი

**კარლოს ტევესის** "მილანში" შესაძლო გადასვლის შესახებ ბევრი ითქვა და კიდევ უფრო მეტი დაიწერა – ბოლოს, ამ თემას თვით "როსონერის" პრეზიდენტი **სილვიო ბერლუსკონი** გამოეხმაურა და საინტერესო კომენტარი გააკეთა. სანამ სიტყვას დონ სილვიოს გადავცემდეთ, აღვნიშნოთ, რომ თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ტევესი არჩევანს 'მილანსა" და ფრანგულ პსჟ-ს შორის გააკეთებს. მოვუსმინოთ ბერლუსკონის:

*"ტევესმა არჩევანი უნდა გააკეთოს პრესტიჟსა და ფულს შორის – შეუძლია ითამაშოს მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ლიგაში, ყველაზე ამბიციურ და ტიტულოვან კლუბში, ან აირჩიოს პსჟ და იყოს ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელი მსოფლიოში. ვურჩევდი მას, რომ იყოს ამბიციური, გაიბრწყინოს "მილანში" და დაუმიზნოს "ოქროს ბურთს", რისი მოპოვებაც მას ნამდვილად შეუძლია. კარლოსი 27 წლის გახლავთ, სწორედ ის დროა, როდესაც საუკეთესო თვისებები უნდა გამოავლინოს და ამისთვის, "მილანში" მას ყველა პირობა ექნება".*

"მილანთან" დაკავშირებით კიდევ ერთი საინტერესო ინფორმაცია გავრცელდა, რომლის მიხედვითაც ლომბარული გრანდის მესვეურები ზამთრის სატრანსფერო პერიოდში მცველის გაბირებას შეეცდებიან. ამის საჭიროება მას შემდეგ გამოიკვეთა, რაც **მარიო იეპესმა** მძიმე ტრავმა მიიღო და მინიმუმ სამი თვით ჩამოშორდა ფეხბურთს. "გაძეტა დელო სპორტის" მტკიცებით, უახლოეს მომავალში **ადრიანო გალიანი** ფლორენციაში ჩავა, რათა "ფიორენტინას' მესვეურებს **ჩეზარე ნატალის** გაბირების შესახებ ჩამოუგდოს სიტყვა.



სილვიო ბერლუსკონი

ნატალი 32 წლის მცველი გახლავთ, რომელსაც ცენტრშიც შეუძლია თამაში და ფლანგზეც – "ფიორენტინას" შემადგენლობაში 55 შეხვედრა აქვს ჩატარებული, მის ხელშეკრულებას კი ვადა ზაფხულში ეწურება. გამომდინარე აქედან, სავარაუდოდ, ფლორენციელები ჩეზარეს სიმბოლურ ფასად შეელევიან.

**ლაშა წიკლაური**

● ნაპოლი




მარეკ ჰამშიკი

# ჰამშიკი: მხოლოდ 6 ქულა

"ნაპოლიმ" ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპი შესანიშნავად განვლო და თებერვლიდან მერვედფინალურ ეტაპზე მოუწევს ასპარეზობა. თუმცა, ლიგაში თამაშმა გუნდს დიდი ენერგია წაართვა, რაც სამხრეთელთა სერია A-ში ასპარეზობაზე უარყოფითად აისახა. **ვალტერ მაძარის** გუნდს 14 ტურის შემდეგ 21 ქულა აქვს მოგროვილი და სატურნირო ცხრილში მხოლოდ მეხუთე ადგილზეა. რაც მთავარია, ნეაპოლელებს ლიდერამდე მთელი ცხრა ქულა აშორებთ, ეს კი არცთუ ისე ცოტაა. "გაძეტა დელო სპორტს" "ნაპოლის" ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი **მარეკ ჰამშიკი** გაესაუბრა და შემდეგი განუცხადა:

*"ზამთრის შესვენებამდე ორი შეხვედრა გვაქვს გასამართი, რომლებიც აუცილებლად ჩვენი გამარჯვებით უნდა დავასრულოთ. "რომასთან' და "ჯენოასთან" ურთულესი მატჩები გველის, მაგრამ თუ გვინდა, რომ სკუდეტოსთვის ვიბრძოლოთ, მხოლოდ ექვს ქულას უნდა დავუმიზნოთ. საბედნიეროდ, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპი დავძლიეთ, დროა მთლიანად ეროვნულ პირველობაზე გადავერთოთ და ქულები აქეთ-იქით აღარ ვარიგოთ".*

**ლაშა წიკლაური**

● კვირის ფრაზები

ბიბლიოთეკა

## მაინც ბარსელონაზე ძლიერები ვართ!

მოგეხსენებათ, გასულ შაბათს მადრიდის „რეალმა" „ელ კლასიკოში" „ბარსელონასთან" კიდევ ერთი მარცხი ივნია (1:3), თუმცა „სამეფო კლუბის" თავკაცი **ჟოზე მოურინიო** იხტიბარს არ იტეხს და აცხადებს, ჩვენ მაინც „ბარსაზე" ძლიერნი ვართო: *„მე კმაყოფილი ვარ ჩემი გუნდის თამაშით. სადაც არ ვთამაშობთ, ყველა ტურნირზე სტაბილურობას ვინარჩუნებთ — ასევე ვთამაშობთ ესპანეთის ჩემპიონატშიც, სადაც წამოგვეწია ჩემპიონი, თუმცა მაინც მივიჩნევ, რომ „ბარსელონაზე" ძლიერნი ვართ".*

## უსამართლო შედეგი

დორტმუნდის „ბორუსიას" მცველი **მატს ჰუმელსი** მიიჩნევს, რომ ბუნდესლიგის მე-16 ტურში „კაიზერსლაუტერნთან" ნათამაშები ფრე (1:1) უსამართლო შედეგია. „ბილდთან" საუბრისას ჰუმელსი შემდეგს ამბობს: *„შედეგი უსამართლოა. ძალზე საკვირველია, რომ ჩვენ მხოლოდ ერთი ქულა ჩავიწერეთ აქტივში იმ დროს, როცა ოთხჯერ მოვარტყით მეტოქის კარის ძელს ბურთი. დიახ, გეთანხმებით იმაში, რომ გუნდმა თავისი ფეხბურთი ვერ აჩვენა, მაგრამ ასეთი თამაშითაც ერთი თავით მაღლა ვიყავით მეტოქეზე — ძალიან სანწყენია, რომ იმ მომენტების გამოყენება ვერ მოვახერხეთ".*

## არ მესმის, რატომ ვარ სათადარიგოზე

**ფრენკ ლემპარდმა** „მანჩესტერ სიტისთან" გადამწყვეტი პენალტი კი შეაგდო და მოაგებინა კიდეც „ჩელსის" უმნიშვნელოვანესი შეხვედრა (2:1), თუმცა იგი **ანდრე ვილაშ-ბოაშმა** მინდორზე მხოლოდ ბოლო 15 წუთის სათამაშოდ შეუშვა. ამ სეზონში ახალბედა პორტუგალიელმა თავკაცმა ლამპარდი 24-იდან 16 შეხვედრაში ათამაშა სასტარტოში, რაც ლონდონელთა ერთ-ერთ ლიდერს არ აკმაყოფილებს: *„ყველაფერი მარტივია, მე თამაში მინდა. ჯანმრთელობის მხრივ არანაირი პრობლემა არ მაქვს, კარგ ფორმაში ვარ, მაგრამ რატომღაც არ ვთამაშობ. ვილაშ-ბოაშთან ამ თემაზე არ მისაუბრია, ასე რომ, ჩემი უთამაშებლობის მიზეზი არ ვიცი. როდესაც რეგულარულად ვთამაშობ, კარგი ფორმის აკრეფვა შემიძლია — ახლაც დარწმუნებული ვარ, რომ გუნდისთვის კიდევ ბევრს გავაკეთებ".*

## კვირის გმირი

ესაა იტალიის ნაკრებისა და ტურინის „იუვენტუსის" მეკარე **ჯანლუიჯი ბუფონი**, რომელმაც სერია A-ს უკანასკნელ ტურში „რომასთან" (1:1) შეხვედრაში გუნდს ქულა გადაურჩინა — მოიგერია რა **ფრანჩესკო ტოტის** მიერ დარტყმული თერთმეტმეტრიანი.

## კვირის მოვლენა

მორჩა, გათავდა: პრემიერლიგაში დაუმარცხებელი აღარავინაა! აქამდე ასეთი მხოლოდ „მანჩესტერ სიტი" გახლდათ, მაგრამ ორშაბათ საღამოს „ჩელსისთან" სტემფორდ ბრიჯზე დამარცხდა — 2:1. არადა, ისტლენდელები **მარიო ბალოტელის** მიერ მე-2 წუთზე გატანილი გოლის წყალობით იგებდნენ შეხვედრას, მაგრამ **რაულ მეირელეშისა** და ფრენკ ლემპარდის გოლებით „ლურჯებმა" იმარჯვეს.

**გიორგი ფულარიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ინტერვიუ. ფელიქს მაგათი

# მინდა როსიცკი, მინდა ოლიჩი, ჩემპიონობა მინდა!

## ეს კაცი ან ნამეტანი ჭკვიანია, ანაც...

ფელიქს მაგათი „ვოლფსბურგში“ სერიოზული ამბიციებით დაბრუნდა, მაგრამ „მგლები“ ამ სეზონში ვერ ბრწყინავს. გუნდი, რომლის მიზანი მინიმუმ ევროპის ლიგის საგზურის მოპოვებაა, 16 ტურის შემდეგ 17 ქულით მე-14 ადგილზეა და გასავარდნ ზონას მხოლოდ სამი ქულა აშორებს. მიუხედავად ამისა, „დესპოტი ფელიქსი“ მაინც არ ნერვიულობს, რადგან დარწმუნებულია, რომ მეორე წრეში საქმეები უკეთესად წავა.

**- ჰერ მაგათ, შეგირდებს საშობაოდ რა უნდა აჩუქოთ?**

- რაც უნდა სამწუხარო იყოს მათთვის, უმრავლესობას არაფერს ვაჩუქებ.

**- უმცირესობას?**

- რამდენიმე ფეხბურთელი ჩემგან ვარჯიშის გეგმას მიიღებს. ზოგიერთისთვის თავისუფალ დღეებში ვარჯიში აუცილებელია, თანაც, შვებულების დასრულების შემდეგ, როცა გუნდში დაბრუნდებიან, ნამდვილად მივხვდები, ივარჯიშეს თუ არა და თუ გაირკვა, რომ არაფერი გაუკეთებიათ, მკაცრად დავსჯი.

**- საოცარია, ინდივიდუალურ ვარჯიშებს მხოლოდ რამდენიმე მოთამაშეს რომ უნიშნავთ. შარშან და შარშანწინ თქვენგან ასეთი გეგმა ძალიან ბევრმა ფეხბურთელმა მიიღო. ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ამ სეზონში თქვენი გუნდის თამაშითა და შედეგებით კმაყოფილი ხართ?**

- დასამალი არაფერია: კარგი იქნებოდა, ექვსი ქულით მეტი რომ გვქონოდა. თანაც, ეს საკმაოდ რეალური იყო.

**- ექვსი ქულით მეტი? ხუმრობთ?**

- არა, რატომ? ექვსი ქულით მეტი რომ გვქონოდა, 23 ქულას დავაგროვებდით და ახლა მეშვიდე ადგილზე ვიქნებოდით, საიდანაც ევროტურნირების ზონამდე მხოლოდ ერთი ნაბიჯია. მეექვსე ადგილზე მყოფ „ლევერკუზენთან“ შედარებით მხოლოდ სამი ქულით ნაკლები გვექნებოდა.

**- რეალობა შემდეგნაირია: „ვოლფსბურგი“ 17 ქულით მე-14 ადგილზეა და გასავარდნ ზონას სულ რაღაც სამი ქულა გაშორებთ...**

- გასაგებია, რისი თქმაც გინდათ და მეც გეთანხმებით. ახლა ღამღამობით მშვიდად ნამდვილად არ მძინავს, მაგრამ ვერც იმას დავიჩემებ, რომ ძალიან ვნერვიულობ, რადგან დარწმუნებული ვარ, რომ მეორე წრეში ყველაფერი კარგად, გაცილებით უკეთესად იქნება.

**- მაშინ გვითხარით, თქვენი აზრით, რა იყო არასწორი იმ გადაწყვეტილებებიდან, რაც ზაფხულში მიიღეთ? სად დაუშვით შეცდომები?**

- თავიდან მინდოდა, ფონს გასვლა არსებული შემადგენლობით მეცადა, მაგრამ სეზონისწინა მოსამზადებელ შეკრებაზე მივხვდი, რომ ტრანსფერები საჭირო იყო. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ „ვოლფსბურგმა“ მხოლოდ ერთი ძვირად ღირებული და ხმაურიანი ტრანსფერი განახორციელა...

**- სამაგიეროდ, ძალიან ბევრი იაფფასიანი ტრანსფერი შედგა და ბარემ ისიც ვთქვათ, რომ შეძენილი ფეხბურთელების უმეტესობა არ გამოგადგათ. 80 პროცენტი ახლა მოყვარულთა გუნდთან ერთად ვარჯიშობს და თქვენვე თქვით, რომ მათ თქვენს ხელში შანსი აღარ აქვთ...**

- ბევრი ფული არ გვქონდა და რაულის დონის ვარსკვლავების ყიდვაზე უარი ამიტომაც ვთქვით. იძულებული ვიყავი, შეზღუდული ფინანსური შესაძლებლობებით მემოქმედა. თან, სახელფასო ფონდიც არ უნდა გაზრდილიყო. რაკი ფული არ გვქონდა, ჩემი მიზანი იყო, გუნდში დიდი კონკურენცია შემექმნა, რაც შევძელი კიდეც. ასე რომ, პრინციპში სასაყვედურო ბევრი არაფერია. ვფიქრობ, რომ „ვოლფსბურგმა“ პირველი წრე ცუდად ჩაატარა, მაგრამ არა იმდენად ცუდად, რომ განგაშის ზარებს შემოვკრათ.

**- და რა ვუყოთ იმ ფაქტს, რომ მილიონები წყალში გადაიყარა და ახლა ზაფხულში ნაყიდი ფეხბურთელები ისევ თავიდან უნდა მოიშოროთ?**

- რას ვიზამთ, ეს ლოგიკურია იმ ფონზე, რომ ტრანსფერებისთვის ბევრი ფული არ გვქონდა. იაფფასიანი მოთამაშე ყოველთვის ისე ვერ გამოგადგება, როგორც თავის დროზე ედინ ჯეკო, გრაფიტე და ზვიედან მიშიმოვიჩი გამოგვადგნენ. პირდაპირ გეტყვით: იმედები ყველაზე მეტად ოხმა და რუსმა გამიცრუეს.

**- ისინი ამ განცხადებით განაწყენდებიან...**

- ჩემი მიზანი მათი განაწყენება ნამდვილად არ არის. იმის თქმა მინდა, რომ ეს ფეხბურთელები ძალიან ახლოს არიან, უფრო სწორად, იყვნენ გერმანიის ნაკრებში მოხვედრასთან, ახლა კი „ვოლფსბურგის“ ძირითად შემადგენლობაში მოხვედრაც უჭირთ. იმედი მქონდა, რომ ახალ გუნდში უფრო მოინდომებდნენ და „ვოლფსბურგს“ პირველივე ტურებში შესამჩნევად გააძლიერებდნენ. სხვათა შორის, მათზე ხელი ჯერ ბოლომდე არ ჩამიქნევია და იმედი მაქვს, რომ მეორე წრეში მაინც განიცდიან პროგრესს. საერთო ჯამში, იმის თქმა მინდა, რომ „ვოლფსბურგისთვის“ ძველი დიდების დაბრუნებისთვის იმაზე მეტი დრო მჭირდება, ვიდრე მეგონა, რომ დამჭირდებოდა.

**- და ეს კონკრეტულად რისი ბრალია?**

- როგორც გამოჩნდა, ჩემ მიერ შეძენილი ახალი ფეხბურთელების უმრავლესობა არ აღმოჩნდა მზად იმისთვის, რასაც „ვოლფსბურგთან“ ერთად მინიმუმ ევროპის ლიგის საგზურისთვის ბრძოლა ჰქვია. მოლაპარაკებების დროს მათ ხშირად ვუმეორებდი, ჩვენ დიდი მიზნები გვაქვს და საბოლოო ჯამში გერმანიის ჩემპიონები უნდა გავხდეთ-მეთქი. არ მითქვამს, რომ პირველობისთვის აუცილებლად ამ სეზონშივე ვიბრძოლებდით, მაგრამ საბოლოო ჯამში ჩემი მიზანი სწორედ ჩემპიონობაა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ფეხბურთელებმა ორჯერ მეტი უნდა მოინდომონ და ჩემი ყველა დავალება უნდა შეასრულონ. როგორც ჩანს, უმრავლესობა ამისთვის მზად არ აღმოჩნდა. ჩემთვის ეს კრახია, რომელიც იმას ნიშნავს, რომ მიზნის მისაღწევად უბრალოდ იმაზე მეტი დრო დამჭირდება, ვიდრე მეგონა.

**- ზაფხულში დაშვებული სატრანსფერო შეცდომების გამოსწორება იანვარში შეგიძლიათ...**

- ზაფხულში ჩემთვის მთავარი რაოდენობა იყო, და არა ხარისხი, იანვარში კი მთავარი ხარისხი იქნება. შესაბამისად, შეცდომებზე ლაპარაკიც არასწორია. მე არ ვფიქრობ, რომ შეცდომები დავუშვი.

**- ტომაშ როსიცკის ყიდვას მართლა აპირებთ?**

- ჰო, ვაპირებ, რადგან როსიცკი ძალიან კარგი ფეხბურთელია. რაც ყველაზე მთავარია, ჯანმრთელია. რამდენიმე წლის წინ მისი გადაბირება ევროპის სუპერგრანდებს სურდათ.

**- გავიგეთ, რომ „ბაიერნისა“ და ხორვატიის ნაკრების თავდამსხმელ ივიცა ოლიჩსაც უმიზნებთ.**

- კონკრეტული ნაბიჯები ჯერ არ გადამიდგამს, მაგრამ ოლიჩზე მართლა ვფიქრობ. მასზე ცნობები შევაგროვე და ჩემი დასკვნა ასეთია: ივიცას „ბაიერნიდან“ წამოსვლა უნდა. ზაფხულში ოლიჩი ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებს და სავარაუდოდ ეს მისი უკანასკნელი დიდი სანკარებო ტურნირი იქნება. ამიტომაც უნდა, რომ სათამაშო პრაქტიკა ჰქონდეს, რათა ევრო 2012-ს მაქსიმალურად კარგად მომზადებული შეხვდეს. მოკლედ, ოლიჩიც მინდა, მაგრამ აქ მთავარი ისაა, რა უნდა „ბაიერნს“...

**- კიდევ რომელ ფეხბურთელებზე ფიქრობთ?**

- ჯერ არ ვიცი. ფაქტია, რომ ერთიორი მაღალი კლასის მოთამაშე გვჭირდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, საუკეთესო ექვსეულში მოხვედრაზე ლაპარაკი ზედმეტი იქნება.

**- როცა „ვოლფსბურგში“ მეორედ დაინიშნეთ, განაცხადეთ, რომ არა მარტო გერმანიის ჩემპიონობა, არამედ ჩემპიონთა ლიგის ფინალშიც გინდათ გასვლა...**

- იმედია, თქვენ არ იფიქრეთ, რომ ჩემპიონთა ლიგის ფინალში გასვლას მომდევნო სეზონში ვგეგმავდი... ისე კი აზრი არ შემიცვლია: გერმანიის ჩემპიონობას ჩემპიონთა ლიგაში ასპარეზობა მოჰყვება, მე კი ყველგან და ყოველთვის მაქსიმუმისთვის ვიბრძვი. უბრალოდ, ნებისყოფა კარგი მაქვს და ვიცი, რომ გუნდის ფეხზე დაყენებას დრო სჭირდება. კარგია, რომ „ვოლფსბურგის“ ხელმძღვანელებსაც ჩემნაირი ნებისყოფა აქვთ.



ფელიქს მაგათი იანვარში ტომაშ როსიცკის და ივიცა ოლიჩს უმიზნებს

● ბაიერნი. კიოლნთან მატჩის წინ




# რა დრო დადგა: მიუნხენში პოდოლსკის უფრთხიან!

## ჰაინკესისთვის სულერთია, რომელ გუნდს არგუნებს ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის წილისყრა

„ბაიერნს“ საკუთარ მოედანზე გუნდის დამარცხება უჭირდეს, გაგიგონიათ? ჰო, ვიცით, რომ უცნაურად ჟღერს, მაგრამ ფაქტია: აგერ უკვე რამდენიმე წელია, რეკორდმაისტერს მიუნხენში „კიოლნთან“ მოგება უჭირს. უჭირს კი არა, ვერ ახერხებს. უფრო ზუსტნი რომ ვიყოთ, მიუნხენურმა გრანდმა საკუთარ კედლებში „კიოლნი“ ბოლოს 2002 წლის 23 მარტს დაამარცხა. მას მერე ბავარიელებმა „თხებს“ ხუთჯერ უმასპინძლეს – აქედან ოთხი მატჩი ფრედ დამთავრდა, ერთი კი სულაც „კიოლნმა“ მოიგო.

„ბაიერნი“ დღესაც „კიოლნს“ მასპინძლობს და რაც უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, უფრთხის! უფრო სწორად, ფრთხილობს, რაც პირველ რიგში შესანიშნავ ფორმაში მყოფი **ლუკას პოდოლსკის** დამსახურებაა. დღესვე, რეკორდმაისტერისთვის კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენაა – ნიონში ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის წილისყრა გაიმართება და საოცარი ის არის, რომ ეს წილისყრა მიუნხენელებს გაცილებით ნაკლებად ადარდებთ და აინტერესებთ, ვიდრე „კიოლნთან“ მატჩი.

მიუნხენში „ბაიერნსა“ და „კიოლნს“ შორის გამართული ბოლო ორივე მატჩი 0:0 დასრულდა, „თხების“ ფანები კი ყველაზე მეტად მიუნხენში 2009 წელს გამართული შეხვედრით ამაყობენ, რომელიც „კიოლნმა“ „ალიანს არენაზე“ 2:1 მოიგო. მაშინ ბავარიული გრანდის კარში მეორე გოლი „ვინმე“ **დანიელ ბროზინსკიმ** გაიტანა, რომლისთვისაც ის შეხვედრა სულაც სადებიუტო იყო ბუნდესლიგაში. იმ დროს „კიოლნი“ გერმანიის ელიტაში ახალი დაბრუნებული იყო, გუნდის თავკაცი კი **კრისტოფ დაუმი** გახლდათ, რომელიც იმ შედეგით დღემდე ამაყობს.

თუმცა ბავარიელთა სიფრთხილის მიზეზი მარტო ეს სერია და 2009 წელს განცდილი მარცხი როდია. მიუნხენში ცუდად ახსოვთ ამ გუნდების უკანასკნელი დაპირისპირებაც, რომელიც 5 თებერვალს კიოლნში გაიმართა და რომელიც „თხებმა“ ასევე მოიგო (3:2). ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ იმ თამაშში მიუნხენელები 2:0-ს იგებდნენ!

„ბაიერნის“ კაპიტანი **ფილიპ ლამი** ზემოთ ნახსენებ თამაშებში მონაწილეობდა და ამიტომაცაა, დღევანდელი შეხვედრის წინ გაკეთებულ კომენტარებში სიფრთხილეს რომ იჩენს: „ბოლო დროს „კიოლნთან“ ისე ვერ ვთამაშობთ, როგორც საჭიროა და არა მგონია, ეს უბრალო დამთხვევა იყოს. ეს გუნდი ჩვენთვის საკმაოდ რთულ მეტოქედ ჩამოყალიბდა. ამჯერად ტრადიცია უნდა დავარღვიოთ და „თხები“ მიუნხენიდან ხელცარიელი გავუშვათ. თუ გვინდა, რომ შვებულებაში მშვიდად გავიდეთ, ამ თამაშის მოგება აუცილებელია. ჩვენ მხოლოდ „კიოლნის“ დამარცხების შემთხვევაში გვექნება იმის თქმის უფლება, რომ პირველი წრე წარმატებული გამოდგა,“ - ამბობს ბავარიელთა კაპიტანი.

სწორედ ლამი უსვამს ხაზს იმასაც, რომ „კიოლნთან“ დღეს უფრო მეტი სიფრთხილეა საჭირო, რისი მიზეზიც პოდოლსკის იდეალურ ფორმაში ყოფნაა. პოლდი 2006-დან 2009 წლამდე თავად იცავდა რეკორდმაისტერის ღირსებას, თუმცა მაღალ დონეზე იმედები ვერ გაამართლა და ისევ მშობლიურ კლუბში დაბრუნდა, სადაც ამ სეზონში უკვე 14 გოლი აქვს გატანილი - ამდენი გოლი კი მას სხვა არც ერთ სეზონში არ გაუტანია!

„ლუკასი კართან ძალიან სახიფათოა და ძლიერი მარცხენა ფეხიც რომ აქვს, ეს ყველამ ვიცით. ჩვენ მას სივრცეები უნდა შევუზღუდოთ და თუ ამას მოვახერხებთ, გავანეიტრალებთ კიდეც“, - ასკვნის ლამი.

### ლამი: მილანი არ მინდა, დანარჩენები მოსულა!

მოკლედ, დღეს „ბაიერნის“ მთავარი საზრუნავი პოდოლსკია, ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის წილისყრაზე კი ბავარიელები ნაკლებად ფიქრობენ. „ცხადია, წილისყრას დიდი ინტერესით ვუყურებთ, მაგრამ ჩვენ საკმარისად თავდაჯერებულები ვართ იმისათვის, რომ ვთქვათ: ნებისმიერი გუნდის დამარცხება შეგვიძლია. ნერვიულობას არ ვაპირებ და არც სასურველი მეტოქე შემირჩევია. თუ მაინცდამაინც გაინტერესებთ, გეტყვით, რომ ყველაზე არასასურველი მეტოქე ჩემთვის „მილანია“, - ამბობს ლამი.

შეგახსენებთ, რომ „როსონერის“ გარდა, „ბაიერნის“ შესაძლო მეტოქეების ჩამონათვალი ასეთია: ცსკა, „ბაზელი“, „ლიონი“, „ზენიტი“ და „მარსელი“.

● მოსალოდნელი ტრანსფერი

# მერკელი ბრემენში?




ბრემენის „ვერდერს“ იტალიაში „გადახვეწილი“ გერმანელი ტალანტის, **ალექსანდერ მერკელის** გადაბირება უნდა. იტალიური გაზეთი „კორიერე დელო სპორტი“ წერს, რომ ბრემენული კლუბის ხელმძღვანელები უკვე დაუკავშირდნენ „ჯენოას“ ბოსებს და 19 წლის ნახევარმცველზე სიტყვა ჩამოუგდეს. ჩვენი იტალიელი კოლეგები იმასაც იუწყებიან, რომ „ვერდერის“ სკაუტები დიდი ხანია, გენუური კლუბის თამაშებს ესწრებიან.

საინტერესო ის არის, რომ „ვერდერის“ სპორტულმა დირექტორმა **კლაუს ალოფსმა** მერკელით დაინტერესება არ უარყო. მისი თქმით, ბრემენული კლუბი ბაზარს აქტიურად აკვირდება და დაადასტურა, რომ „მუსიკოსების“ თვალთახედვის არეალში მერკელიცაა. აღსანიშნავია, რომ გერმანიის 19-წლამდელთა ნაკრების ფეხბურთელი „ჯენოაში“ „მილანიდანაა“ განათხოვრებული – ეს გუნდები მის სატრანსფერო უფლებებს შუაზე იყოფენ. შარშან „ვერდერმა“ „ჯენოადან“ ბერძენი მცველი **სოკრატის პაპასტატოპულოსი** გადაიბირა. საინტერესოა ისიც, რომ ალოფსს იტალიელ აგენტ **ოსკარ დამიანისთან** კარგი ურთიერთობა აქვს, რადგან ეს უკანასკნელი ბრემენელთა ფეხბურთელის, **მიკაელ სილვესტრის** მრჩეველიცაა.

გვერდი მოამზადა **გოტფრიდ ლენცმა**

# უცხოური ფეხბურთი

ფიფას მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი

# თამაში, როგორც ვარჯიში

## ფინალის საგზური ბარსას ძვირი დაუჯდა: დავიდ ვილიამ ფეხი მოიტეხა

**ალ სადი–ბარსელონა 0:4**

**გოლები**: 0:1 ადრიანო (25), 0:2 ადრიანო (43), 0:3 ს. კეიტა (64), 0:4 მაქსველი (81)

**ალ სადი**: მოჰამედ საკრი – ბელჰაჯი, ჩუნგ სუ, მაჯიდი, კონი, რიზიკი, კასოლა, ალ-ბლუში (ალ იაზიდი 65), მ. ნიანგი (აჰმედ ალი 77), ა. კ. კეიტა (ალ ჰაიდოსი 85), იბრაჰიმი

**ბარსელონა**: ვალდესი – ადრიანო, პუიოლი, აბიდალი (მაქსველი 66), ინიესტა, ალკანტარა, მასკერანო, ს. კეიტა, ვილია (ალექსის სანჩესი 39 – კუენკა 71), მესი, პედრო



თუკი ვინმე "ნისან არენაზე" მისული გულშემატკივრიდან დაძაბულ ბრძოლას ელოდა, მოლოდინი გაუცრუვდებოდა. "ბარსამ" ჩვეულად ლაღად იბურთავა და "სანტოსთან" დაპირისპირებამდე ყატარელებს კარგი ვარჯიშის მეტს ვერაფერს გამორჩა. რას იზამს ბრაზილიური გრანდი, ძნელი სათქმელია. ერთი რამის თქმა თავიდანვე შეიძლება, რომ ასეთი "ბლაუგრანას" დასამარცხებლად მას იმაზე მეტის გაკეთება მოუწევს, ვიდრე ნებისმიერ სხვა ოპონენტთან. **ნეიმარი** და კომპანია თავიანთ თავებს უნდა გადაახტნენ. მეორე მხრივ საკითხი ასე დგას: გადაღლილია "ბარსელონა" "ელ კლასიკოს" შემდეგ თუ პირიქით - მადრიდულმა ტრიუმფმა გუნდს ახალი ძალები შთაბერა.

მატჩი მოსალოდნელი სცენარით დაიწყო. "ბარსელონამ" თამაშის ყველა სადავე ხელთ იგდო და მეტოქე ლამის პირველივე წუთებზე ნოკდაუნში გაუშვა. ყოველ წუთას ბურთი სულ უფრო და უფრო ახლოს ტრიალებდა "ალ სადის" კართან. მე-15 წუთზე **პუიოლმა** სცადა ანგარიშის გახსნა, მაგრამ მის დარტყმას მცველები ალუდგნენ წინ. მე-18 წუთზე დაცვის დასახმარებლად უკან ჩასულმა **იბრაჰიმმა** ბურთი საჯარიმოდან ცუდად გამოიტანა. ის ერთ-ერთ ბარსელონელს მოხვდა და **ვილიას** მიუვიდა, რაც მისთვის ოდნავ მოულოდნელი აღმოჩნდა. დავიდს დარტყმა მეკარისგან ახლო, დაბალ კუთხეში მოუმზადებელი გამოუვიდა. **მოჰამედ საკრი** ბურთს ადგილზე დახვდა. 25-ე წუთზე თავგანწირული აზიელების ბასტიონი მეციხოვნეთა შეცდომის წყალობით გატყდა. **პედროს** მიერ ფლანგიდან ჩამოწოდებული ბურთი **ბელჰაჯმა** მეკარეს ფეხით დაუგდო. საკრმა მოშორება სცადა, მაგრამ იქვე მდგარ **ადრიანოს** ფეხში გაარტყა – 0:1.

კატალონიელებმა უფრო მეტად გაილაღეს და მხოლოდ თავიანთი სიამოვნებისთვის თამაშობდნენ. მეტოქე მას ხელს ვერაფერში უშლიდა. "ალ სადი" პრაქტიკულად უბურთოდ დარბოდა. მატჩის ბოლოს ბურთის ფლობა ევროპელებს 69% ჰქონდათ. 35-ე წუთზე სამწუხარო ამბავი მოხდა ვილიას თავს. ფეხბურთელმა ფეხი მოიტეხა. ექიმები რამდენიმე წუთის განმავლობაში დასტრიალებდნენ თავს ფეხბურთელს და მხოლოდ ამის შემდეგ გადაიყვანეს საკაცეზე. მოგვიანებით ჩატარებულმა გამოკვლევამ საშინელი სურათი აჩვენა: მას წვივის დიდი ძვალი აქვს გატეხილი და გუნდს სეზონის ბოლომდე გამოაკლდება. ვილიას ნაცვლად მინდორზე **ალექსის სანჩესი** გამოვიდა. მოასწრებს თუ არა თავდამსხმელი ევროპის ჩემპიონატისთვის ფორმის აღდგენას, კიდევ საკითხავია. სანჩესის გამოსვლიდან მალევე "ბარსელონამ" მეორეც შეაგდო. ადრიანომ ბურთი საჯარიმოს მისადგომებთან მიიღო და თავისგან შორეულ, დაბალ კუთხეში გაიტანა 0:2, თუმცა აშკარა იყო მეკარის უმძიმესი შეცდომაც. ტაიმის ბოლო წუთებში "ალ სადმა" შეხვედრაში პირველად გაიბრძოლა. **აბდურ კადერ კეიტა აბიდალსა** და **მასკერანოს** გასცდა და საჯარიმოში შეიჭრა. ფრანგის თავგანწირული თამაშის წყალობით მან მაინც ვერ მოახერხა მეკარესთან ერთი-ერთზე დარჩენა. იმ პოზიციიდან კი რაც ჰქონდა, კარის ჩარჩოში ვერ დაარტყა – ხარიხას გადააცილა.

მეორე ტაიმი **ვალდესის** შეცდომით დაიწყო. მან ამჯერადაც "სცადა" საჯარიმოს ახლოს მყოფი მეტოქისთვის ბურთის ჩაბარება ("რეალთან" მას ეს "გამოუვიდა"), მაგრამ **მამადუ ნიანგმა** და კადერ კეიტამ ვერ შეძლეს ბურთის ხელში მოგდება. ისინი უბრალოდ არ ელოდნენ ასეთ საჩუქარს. 58-ე წუთზე სალვადორელმა არბიტრმა **ხოელ აგილარმა** საეჭვო გადაწყვეტილება მიიღო და **ლეო მესის** თამაშგარეს გამო ბურთი არ ჩაუთვალა. 64-ზე ანგარიში გამანადგურებელი გახდა – პედრო-**ინიესტა**-მესის შორის გათამაშებული კომბინაციის შემდეგ **სეიდუ კეიტა** მეკარესთან რანდევუზე დარჩა და იოლად დაჯაბნა – 0:3. მე-80 წუთზე მატჩს წერტილი დაესვა. **მოჰამედ კასოლამ** შეცვლაზე შესული **კუენკას** წინააღმდეგ იუხეშა. მართალია, მეტოქეს ვერაფერი დაუშავა და მკურნალობა აქეთ დასჭირდა, მაგრამ ყვითელი ბარათი კი დამსახურებულად მიიღო. საჯარიმო "ბარსელონამ" დიდებულად გაითამაშა. **მაქსველმა ალკანტარასგან** საჯარიმოში მოძრაობაში მიიღო პასი და მეკარეს მახვილი კუთხიდან დაურტყა - 0:4. მოჰამედ საკრი კიდევ ერთხელ შეცდა.

ამბები

ეროვნული ბიბლიოთეკა



### ლეონარდო უარყოფს

არანაირი **ტევესი** და არანაირი ოფიციალური წინადადებაო, დაახლოებით ასე ჟღერდა "პარი სენ-ჟერმენის" სპორტული დირექტორის **ლეონარდოს** პასუხი შეკითხვაზე, მართლა სცადეთ თუ არა "მანჩესტერ სიტიდან" კარლოს ტევესის გადაბირებაო. ბრაზილიელის მტკიცებით, მათ მანჩესტერში არც ერთი ოფიციალური ფაქსი არ გაუგზავნიათ. შესაბამისად მათ არგენტინელის ხელში ჩაგდება არ უცდიათ. თუკი ეს სიმართლეა, მაშინ შეგვიძლია "მილანი" ტევესისთვის ბრძოლაში ისევ უმთავრეს ფავორიტად მივიჩნიოთ. აქვე გეტყვით, რომ კარლოსმა გუშინ კიდევ ერთი ხმაურიანი განცხადება გააკეთა, სათამაშოდ გული მხოლოდ "ბოკა ხუნიორსისკენ" მიმიწევსო.

### უკვე დაწერილი ისტორია

პირველად 32 წლის შემდეგ, 1976/77 წლების სეზონიდან მოყოლებული, ფრანგული კლუბები უეფასა და ევროპის ლიგების 1/32-ედ ფინალებს მიღმა დარჩნენ. ჯგუფურ ეტაპზე ლიგა 1-ის ორადორმა წარმომადგენელმა გაალწია და ორივე მათგანი ჯგუფში ჩარჩა. "ბილბაოს", "ზალცბურგისა" და "სლოვანის" ჯგუფში "პარი სენ-ჟერმენმა" 6 შეხვედრაში 10 ქულით მესამე ადგილი დაიკავა, დაუთმო რა პლეი ოფის საგზური ავსტრიულ კოლექტივს ბურთების უარესი სხვაობის გამო. რაც შეეხება "რენს" მიუხედავად იმისა, რომ თავისი უკანასკნელი შეხვედრა გუშინ ჰქონდა ჩასატარებელი, მას უკვე დიდი ხანია განაღდებული ჰქონდა თავისი ბედი – "ატლეტიკოს", "უდინეზესა" და "სელტიკის" კამპანიაში ბრეტონელებს თავიდანვე მცირე შანსი ჰქონდათ. "რენს" გუშინდლამდე 5 შეხვედრაში 3 ფრე და 2 წაგება ჰქონდა.

### მვილათი გრანდები დაინტერესდნენ

გამოცემა COPE–ის ინფორმაციით, "რენის" 21 წლის საყრდენი ნახევარმცველის **იან მვილას** შეძენით "რეალი" და "ბარსელონა" დაინტერესდნენ. ფეხბურთელის გადაბირებას ზაფხულზე "პარი სენ-ჟერმენიც" ცდილობდა, მაგრამ მაშინ "რენის" პრეზიდენტმა **პატრიკ ლე ლაიმ** მოახერხა და ფეხბურთელს პირადად გადაათქმევინა კლუბის დატოვება. დაახლოებით ერთი თვის წინ იანმა თავად დაადასტურა, იანვარში "რენიდან" ფეხის მოცვლას არ ვაპირებ, აი, ევროპის ჩემპიონატის შემდეგ კი ჩემს კარიერაზე სერიოზულად დავფიქრდებიო. მისი თქმით, თუკი ფრანგული კლუბებიდან მომხიბლავი შემოთავაზება ექნება, ურჩევნია თამაში სამშობლოშივე განაგრძოს, თუ არადა წინადადებებს უცხოელებისგანაც განვიხილავო. მისი ნათქვამი პრესამ უმალ აიტაცა და ეს ფეხბურთელის მიერ "პარი სენ-ჟერმენის" პირდაპირ გამოწვევად მონათლა.

### კვარეშმა არც განიხილულა

ლისაბონის "სპორტინგის" სპორტულმა დირექტორმა **ლუიშ დუკმა** პორტუგალიურ პრესას განუცხადა, რომ მათ მიერ გავრცელებული ინფორმაცია "სპორტინგისა" და **რიკარდო კვარეშმას** შესაძლო თანამშრომლობის შესახებ ჰაერიდანაა მოტანილი. *"აშკარაა, რომ უახლოესი სატრანსფერო ფანჯარა ჩვენი კლუბისთვის განსაკუთრებული იქნება. ისინი, ვინც ჩვენი მოლოდინი ვერ გაამართლა, კლუბს დატოვებს, ვილაცა ტრავმირებულია და ღირსეული შემცვლელი სჭირდება, ვილაცისთვის უბრალოდ კარგ დუბლიორს ვეძებთ. იმისთვის, რომ გუნდში სათანადო კონკურენცია იყოს, რამდენიმე ფეხბურთელის შეძენა მოგვიწევს. კონკრეტულ სახელებსა და გვარებს ვერ დაგისახელებთ, მაგრამ პრესის მიერ დასახელებული რიკარდო კვარეშმას სახელი რომ არ გვიხსენებია, ეს ნაღდია"*, – განუცხადა დუკმა "ო ჟოგოს".

შეგახსენებთ, რომ რიკარდო "სპორტინგში" 2001/03 წლებში თამაშობდა.

### ბილეთები იარაღის ნაცვლად

ფიფა უახლოეს ხანებში განიხილავს ბრაზილიის საფეხბურთო კონფედერაციის ცოტა უცნაურ იდეას. საქმე იმაშია, რომ სამხრეთამერიკელები ფეხბურთის მამებს სთავაზობენ, 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე დასასწრები ბილეთები ბრაზილიელმა გულშემატკივრებმა, სურვილის შემთხვევაში, ცეცხლსასროლ იარაღში გადაცვალონ. შესაძლოა მათ დამატებით მონაწილე ქვეყნების ნაკრებების მაისურებიც ერგოთ. თუკი ეს იდეა განხორციელდა, ქვეყანაში შექმნილი სოციალური და კრიმინალური გარემო ბევრად გაუმჯობესდება, მაგრამ მარტივი შეკითხვა ისმება: როცა იარაღი, თუნდაც ძველი და უკვე ნაკლებად ეფექტური, ბევრად უფრო ძვირი ღირს, ვიდრე საფეხბურთო ბილეთი და სპორტული მაისურა ერთად აღებული, ვინ გაიმეტებს მას გადასაცვლელად?

ევრო 2012

# ბილეთების საკითხი



12 დეკემბრიდან მოყოლებული ევრო 2012-ის მონაწილე 15 ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ უკვე მისცა შესაძლებლობა გულშემატკივრებს, ევროპირველობის მატჩებზე დასასწრები ბილეთები შეიძინოს. ერთადერთი, ვინც ჯერჯერობით ამ საკითხის ორგანიზებას თავი ვერ მოაბა, რუსეთის საფეხბურთო კავშირია, - წერს თავის ვებგვერდზე საინფორმაციო ცენტრი "უკრაინა 2012". ეს ორგანიზაცია ბილეთებს გასაყიდად 20 დეკემბრიდან გაიტანს. რეალიზაციის წესი ჯერ არ დადგენილა.

ბილეთების გაყიდვის წესი ქვეყნების მიხედვით განსხვავებულია. ჩვენ ახლა იმას გაგაცნობთ, სად როგორ მიმდინარეობს აღნიშნული პროცესი.

პოლონეთი, ინგლისი, ირლანდია. გამომდინარე იქიდან, რომ ამ სამ ქვეყანაში დარეგისტრირებული საფეხბურთო ნაკრების გულშემატკივართა რაოდენობა ისედაც ძალიან ბევრია, ბილეთების შეძენის შანსს მხოლოდ ისინი მიიღებენ. ფედერაციები ყველა მათგანს რომ ვერ დააკმაყოფილებენ, გასაგებია. სწორედ ამიტომ მათ შორის ლატარია ჩატარდება. "რიგითი" პოლონელი გულშემატკივარი ბილეთებს მხოლოდ უეფას საიტზე თუ იყიდის.

ჰოლანდია. უეფას საიტზე ბილეთებზე განაცხადის წარდგენის უფლება ეროვნული ნაკრების მხოლოდ დარეგისტრირებულ ფანებს აქვთ.

შვედეთი, ხორვატია, ჩეხეთი. ნებისმიერ გულშემატკივარს შეუძლია უეფას ვებგვერდზე ბილეთის ყიდვა. ამ ქვეყნებში ოფიციალურად დარეგისტრირებულ გულშემატკივრებს ფედერაციები მათთვის გამოყოფილი კვოტიდან ცალკე ლატარიას მოუწყობენ.

საბერძნეთი, საფრანგეთი, იტალია. ნებისმიერ გულშემატკივრს შეუძლია უეფას ვებგვერდზე სასურველი ბილეთის ყიდვა, მაგრამ თუკი მოთხოვნა მიწოდებაზე მეტი იქნება, ფედერაციები უპირატესობას დარეგისტრირებულ ფანებს მიანიჭებენ.

გერმანია, პორტუგალია, ესპანეთი, უკრაინა. უეფას ვებგვერდზე ბილეთის ყიდვა ნებისმიერ მსურველს შეეძლება. ლატარიაში კი უპირატესობა ფანკლუბის წევრებს მიენიჭებათ.

დანია. უეფას გვერდზე ბილეთის შეკვეთა ყველას შეეძლება. შიდა ლატარიაში კი უპირატესობა ნაკრების ფანკლუბის წევრებს არ მიენიჭებათ.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**



● ევროთასები. პლეი ოფის კენჭისყრა




დღეს ეს კალათები ბევრს გადაწყვეტენ

# ვისი სული გსურს...
## აპოელ-ის თუ რეალის ან ბარსელონასი?

დღეს შვეიცარიის ქალაქ ნიონში, ევროპული ფეხბურთის სახლში ევროთასების საპლეიოფო კენჭისყრები გაიმართება. ჩვენი დროით 15 საათზე ჩემპიონთა ლიგია მერვედფინალისტები შეიტყობენ თავიანთ მეტოქეებს. ერთ საათში კი ევროპა ლიგი 1/16 და მერვედფინალური სტადიების წილისყრაც მოეწყობა. ბუნებრივია, საფეხბურთო სამყარო განსაკუთრებით ჩემპიონთა ლიგით არის დაინტერესებული, თუმცა არც ევროპა ლიგის მომავალი ბატალიები უნდა იყოს უინტერესო, ჩემპიონთა ლიგიდან იქ ხომ ისეთმა კლუბებმა გადაინაცვლეს როგორიც „მანჩესტერ იუნაიტედი", „მანჩესტერ სიტი" და „ვალენსიაა".

ბოლო დროის კენჭისყრებს, ჩვეულებისამებრ, უეფას გენერალური მდივანი **ჯანი ინფანტინო** უძღვება, რომელსაც უეფას საშეჯიბრო კომიტეტის დირექტორი **ჯორჯო მარკეტი** დაეხმარება. ჩემპიონთა ლიგის ბურთულებს მიუნხენის ფინალური მატჩის „ელჩი" **პაულ ბრაიტნერი** ამოიღებს, ხოლო ევროპა ლიგისას - ბუქარესტის ფინალური მატჩის „ელჩი" **მიოდრაგ ბელოდედიჩი**.

ჩემპიონთა ლიგის შემთხვევაში ყველაფერი მარტივადაა - ჯგუფურ ეტაპზე გამარჯვებულები განთესილები არიან, ხოლო მეორეადგილოსნები - განუთესავები. ამასთან, ერთი და იმავე ჯგუფის წარმომადგენლები, ისევე როგორც ერთი და იმავე ასოციაციის წევრები, ერთმანეთს არ დაუპირისპირდებიან მერვედფინალურ ეტაპზე. წყვილებში პირველ თამაშს შინ განუთესავები გამართავენ.

ევროპა ლიგის 1/16 ფინალური ეტაპის კენჭისყრა ასე წარიმართება: განთესილია 12 ჯგუფის გამარჯვებული, 12 ჯგუფის მეორეადგილოსანი კი - განუთესავი. რაც შეეხება ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპიდან გადმოსულ 8 გუნდს (მესამეადგილოსნები) 4 უკეთესი რეიტინგისა განთესილი იქნება, 4 უარესი - განუთესავი. ჯგუფური ეტაპის შედეგების მიხედვით, ცნობილი გახდა 4 საუკეთესო მესამეადგილოსანი, რომელიც დღევანდელ კენჭისყრაზე განთესილი იქნება: „მანჩესტერ სიტი", „მანჩესტერ იუნაიტედი", „ოლიმპიაკოსი" და „ვალენსია". განუთესავები არიან: „პორტუ", „აიაქსი", „ტრაბზონი" და „ვიქტორია".

ევროპა ლიგაზეც იგივე შეზღუდვებია, ერთი და იმავე ასოციაციის გუნდები ერთმანეთს არ ხვდებიან, ისევე როგორც ერთი და იმავე ჯგუფის წევრები. განთესილები საპასუხო მატჩებს შინ თამაშობენ. კენჭისყრის შემდეგ წყვილები დაინომრება და იქვე მერვედფინალური ეტაპის წილისყრაც გაიმართება. ამასთან, ბურთულიდან ამოსული პირველი წყვილის გამარჯვებული პირველ მატჩს შინ გამართავს.

ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალებში გასული 16 გუნდიდან 7 ამ ტურნირის ყოფილი გამარჯვებულია, ხოლო 4 - ახალბედა. მართალია, „ბაზელს" ლიგის მე-2 ჯგუფურ ეტაპზე უთამაშია (ახლა ეს ეტაპი გაუქმებულია), მაგრამ პლეი ოფისთვის ეს შვეიცარიული კლუბი დებიუტანტია, ისევე როგორც კვიპროსული აპოელი, „ნაპოლი" და „ზენიტი". ამ კვარტეტმა უკვე დიდ შედეგს მიაღწია. კენჭისყრას რომ დიდი მნიშვნელობა აქვს, თქმა არ უნდა - განუთესავ გუნდს შეიძლება შეხვდეს კვიპროსული აპოელი ანდა, ვთქვათ, „ბარსელონა" ან „რეალი". დაგვეთანხმებით, კვიპროსული ფეხბურთის გმირი-კლუბისადმი დიდი პატივისცემის მიუხედავად, განსხვავება უზარმაზარია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

| განთესილები |
|---|
| ბაიერნი (გერმანია) |
| ინტერი (იტალია) |
| ბენფიკა (პორტუგალია) |
| რეალი (ესპანეთი) |
| ჩელსი (ინგლისი) |
| არსენალი (ინგლისი) |
| აპოელ (კვიპროსი) |
| ბარსელონა (ესპანეთი) |

| განუთესავები |
|---|
| ნაპოლი (იტალია) |
| ცსკა (რუსეთი) |
| ბაზელი (შვეიცარია) |
| ლიონი (საფრანგეთი) |
| ლევერკუზენი (გერმანია) |
| მარსელი (საფრანგეთი) |
| ზენიტი (რუსეთი) |
| მილანი (იტალია) |

*პირველი მერვედფინალური მატჩები გაიმართება 14/15 და 21/22 თებერვალს, საპასუხოები - 6/7 და 13/14 მარტს.*

● ევროპა ლიგა. ჯგუფური ეტაპი ბოლო ტური




### A ჯგუფი

**პაოკ-რუბინი 1:1**

გოლები: 1:0 ვიერინია (16-პენ.), 1:1 ვალდესი (48).

**შემროკი-ტოტენჰემი 0:4**

გოლები: 0:1 პიენაარი (29), 0:2 თაუნსენდი (38), 0:3 დეფო (45), 0:4 კეინი (90).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პაოკ | 6 | 3 | 3 | 0 | 10-6 | 12 |
| 2. რუბინი | 6 | 3 | 2 | 1 | 11-5 | 11 |
| 3. ტოტენჰემი | 6 | 3 | 1 | 2 | 9-4 | 10 |
| 4. შემროკი | 6 | 0 | 0 | 6 | 4-19 | 0 |

### B ჯგუფი

**ჰანოვერი-ვორსკლა 3:1**

გოლები: 1:0 რაუში (25), 2:0 ია კონანი (33), 2:1 ბეზუსი (45-პენ.), 3:1 სობიეჩი (78).

**კოპენჰაგენი-სტანდარდი 0:1**

გოლი: 0:1 ბატშუაი (31).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სტანდარდი | 6 | 4 | 2 | 0 | 9-1 | 14 |
| 2. ჰანოვერი | 6 | 3 | 2 | 1 | 9-7 | 11 |
| 3. კოპენჰაგენი | 6 | 1 | 2 | 3 | 5-9 | 5 |
| 4. ვორსკლა | 6 | 0 | 2 | 4 | 4-10 | 2 |

### C ჯგუფი

**ჰაპოელი თ.-ლეგია 2:0**

გოლები: 1:0 ტომა (33), 2:0 იადინი (76).

**პსვ-რაპიდი 2:1**

გოლები: 1:0 მანოლევი (75), 2:0 მატავჟი (79), 2:1 პანკუ (90).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსვ | 6 | 5 | 1 | 0 | 13-5 | 16 |
| 2. ლეგია | 6 | 3 | 0 | 3 | 7-9 | 9 |
| 3. ჰაპოელი | 6 | 2 | 1 | 3 | 10-9 | 7 |
| 4. რაპიდი | 6 | 1 | 0 | 5 | 5-12 | 3 |

### G ჯგუფი

**ალკმაარი-მეტალისტი 1:1**

გოლები: 0:1 დევიჩი (37), 1:1 მაჰერი (37).

**აუსტრია-მალმიო 2:0**

გოლები: 1:0 ლინდი (62), 2:0 ბარაზიტე (80).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მეტალისტი | 6 | 4 | 2 | 0 | 15-6 | 14 |
| 2. ალკმაარი | 6 | 1 | 5 | 0 | 10-7 | 8 |
| 3. აუსტრია | 6 | 2 | 2 | 2 | 10-11 | 8 |
| 4. მალმიო | 6 | 0 | 1 | 5 | 4-15 | 1 |

### H ჯგუფი

**ბირმინგემი-მარიბორი 1:0**

გოლები: 1:0 ა. რუნი (24).

**ბრიუგე-ბრაგა 1:1**

გოლები: 1:0 ვლემინცკი (50), 1:1 ევერტონი (65).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბრიუგე | 6 | 3 | 2 | 1 | 12-9 | 11 |
| 2. ბრაგა | 6 | 3 | 2 | 1 | 12-6 | 11 |
| 3. ბირმინგემი | 6 | 3 | 1 | 2 | 8-8 | 10 |
| 4. მარიბორი | 6 | 0 | 1 | 5 | 6-15 | 1 |

### I ჯგუფი

**უდინეზე-სელტიკი 1:1**

გოლები: 0:1 ჰუპერი (29), 1:1 დი ნატალე (45).

**ატლეტიკო-რენი 3:1**

გოლები: 1:0 ფალკაო (38-პენ.), 2:0 დომინგესი (42), 3:0 არდა (79), 3:1 მანჯეკი (86).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ატლეტიკო | 6 | 4 | 1 | 1 | 11-4 | 13 |
| 2. უდინეზე | 6 | 2 | 3 | 1 | 6-7 | 9 |
| 3. სელტიკი | 6 | 1 | 3 | 2 | 6-7 | 6 |
| 4. რენი | 6 | 0 | 3 | 3 | 5-10 | 3 |




● აღიარება

# მადრიდული გალა: ტრიუმფი ტიტულის დაკარგვის მერე

ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ (IFFHS) ესპანური პრიმერა დივიზიონი მსოფლიოს 2010 წლის საუკეთესო საკლუბო პირველობად აღიარა. მართალია, უკვე 2011 წელი სრულდება, მაგრამ საზეიმო დაჯილდოვება ახლახან მოეწყო - IFFHS-ს წარმომადგენლებმა ესპანეთის პროფესიული ფეხბურთის (LFP) პრეზიდენტი **ხოსე ლუის ასტიაზარანი** შესაბამისი ჯილდოთი დაასაჩუქრა. ლა ლიგამ 2010 წელს 1092 ქულა მოაგროვა და გაუსწრო ინგლისის პრემიერლიგას (1039) და იტალიის სერია A-ს (1021).

ეს ორგანიზაცია 1991 წლიდან ახარისხებს საკლუბო ჩემპიონატებს და უკვე მეხუთედ მოხდა, რომ ესპანური პრიმერა დივიზიონი ყველას არჩია. სხვათა შორის, უკვე ცნობილია, რომ 2011 წლის მონაცემებით, ლა ლიგამ პირველობა დაკარგა და პრემიერლიგას გადაულოცა.

საზეიმო ცერემონიალი მადრიდში გაიმართა, **ვისენტე დელ ბოსკემ** 2010 წლის საუკეთესო სანაკრებო თავკაცისთვის განკუთვნილი პრიზი მიიღო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**




ხერხემლის დეკომპრესია DRX9000™ სისტემა

მედცენტრი Shine

გაწუხებთ სპორტული დატვირთვით გამოწვეული პრობლემები?



გთავაზობთ მალთაშუა დისკის პათოლოგიების მკურნალობას ოპერაციის გარეშე

მწვავე ტკივილების მოხსნას წელისა და ქვედა კიდურების არეში

დისკოზის, რადიკულიტის, ოსტეოქონდროზის მკურნალობა

ჩაწერა წინასწარ
ტელ: 2 230 330

მის: კეკელიძის 14
www.shine.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული სპორტი

ძიუდო. ჩინეთის ტურნირი

# ქართული კონკურენცია ჩინეთში




ხვალ ჩინურ ქინგდაოში ძიუდოისტთა სეზონის ბოლო შეჯიბრება - „დიდი პრიზის" ტურნირი იწყება, რომელიცთან სალიცენზიო სტატუსისაა. იქ ჩვენგან მხოლოდ ორი ათლეტი იჭიდავებს და ორივე 100 კილოგრამში - მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **ირაკლი ცირეკიძე** და ევროპის ვიცე-ჩემპიონი **ლომერ ჟორჟოლიანი**. თუმცა ცირეკიძის საკითხი დიდწილად კვლავაც იმ ტრავმის ხარისხზეა დამოკიდებული, რომელიც წინა კვირას ტოკიოში, ძიგორო კანოს სახელობის „დიდ მუზარადზე" გამოსვლისას მიიღო - ნეკნი და ფეხი იტკინა. მათ კვირას უწევთ გამოსვლა და, იმედია, იქამდე დარჩენილი დრო მათ გამოჯანმრთელებას სასიკეთოდ წაადგება.

უკვე ჩატარდა წილისყრა. ცირეკიძეც და მისი მომავალი მეტოქეც, უნგრელი **ბალინტ ფარკაშიც** პირველ წრეში ისვენებენ და ერთმანეთს მეორეში ხვდებიან. ცირეკიძე მოგების შემთხვევაში მერვედფინალში გავა, სადაც მისი მეტოქე იაპონელ **რიუნოსუკე ჰაგას**, ტაჯიკ **მუხამადმურად აბდურ. ხმანოვის** და ფრანგ მსოფლიოს პრიზიორ **ტიერი ფაბრის** სამეულის ორთაბრძოლაში გაირკვევა. თუმცა მეოთხედფინალამდე ცირეკიძის მთავარი კონკურენტი მაინც კორეელი მსოფლიოს ჩემპიონი (ოღონდ 90-ში) **ჰე-ტაე ჰვანგი** გვგონია. ის 100-ში გადმონაცვლების შემდეგაც კარგად ასპარეზობს და დეკემბერში ორი ფინალიც იჭიდავა - კორეის მსოფლიოს თასზე და კანოს ტურნირზე, სადაც ფეხში ხელით შესვლისთვის მოხსნეს.

ცირეკიძეს ასცდა მისთვის უხერხული მეტოქე, ჰოლანდიიდან ბელგიაში გადაბარგებული ევროპის ორგზის ჩემპიონი **ელკო ფან დერ ხესტი**, რომელიც ბადის მეორე მხარესაა, ჟორჟოლიანისკენ, თუმცა მასაც ნახევარფინალამდე ვერ შეხვდება. ჟორჟოლიანს მეოთხედფინალამდე არცთუ რთული ბადე აქვს - თავდაპირველად ისვენებს და მაროკოელ **ადილ ფიკრისა** და ამერიკელ **შინტარო ჰიგაჩის** შორის მოგებულის გამოვლენას დაელოდება. გრანდები არც მერვედფინალის სავარაუდო მეტოქეებში არიან - ფრანგი **სირილ მარეტი** და ჩინელი **დონგმინგ ჩაო**, აი, მეოთხედფინალში კი მეორე მხრიდან, ალბათ, ეგვიპტელი მსოფლიოს პრიზიორი **რამადან დარვიში** გადმოვა, ვისთანაც ჩვენებური წლეულს პარიზში მსოფლიოს პირველობაზე დამარცხდა.

ამ წონაში ამჯერად რამდენიმე ისეთი ფალავანიც გამოდის, რომლებსაც კანოზე არ უჭიდავიათ. მაგალითად, იგივე ფან დერ ხესტი. სამაგიეროდ, ჩინეთში არც კანოს ტურნირის მომგები რუსი **სერგეი სამოილოვიჩი** ჩასულა და არც იაპონელი მსოფლიოს ჩემპიონი **ტაკამასა ანაი**. საერთოდ, მსოფლიოს რეიტინგის მოწინავე ათეულის რამდენიმე წევრი არ ჭიდაობს, თუმცა ტურნირი მაინც ძლიერი შემადგენლობისაა.

შეგახსენებთ, რომ ჩვენებს ჩინურ ტურნირზე რამდენიმე მიზანი ამოძრავებთ - გაარკვიონ დაძაბული შიდა კონკურენცია; მსოფლიოს რეიტინგში მყარად დამკვიდრდნენ მოწინავე 16-ეულში, რათა 14-15 იანვარს ალმატიში მასტერსზე გამოსვლის უფლება მოიპოვონ, რაც შეიძლება წინ წაიწიონ ოლიმპიურ რეიტინგში და მოხვდნენ საუკეთესო რვა ფალავანში, ეს კი ოლიმპიადაზე განთესილებში მოხვედრის საშუალებას მისცემთ. ჯერჯერობით, ვიდრე ორ წელზე უფრო ადრე ჩატარებული შეჯიბრების შედეგი განულდება და ახალი რეიტინგი ოფიციალურად გამოქვეყნდება, ჟორჟოლიანი მსოფლიოში XIII, ოლიმპიურში კი XII ადგილზეა, ცირეკიძე, შესაბამისად, XV და XII. ახალი რეიტინგი ქულებს მხოლოდ ჟორჟოლიანს ჩამოაკლებს, რომელიც ოდნავ უკან გადაინაცვლებს. ამდენად, ქინგდაოში წარმატებით გამოსვლა ორივეს ფრიად წაადგება.

**ირაკლი თავაძე**

ჭიდაობა

# მოსალოდნელი ცვლილებები წესებში

***ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაცია (FILA) გაისიდან წესებში გარკვეული ცვლილებების შეტანას გეგმავს ორივე სტილის ჭიდაობაში. რეფორმები ორივეგან კენჭისყრას ეხება - FILA ამ საკამათო და აბსოლუტურად ულოგიკო ეპიზოდის დახვეწას ცდილობს. თუმცა ეს ყველაფერი ჯერ მხოლოდ იდეის, განხილვის დონეზეა, მათი გამოცდა კი გაისად სეზონის დასაწყისშივე ორ ტურნირზე იგეგმება.***

ბერძნულ-რომაულში აქამდე თუ წუთ-ნახევრის გასვლის შემდეგ ჩოქბჯენში ჩადგომა სავალდებულო იყო, ახლა ასე აღარ იქნება. ამიერიდან, ამ პერიოდში ერთი ქულა თუ მაინც გაკეთდება, შეხვედრა დგომში გაგრძელდება, ყოველგვარი წილისყრის გარეშე, მაგრამ თუ ანგარიში 0:0 იქნება, მაშინ ჩოქბჯენი ჩვეულებრივად ამოქმედდება, არსებული წესებით. ასევე განზრახულია დაწყების მომენტის შეცვლაც - ხელის ჩამორთმევის ტრადიციული რიტუალის შემდეგ მეტოქეები ერთმანეთს ბეჭებით დაახლოებით ისე უნდა მიეყრდნონ, როგორც ჯვრის შეკვრისას ეყრდნობიან. ოღონდ ეს ცვლილება რას ისახავს მიზნად, ზუსტად ვერ გეტყვით.

ცვლილება იგეგმება „თავისუფალთა" წესებშიც. კერძოდ, ბადურაში უკვე ოთხი ბურთულა მოთავსდება - ორი წითელი და ორიც ლურჯი. მსაჯი რომელ ბურთულასაც ამოიღებს, იმას მერე გვერდით გადადებს და განმეორებით წილისყრაში ის მონაწილეობას აღარ მიიღებს ანუ ბადურაში სამი ბურთულა დარჩება. არბიტრი ასევე გადადებს მეორედ ამოღებულსაც ანუ დამატებითი დროისთვის მხოლოდ ორი დარჩება გათამაშებაში. ამ ცვლილების არსი შემდეგია - ადრინდელი წესებით ისეც ხდებოდა, რომ სამივე შემთხვევაში შეიძლებოდა ერთი და იმავე ფერის ბურთულა ამოსულიყო ანუ ერთ ფალავანს მაქსიმალურად უმართლებდა, მეორე კი ასევე მაქსიმალურად იჩაგრებოდა. ახლა რაღაც შანსი მეორესაც ეძლევა. შეიძლება ისეც მოხდეს, ძირითად დროში ორივეჯერ წითელი ამოვიდეს, თუმცა პერიოდები მაინც 1:1 დასრულდეს. ამ შემთხვევაში დამატებითში წითელი ბურთულა აღარ იქნება ბადურაში და ლურჯი შევა ფეხში ანუ უპირატესობას ის იღებს. თუმცა ვიმეორებთ, ეს ცვლილებები ჯერ მხოლოდ განხილვის დონეზეა, რაზეც ახლახან ლონდონში გამართულ ოლიმპიურ ტესტზე შეთანხმდნენ, სადაც ჩვენები არ გამოდიოდნენ. მათი გამოცდა უახლოეს შეჯიბრებებზე იგეგმება, მაგრამ კონკრეტული ტურნირები ჯერ არ შეურჩევიათ.

აქვე გეტყვით, რომ 24-25 დეკემბერს თბილისში, ახალგარემონტებულ სპორტკომპლექს „არენაში" (ყოფილი სკა) ბერძენ-რომაელთა საქართველოს ჩემპიონატი გაიმართება, რომელშიც მონაწილეობას ქვეყნის ყველა უძლიერესი ფალავანი მიიღებს. მათ შორის მსოფლიოს ორგზის ვერცხლის მედალოსანი მანუჩარ ცხადაია, რომელიც ამჯერად ზედა წონაში - 74-ში აპირებს ჭიდაობას.

**ირაკლი თავაძე**



# სეზონი მოჭიდავეებმაც შეაჯამეს

გუშინ წლის შემაჯამებელი აღმასკომის სხდომა საქართველოს ჭიდაობის ფედერაციამაც გამართა, რომელსაც ფედერაციის, სპორტის სამინისტროს, ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელები და სხვადასხვა ასაკობრივი ნაკრებების თავკაცები ესწრებოდნენ. სეზონი ფედერაციის პრეზიდენტმა **კახა გეწაძემ** შეაჯამა, რომელმაც ხაზი ჩავარდნებსაც გაუსვა და აღნიშნა, რომ მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის მოპოვება ვერც წლეულს მოახერხეს, თუმცა სპორტის ოლიმპიური სახეობებიდან პირველხარისხოვან ტურნირებში ოქროს მედლის მოპოვება მხოლოდ მათ შეძლეს - **რევაზ ლაშხი** (60) ევროპის ჩემპიონი გახდა.

ფედერაციამ სხვებთან შედარებით იყოჩაღა სალიცენზიო ტურნირებშიც - მის ანგარიშზე ყველაზე მეტი - 5 საგზურია, თუმცა ესეც ძირითადად თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა დამსახურებაა, თორემ ბერძენ-რომაელებმა ჯერჯერობით მხოლოდ 1 ლიცენზია მოიპოვეს. გეწაძემ გაისად ფედერაციის უმთავრეს ამოცანად, რაც შეიძლება მეტი საგზურის მოპოვება და ოლიმპიური ჩემპიონობა დაასახელა.

სხდომაზე ხაზი უმცროსი ასაკის ნაკრებთა გამოსვლასაც გაესვა - ევროპისა და მსოფლიოს პირველობებზე ჭაბუკებმა და ახალგაზრდებმა 39 მედალი დაიმსახურეს. აქედან 8 ოქროა, 13 - ვერცხლი და 18 - ბრინჯაო.

**ირაკლი თავაძე**

იუბილარი



# ქართული ჭიდაობის ამაგდარი

საგარეჯო ფალავნებით განთქმული რაიონია. ბევრმა მათგანმა სპორტული სარბიელიდან წასვლის შემდეგ თავად დაიწყო შეგირდების დაოსტატება და აქაც თვალსაჩინო წარმატებას მიაღწია. ასეთთა შორისაა პატარძეულელი **გივი ეპიტაშვილი**. ბავშვობა მეორე მსოფლიო ომის წლებში გამოიარა, დაობლდა. სპორტი ობლისთვის დიდი ქომაგიაო - ხშირად ამბობს. 16 წლისამ პირველად მოიპოვა საქართველოს ჩემპიონის ტიტული ქართულ ჭიდაობაში, გახდა სპორტის ოსტატი. დაამთავრა მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი და ახალგაზრდა თაობის სპორტულ მომზადებას დაუკავშირა მთელი ცხოვრება. ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობა დაუფასდა - 2000 წელს საქართველოს დამსახურებული მწვრთნელ-მასწავლებლის, 2003 წელს კი საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკის წოდებები მიენიჭა. გამოსცა ავტობიოგრაფიული წიგნი „ცხოვრების გზა გიორგი ლეონიძემ დამილოცა". გამოაქვეყნა სხვა ნაშრომიც. არის საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის წევრი. გაწეული ამაგისთვის ძიუდოს ფედერაციამ სამკერდე ნიშნით დააჯილდოვა.

2004 წლიდან მშობლიური სოფლის სპორტის თავკაცია. მართალია, უკვე 70 წლისაა, მაგრამ კვლავაც ახალგაზრდული ენერგიით ემსახურება საყვარელ საქმეს. Ⓡ

მკითხველი - გაზეთი. გამოხმაურება

# ქართული სპორტი და ჩვენ!

მთავრდება 2011 წლის სპორტული სეზონი. როგორი იყო იგი ქართული სპორტისთვის, რა უნდა გაკეთდეს სამომავლოდ უფრო შთამბეჭდავი წარმატებებისა და მსოფლიო სპორტულ სამყაროში უფრო ღრმა ინტეგრაციისთვის?

მოდით, ერთად შევაფასოთ 2011 წლის მონაგარი და ასევე ერთად დავსახოთ პერსპექტივა. ქვემოთ შემოთავაზებულ სამ შეკითხვაზე თქვენი აზრი შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ჩვენი გაზეთის მე-2 გვერდზე საცნობარო ბლოკში გამოქვეყნებული ნებისმიერი საკონტაქტო საშუალებით. მაშ ასე:

**1. როგორ აფასებთ ქართული სპორტის 2011 წლის შედეგებს? რამ გაგახარათ და რამ დაგწყვიტათ გული?**

**2. სადაც არ გაგვიმართლა, თქვენი აზრით, რა არის მთავარი მიზეზი?**

**3. რა ღონისძიებების გატარება მოგვიტანს უფრო საამაყო შედეგებს 2012 წელს? მიგაჩნიათ თუ არა, რომ გარდა მაღალი სპორტული მიღწევებისა, ქვეყანაში უნდა შემუშავდეს სპორტის საყოველთაო ხელმისაწვდომობის პროგრამა - „სპორტი ყველასთვის" და როგორ გესახებათ „ლელოს" როლი ქართული სპორტის წინსვლაში?**

გმადლობთ ყურადღებისთვის!

### დღეს გთავაზობთ კიდევ ერთ გამოხმაურებას

1. ნახევარ საუკუნეზე მეტია თვალყურს ვადევნებ ქართულ სპორტს და ვამაყობ შინ თუ გარეთ მიღწეული წარმატებებით. ვერ ვიტყვი, რომ წლევანდელი წელიწადი განსაკუთრებით გამორჩეული იყო საერთაშორისო სპორტულ სარბიელზე მაღალი შედეგებით, მაგრამ არც იმის დაუნახაობა იქნება, რაც მომავალი გამარჯვებების საწინდარი უთუოდ გახდება. მხედველობაში მაქვს ინფრასტრუქტურის განვითარება, მაღალკვალიფიციური მწვრთნელების მოწვევა, არც ლეგიონერებზე მაქვს ალერგია, მთავარია, მათ გაამართლონ და ჩვენ ახალგაზრდებს ადგილი კი არ წაართვან გუნდში, არამედ მისაბაძად იქცნენ მაღალი ოსტატობით. მადლობა მორაგბეებს და კალათბურთელებს ევროპის და მსოფლიოს არენებზე თავის გამოჩენისთვის. გული ნამდვილად დამწყვიტა ფეხბურთელთა ნაკრების წარუმატებლობამ. მოკლედ, როდემდე?

2. სადაც არ გაგვიმართლა, მიზეზები სპეციალისტებმა უკეთ იციან. მე კი გულშემატკივრის გადასახედიდან ვიტყვი და ნურავინ მიწყენს: მგონია, რომ სპორტსმენთა ახალგაზრდა თაობას აკლია მიზანსწრაფვა და პასუხისმგებლობა მიზნის მიღწევაში. იოლად არაფერი მოდის, მით უმეტეს დღევანდელ სპორტში, როცა მეტოქეზე უპირატესობის მოპოვება არა მხოლოდ ფიზიკურ, ტექნიკურ და ტაქტიკურ, არამედ ფსიქოლოგიურ მომზადებასა და პატრიოტიზმზეცაა დამოკიდებული.

3. მომავალი 20.12 წელი ოლიმპიურია და კარგი იქნება, თუ მთელ ჩვენს ქვეყანაში იგი ოლიმპიურ წლად გამოცხადდება. ამაზე უკეთესი სპორტის პროპაგანდისთვის რა იქნება. დიახ, სპორტი არა მხოლოდ სპორტსმენებისთვის, არამედ ყველასთვის. სპორტის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროებმა, სხვა უწყებებმა თავიანთი წვლილი უნდა შეიტანონ, რათა მასობრივი სპორტი ჩადგეს ადამიანების კეთილდღეობის სამსახურში.

**თევრადი ედილაშვილი**
ქარელი

## სპორტული ფედერაციების, ორგანიზაციების, კლუბების, რეგიონების ქალაქების და რაიონების საყურადღებოდ!

„ლელო" ქართული სპორტის მემატიანეა, მაგრამ თქვენ ამიერიდან შესაძლებლობა გეძლევათ, სპეციალური გვერდების მომზადებით, მომავალს უფრო ვრცლად შემოუნახოთ თქვენი საქმიანობის დღევანდელობა და წინსვლა, ქართული სპორტის განვითარებაში შეტანილი წვლილი.

დაწვრილებითი ცნობებისთვის დაგვიკავშირდით ჩვენი გაზეთის მე-2 გვერდზე საცნობარო ბლოკში მითითებული კავშირის ნებისმიერი საშუალებით.

## ლელოზე ხელმომწერთა საყურადღებოდ!

ხელმოწერის გამარტივებული პროცესი, დროული და გარანტირებული მიწოდება.

დარეკეთ: 238 26 73; 238 26 74. კვირის გარდა.

ჭადრაკი



# მესამე ცდა

დღეს უთენია თურქეთისკენ აილო გეზი საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ნაკრებმა, რომელიც 18-28 დეკემბერს ქალაქ მარდინში ქალთა მსოფლიოს გუნდურ ჩემპიონატში დაიცავს ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას. ქართველი დიდოსტატები (**ნანა ძაგნიძე, ლელა ჯავახიშვილი, ნინო ხურციძე, ბელა ხოტენაშვილი, სალომე მელია,** კაპიტანი **ნინო გურიელი,** მწვრთნელები - **ზურაბ სტურუა, თამაზ გელაშვილი**) მედლებისთვის წრიული სისტემით ჩინეთის, რუსეთის, უკრაინის, სომხეთის, საბერძნეთის, ინდოეთის, თურქეთის, ვიეტნამისა და სამხრეთ აფრიკის ნაკრებ გუნდებს დაუპირისპირდებიან.

- მსოფლიოს გუნდურ ჩემპიონატში მესამედ ჩავებმებით - გვითხრა გამგზავრების წინ **ნინო გურიელმა.** - წინა ორ შეჯიბრებაში მე-4 ადგილები დავიკავეთ და მედლების მოპოვებამდე მცირედი დაგვაკლდა. ვეცდებით, დანაკლისი ახლა ავინაზღაუროთ, თუმცა ეს ძალიან ძნელი იქნება. თუ წინა შეჯიბრებებში სამი-ოთხი გუნდი იბრძოდა ჯილდოებისთვის, ამ ჩემპიონატზე მათი რაოდენობა ხუთ-ექვსამდე გაიზარდა. უპირველესი ფავორიტია ჩინეთი, რომლის შემადგენლობაში ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი ჰოუ იფანი ითამაშებს, ინდოელთა ძლიერი გუნდის ლიდერია ჰამფი კონერუ, რომელსაც ქალთა მსოფლიო რეიტინგში მეორე ადგილი უკავია. რუსეთი ბოლო ოლიმპიადისა და ევროპის ჩემპიონატების ორგზის გამარჯვებულია. ცხადია, უკრაინას და სომხეთსაც მედლებისკენ უჭირავთ თვალი. ყოველივეს მიუხედავად, ოპტიმისტურად ვარ განწყობილი და ვფიქრობ, თურქეთიდან უმედლოდ არ დავბრუნდებით.

**ვაჟა დანელია**

ავტორის ფოტო

# ჯობავა ევროპას დაუპირისპირდება

ვარშავაში დღეს დაიწყება და სამ დღეს გასტანს მოჭადრაკე ვაჟთა ევროპის ჩემპიონატი ბლიცსა და სწრაფ ჭადრაკში, რომლებშიც სხვადასხვა ქვეყნის 430-მდე წარმომადგენელი იასპარეზებს საპრიზო ადგილებისთვის, მათ შორის - 60 დიდოსტატი. მედლების მაძიებელთა შორის ერთადერთი ქართველი იქნება - გალელი **ბაადურ ჯობავა,** რომელმაც ამას წინათ მილანის საერთაშორისო ტურნირში 9 შესაძლებლიდან 8,5 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. ჩვენებურს მეტოქეობას გაუწევენ 2700-იანთა კლუბის წევრები - იან ნეპომნიაშჩი (რუსეთი, 2730), ეტიენ ბაკრო (საფრანგეთი, 2714), არკადი ნაიდიჩი (გერმანია, 2712), ალექსანდრ რიაზანცევი (რუსეთი, 2710), იუდით პოლგარი (უნგრეთი, 2710), ალექსეი დრეევი (რუსეთი, 2710), რადოსლავ ვოიტაშეკი (პოლონეთი, 2705), ალექსეი შიროვი (ესპანეთი, 2705).




დღეს მოჭადრაკეები ბლიცში დაუპირისპირდებიან ერთმანეთს შვეიცარიული სისტემით 13 ტურად (თითოეული პარტიისთვის 3 წუთი + ყოველი სვლისთვის 2 წამი), ხვალ და ზეგ კი, ასევე, შვეიცარიული სისტემით 13 ტური (15 წუთი + 10 წამი) გამოავლენს სწრაფ ჭადრაკში გამარჯვებულს.

**ვაჟა დანელია**

# პოზიციები დათმო

ჩინეთის დედაქალაქში დღეს დამთავრდება მსოფლიო ინტელექტუალური თამაშების პროგრამით გათვალისწინებული საჭადრაკო ბატალიები. სწრაფი ჭადრაკისა და ბლიცის შემდეგ დიდოსტატები დაფაზე დაუხედავად ცდიან ძალებს. ე.წ. „ბრმა თამაშში" ასპარეზობის მონაწილეებს (16-16 ქალ-ვაჟი) პარტიის ბოლომდე 20 წუთი ეძლევათ ყოველ სვლაზე 20 წამის დამატებით. უკვე გაუწყეთ, რომ **ნანა ძაგნიძემ** სტარტზე ზედიზედ ორი გამარჯვება იზეიმა, გუშინდელი დღე კი აშკარად მისი არ იყო - სამი შესაძლებლიდან მონაგარს მხოლოდ ნახევარი ქულა შესძინა: მესამე ტურში თეთრებით ჩინელ ძიუ ვენძიუნთან დამარცხდა, შემდეგ კატერინა ლახნოს (უკრაინა) დაუზავდა, მე-5 ტურში კი ორგზის მსოფლიოს ჩემპიონ ჰოუ იფანთან (ჩინეთი) წააგო. ხუთი შესაძლებლიდან 2.5 ქულას მოუყარა თავი. 4,5 ქულით ერთპიროვნულად ევროპის წლევანდელი ჩემპიონი ვიქტორია ჩმილიტე (ლიტვა) დაწინაურდა. ლიდერს ნახევარი ქულით ჩამორჩება ჰოუ იფანი. 3-3 ქულით მესამე-მეხუთე ადგილებს ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი), ძიუ ვენძიუნი და კატერინა ლახნო იყოფენ.

ვაჟებში ხუთი ტურის შემდეგ ასეთი სატურნირო მდგომარეობაა: მაქსიმ ვაშიე-ლაგრავი (საფრანგეთი) - 4, ზოლტან ალმაში (უნგრეთი), ვუგარ გაშიმოვი (აზერბაიჯანი) - 3,5-3,5, ვან ჰაო (ჩინეთი), შაჰრიარ მამედიაროვი, ვასილი ივანჩუკი (უკრაინა) - 3-3 ქულა.

დღეს ტურნირზე დარჩენილი ორი ტური გათამაშდება და გამარჯვებულთა და პრიზიორთა ვინაობაც გაირკვევა.

**ვაჟა დანელია**


# თავისუფალი პრესის მხარდაჭერის ორგანიზაცია

ქ.თბილისში პრესის გავრცელების ახალი ფორმებისა და სისტემების შექმნისა და განვითარებისათვის

## აცხადებს კადრების მიღებას:

**1. აღმასრულებელი დირექტორი**

*ზოგადი ფუნქცია-მოვალეობები:*

სამუშაო პროცესების მართვა და ორგანიზება;
სტრატეგიული გეგმის და განვითარების შემუშავება;
დამფუძნებელთან კოორდინაცია პროექტების განვითარებისა და განხორციელებისათვის;
დაქვემდებარებული პერსონალის მართვა, მიმართულებების მიცემა და მათი კონტროლი;
მომსახურების ხარისხის შენარჩუნება და გაუმჯობესება;
მოლაპარაკების წარმართვა პარტნიორ ორგანიზაციებთან;
პროექტის ფინანსური ანალიზი;
ინგლისურ ენაზე პროექტების დიზაინი და პრეზენტაცია;
ხელფასი — 1500 ლარიდან

**2. რეგიონალური განვითარების მენეჯერი**

*ზოგადი ფუნქცია-მოვალეობები:*

სამუშაო პროცესების მართვა და ორგანიზება;
სამუშაო პროცესების უშუალო კონტროლი და თვალყურის დევნება;
კლიენტებთან ურთიერთობა;
შესრულებული სამუშაოს ანალიზი და შეფასება;
ორგანიზაციის რეგიონალურ გავითარებაზე ზრუნვა;
ხელფასი — 1000 ლარიდან

**3. ოფისის მენეჯერი**

*ზოგადი ფუნქცია-მოვალეობები:*

ხელმძღვანელის მიერ დაკისრებული და სხვა ორგანიზაციული საკითხების მოგვარება;
ოფისის საქმიანობის ტექნიკური და ადმინისტრაციული უზრუნველყოფა;
სატელეფონო ზარებზე პასუხი;
სარეკლამო კომპანიებთან ურთიერთობა;
საოფისე დოკუმენტაციის კონტროლი და ორგანიზება;
ხელფასი — 800 ლარიდან

**8. PR მენეჯერი:**

კომპანიის საზოგადოებრივი ურთიერთობების სტრატეგიების განსაზღვრა და განვითარება;
პიარ ღონისძიებების დაგეგმვა და ორგანიზება;
ბაზრის კვლევა, ინფორმაციის ანალიზი და შესაბამისი დასკვნები;
პროექტის იმიჯის ჩამოყალიბება და ცნობადობის უზრუნველყოფა;
ხელფასი — 800 ლარიდან

**4. მთავარი ბუღალტერი**

*ზოგადი ფუნქცია-მოვალეობები:*

ყოველდღიური საბუღალტრო ოპერაციების შესრულება
საკუთარი და დაქვემდებარებაში მყოფი თანამშრომლების სამუშაო გეგმის კოორდინირება და
მონიტორინგი
ყველა საბუღალტრო ოპერაციებზე მაქსიმალური პასუხისმგებლობა
დაძაბულ სამუშაო პირობებში დაკისრებული ვალდებულებების დროულად და ხარისხიანად
შესრულება
ხელფასი — 1000 ლარიდან

**5. ბუღალტერ-ოპერატორი**

*ზოგადი ფუნქცია-მოვალეობები:*

პირველადი ბუღალტრული დოკუმენტების შედგენა;
შედგენილი დოკუმენტაციის ბუღალტრულ პროგრემებში გატარება;
ხელფასი — 500 ლარიდან

**6. ექსპედიტორი**

*ზოგადი ფუნქცია-მოვალეობები:*

დისტრიბუციასთან დაკავშირებული დოკუმენტების გაფორმება სათანადო წესით;
არსებული სადისტრიბუციო ქსელის მომარაგება;
საქმიანი ურთიერთობების ეთიკა;
ავტომანქანის მართვის მოწმობა B ან C კლასის და მართვის გამოცდილება;
ხელფასი — 600 ლარიდან

**7. განაწილების პუნქტის ხელმძღვანელი**

ახალი პრესის ობიექტების მოძიება და ათვისება;
მონაწილეობის მიღება პრესის გამყიდველების შერჩევაში;
შესასრულებელი სამუშაოს ორგანიზება;
პრესით ვაჭრობასთან დაკავშირებული ოპერაციების წარმოება და მათი შესაბამისი აღრიცხვა-ანგარიშგება;
დაკისრებული ვალდებულებების დროულად და ხარისხიანად შესრულება;
ხელფასი — 800 ლარიდან.

**9. გამყიდველი (რეალიზატორი)**

მოთხოვნები:
გაყიდვებში გამოცდილება;
ასაკი 18-დან 55-წლამდე;
ხელფასი — 300 ლარიდან (+ ბონუსები)

გთხოვთ CV გაგზავნოთ მისამართზე press.vakansia@gmail.com ან დარეკოთ: 599 793425

თავისუფალი პრესის მხარდაჭერის ორგანიზაცია არაკომერციული იურიდიული პირია, მისი დაფინანსების ძირითადი წყაროები შემოწირულობები და გრანტებია.
დამფუძნებელია „საქართველოს პრესის ასოციაცია"

## მოქალაქეებს და ორგანიზაციებს!

თუ გსურთ მონაწილეობა მიიღოთ თავისუფალი სიტყვის მხარდაჭერაში, შეგიძლიათ გააკეთოთ თქვენი შენატანი „თავისუფალი პრესის მხარდაჭერის ორგანიზაციის" ანგარიშებზე:

1. „ბანკი ქართუ". ბ.კ. CRTUGE22; ა.ნ. GE56 CR01 20007000273608
2. „თიბისი ბანკის ც.ფ.". ბ.კ. TBCBGE22; ა.ნ. GE28 TB77 47836020100001

ფინანსური შენატანის მინიმალური ოდენობა შეზღუდული არ არის.



## FM 107,9

ყოველ შაბათ-კვირას 15.00-22.00 რადიო „საქართველოს ხმის" (FM 107,9) პირდაპირ ეთერში - ქართული და მსოფლიო სპორტის სიახლეები, მიმდინარე და დასრულებული სპორტული ასპარეზობების შედეგები, სტუმარი, ვიქტორინა და საინტერესო პრიზები გადაცემაში „სპორტ ონლაინ" დონ ედოსთან ერთად.

გადაცემის საინფორმაციო მხარდამჭერი - გაზეთი „ლელო".





ფოტომატიანე



1945 წ. ლევან ლუდუშაური (მარცხნივ) და ანდრო ნავასარდოვი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

**სუპერლიგა. IX ტურის რჩეულნი**

# მონდომება და მოასწრება

გასულ უქმეებზე სუპერლიგაში მეტად არათანაბარი მატჩები გაიმართა. შესაძლოა სწორედ ამიტომ გამარჯვებული გუნდების კალათბურთელებმა სტატისტიკა ლამაზად გაიფერადეს. **რიჩარდ მათიაშვილმა** და **ლაშა გამყრელიძემ** სამმაგი დუბლები მიითვალეს (მათ მონაგარს სიმბოლურ ნაკრებში იხილავთ), **ლარი ბლერმა** საკუთარი მეტსახელი, „მექულე მექანიზმი" ბოლომდე გაამართლა, 33 ქულა ჩააგდო და „სამედიცინოს" დიდი სხვაობით დამარცხება განაპირობა. სიმბოლურ ნაკრებში მეორე ქუთაისელიც მოხვდა - **გიგი ბარბაქაძე**, რომელმაც 7-დან 7 სამქულიანი გამოიყენა და 31 ქულამდე ავიდა.

სიმბოლურში ნაგებული გუნდის წარმომადგენელიც შევიყვანეთ - „მედიკოსი" **ბექა ბექაური**. მან ბევრი იშრომა და 21 ქულას 12 მოხსნა წაუმატა.

დღეს შემოგთავაზებთ ინტერვიუს ტურის ერთ-ერთ MVP-სთან, რიჩარდ მათიაშვილთან, რომელსაც 11 მოხსნის, 12 ქულისა და 13 პასის მოსაგროვებლად, არც მეტი, არც ნაკლები, 24 წუთი ეყო.

**- ასეთი სტატისტიკის გაფორმება 24 წუთში როგორ მოასწარი?**

- ძალიან მოვინდომე. როგორც წესი, საკუთარ მონაგარს დიდ ყურადღებას არ ვაქცევ, მეტ მნიშვნელობას გუნდურ თამაშს ვანიჭებ. თუმცა სტუ-სთან თამაშისას დავაკვირდი, რომ ბევრი პასი მომიგროვდა. მატჩის შემდეგ ოქმში სამმაგი დუბლის დაფიქსირება ნამდვილად გამიხარდა. უფრო სასიამოვნო ის იყო, რომ ტურში ერთბაშად ორი ტრიპლ-დაბლი დაფიქსირდა - ლაშა გამყრელიძემაც კარგად ითამაშა.

**- სტუ-სთან იოლად გაიმარჯვეთ, არადა, ამ გუნდთან დიდი სხვაობით მოგება ყველას უჭირს...**

- როგორც უკვე ვთქვი, მატჩს მონდომებულები და სათანადოდ მომზადებულები შევხვდით, რადგან ვიცოდით, რომ ძლიერ გუნდთან გვქონდა საქმე. სტუ-მ ხომ „სამედიცინოც" დაამარცხა. საბოლოო შედეგი მატჩისადმი სწორმა მიდგომამ განაპირობა.

**- „ქუთაისის" სხვა კალათბურთელებსაც მაღალი მარგი ქმედების კოეფიციენტები ჰქონდათ...**

- თითოეულმა ჩემმა თანაგუნდელმა კარგად ითამაშა. თუმცა სხვებისგან მაინც გიგი ბარბაქაძეს გამოვარჩევ, რომელმაც 31 ქულა მოაგროვა. მთავარი კი ისაა, რომ უმცროსმა „ველურამ" 7-დან 7 სამქულიანი ჩააგდო, რაც, არათუ საქართველოს ჩემპიონატის, NBA-ის კალათბურთელებსაც უჭირთ.

**- მიმდინარე სეზონში „ქუთაისისგან" რას უნდა ველოდეთ?**

- ჯერ ფორმის პიკში არ ვართ. გეგმიურად მივდივართ და ოპტიმალურ კონდიციებს პლეი ოფისთვის უნდა მივაღწიოთ. მთავარი ბრძოლები ხომ გაზაფხულიდან დაიწყება. თუმცა არც რეგულარული ჩემპიონატია უინტერესო, რადგან თითქმის ყველა გუნდი კარგი ლეგიონერებით გაძლიერდა.








| | |
|---|---|
| არმია-ბათუმი | 102:68 |
| სამედიცინო-შსს | 80:105 |
| სტუ-ქუთაისი | 78:107 |
| დინამო-ოლიმპი | 66:99 |
| რუსთავი-თსუ | 81:103 |

### რეკორდები

**ქულა**

**40 - ლევან ფაცაცია (სოხუმი)**
2-ქულ 14/18; 3-ქულ 2/5; საჯ 6/6
11.11.11 ბათუმი-სოხუმი

**მოხსნა**

**18 - ზვიად ანთაძე (სტუ)**
(მეტოქ: 5; საკუთ: 13)
04.11.11 ბათუმი-სტუ

**18 - ქიენ კარტერი (დინამო)**
(მეტოქ: 7; საკუთ: 11)
05.11.11 დინამო-სამედიცინო

**18 - ქიენ კარტერი (დინამო)**
(მეტოქ: 10; საკუთ: 8)
19.11.11 დინამო-რუსთავი

**პასი**

**14 - ლაშა გამყრელიძე (ოლიმპი)**
29.10.11 შსს-ოლიმპი
14 - ლაშა გამყრელიძე (ოლიმპი)
10.12.11 დინამო-ოლიმპი

**ჩაჭრა**

**7 - რევაზ ჩაჩანიძე (რუსთავი)**
29.10.11 სტუ-რუსთავი
**7 - ნიკა რამიშვილი (ბათუმი)**
11.11.11. ბათუმი-სოხუმი

**დაფარება**

**6 - ილიცა მილუტინოვიჩი (ოლიმპი)**
15.10.11 თსუ-ოლიმპი
**6- ბექა ბექაური (სამედიცინო)**
05.11.11. დინამო-სამედიცინო

**ქულა**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | ქ | ქ.საშ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ლაშა ფარლალავა | სოხუმი | 8 | 212 | 26.5 |
| 2 | ლევან ფაცაცია | სოხუმი | 8 | 207 | 25.88 |
| 3 | რობერტ კრეპსი | შსს | 8 | 181 | 22.63 |
| 4 | ქიენ კარტერი | დინამო | 5 | 112 | 22.4 |
| 5 | თორნიკე ნინიაშვილი | თსუ | 8 | 163 | 20.38 |
| 6 | ბექა ჩიკვილაძე | სამედიცინო | 9 | 164 | 18.22 |
| 7 | გიორგი ბარბაქაძე | ქუთაისი | 9 | 153 | 17 |
| 8 | ირაკლი მიქელაძე | ბათუმი | 8 | 132 | 16.5 |
| 9 | ნიკიტა სლიუკა | ოლიმპი | 8 | 130 | 16.25 |
| 10 | დუდა სანაძე | დინამო | 8 | 124 | 15.5 |
| 11 | ლევან ხმელიძე | რუსთავი | 8 | 124 | 15.5 |
| 12 | ავთანდილ ელიაშვილი | ბათუმი | 8 | 123 | 15.38 |
| 13 | გიორგი ხანიაშვილი | სტუ | 8 | 121 | 15.13 |
| 14 | გიორგი გამყრელიძე | ოლიმპი | 7 | 104 | 14.86 |
| 15 | რიჩარდ მათიაშვილი | ქუთაისი | 8 | 116 | 14.5 |
| 16 | მიხეილ ბერიშვილი | ოლიმპი | 7 | 101 | 14.43 |
| 17 | ვასილ ბერუაშვილი | სტუ | 8 | 114 | 14.25 |

**მოხსნა**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | მ.დაც | მ.შეტ. | მ.სულ | მ.საშ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ქიენ კარტერი | დინამო | 5 | 34 | 39 | 73 | 14.6 |
| 2 | ლევან ფაცაცია | სოხუმი | 8 | 25 | 71 | 96 | 12 |
| 3 | ილიცა მილუტინოვიჩი | ოლიმპი | 8 | 19 | 66 | 85 | 10.63 |
| 4 | თორნიკე ნინიაშვილი | თსუ | 8 | 27 | 53 | 80 | 10 |
| 5 | ბექა ბექაური | სამედიცინო | 9 | 32 | 53 | 85 | 9.44 |
| 6 | ლაშა კეშელავა | ბათუმი | 8 | 15 | 56 | 71 | 8.88 |
| 7 | ივო ჰოგერი | ოლიმპი | 7 | 29 | 33 | 62 | 8.86 |
| 8 | ზურა მაჩალაძე | სტუ | 8 | 25 | 44 | 69 | 8.63 |
| 9 | რიჩარდ მათიაშვილი | ქუთაისი | 8 | 22 | 46 | 68 | 8.5 |
| 10 | მიხეილ ბერიშვილი | ოლიმპი | 7 | 12 | 42 | 54 | 7.71 |

**პასი**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | პ | პ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | გიორგი გამყრელიძე | ოლიმპი | 7 | 61 | 8.71 |
| 2 | დავით არწივიძე | რუსთავი | 8 | 57 | 7.13 |
| 3 | მიხეილ ჩიტაშვილი | თსუ | 7 | 47 | 6.71 |
| 4 | სანდიეტა გეინსი | არმია | 6 | 39 | 6.5 |
| 5 | ირაკლი მიქელაძე | ბათუმი | 8 | 46 | 5.75 |
| 6 | ლაშა ფარლალავა | სოხუმი | 8 | 40 | 5 |
| 7 | ლევან ცეკვავა | ქუთაისი | 8 | 36 | 4.5 |
| 8 | რიჩარდ მათიაშვილი | ქუთაისი | 8 | 35 | 4.38 |
| 9 | რობერტ კრეპსი | შსს | 8 | 35 | 4.38 |
| 10 | დავით ბერიშვილი | თსუ | 7 | 29 | 4.14 |
| 11 | გიორგი გაფრინდაშვილი | სოხუმი | 8 | 33 | 4.13 |

**ჩაჭრა**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | ჩ | ჩ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ნიკა რამიშვილი | ბათუმი | 8 | 22 | 2.75 |
| 2 | სანდიეტა გეინსი | არმია | 6 | 15 | 2.5 |
| 3 | რევაზ ჩაჩანიძე | რუსთავი | 8 | 18 | 2.25 |
| 4 | შალვა კოხრეიძე | თსუ | 8 | 18 | 2.25 |
| 5 | ვასილ ბერუაშვილი | სტუ | 8 | 18 | 2.25 |
| 6 | გიორგი გულისაგედაშვილი | ოლიმპი | 8 | 16 | 2 |
| 7 | დუდა სანაძე | დინამო | 8 | 15 | 1.88 |
| 8 | გიორგი გამყრელიძე | ოლიმპი | 7 | 13 | 1.86 |
| 9 | ნოელ დეივი | დინამო | 5 | 9 | 1.8 |

**დაფარება**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | დ | დ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბექა ბექაური | სამედიცინო | 9 | 22 | 2.44 |
| 2 | სერგო ათუაშვილი | სოხუმი | 6 | 10 | 1.67 |
| 3 | ჟოლივეტ ტუჯანი | შსს | 8 | 13 | 1.63 |
| 4 | ნემანია ილიჩი | სამედიცინო | 7 | 11 | 1.57 |
| 5 | ილიცა მილუტინოვიჩი | ოლიმპი | 8 | 12 | 1.5 |
| 6 | ვასილ ბერუაშვილი | სტუ | 8 | 11 | 1.38 |
| 7 | სოსო შერმადინი | თსუ | 8 | 10 | 1.25 |
| 8 | იოაკიმ შელბომი | არმია | 8 | 10 | 1.25 |

**შეცდომა**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | შ | შ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ლაშა ფარლალავა | სოხუმი | 8 | 37 | 4.63 |
| 2 | გიორგი გამყრელიძე | ოლიმპი | 7 | 32 | 4.57 |
| 3 | ლევან ცეკვავა | ქუთაისი | 8 | 32 | 4 |
| 4 | ირაკლი მიქელაძე | ბათუმი | 8 | 27 | 3.38 |
| 5 | მიხეილ ჩიტაშვილი | თსუ | 7 | 21 | 3 |
| 6 | გიორგი ხანიაშვილი | სტუ | 8 | 24 | 3 |
| 7 | ნიკა რამიშვილი | ბათუმი | 8 | 23 | 2.88 |
| 8 | ბექა ჩიკვილაძე | სამედიცინო | 9 | 25 | 2.78 |
| 9 | ირაკლი ძიძიგური | სტუ | 7 | 19 | 2.71 |
| 10 | გივი ბაძრაძე | დინამო | 8 | 21 | 2.63 |

**ქართველი ევროლიგაზე**

# მარცხი მილანში



ბელგიურმა „შარლერუამ" ევროლიგის წლევანდელ გათამაშებაში ბოლოსწინა მატჩი ჩაატარა - მილანში „არმანის" ეთამაშა და 35 ქულის სხვაობით დამარცხდა (53:88).

თანაბრად ჩატარებული პირველი პერიოდის შემდეგ მილანელებმა ინიციატივა ხელთ იგდეს და პირველი ტაიმის ბოლოსვე გამარჯვებაზე სერიოზული განაცხადი გააკეთეს - 48:30.

შარლერუელმა ქართველმა **თორნიკე შენგელიამ** მატჩი სასტარტო ხუთეულში დაიწყო, 23 წუთი ითამაშა და 4 ქულას 2 მოხსნა მიამატა. მის ანგარიშზე 6-დან 2 ორქულიანია.

დასაწყისში დავწერეთ - „შარლერუამ" ბოლოსწინა თამაში ჩაატარაო. გადაწყვეტილია, რომ ბელგიური კლუბი ტოპ-16-ში ველარ ითამაშებს, 2 მოგება, 7 წაგება აქვს და ცხრილში მეექვსე ადგილზეა. თავის მხრივ გამსვლელ კვარტეტში მოხვედრისთვის „მილანსაც" დიდი ბრძოლა ელის - გადამწყვეტ ტურში „პარტიზანს" უმასპინძლებს. იტალიელებს მეოთხე ადგილზე გადასასვლელად 5 და მეტი ქულის სხვაობით მოგება სჭირდებათ.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ კონსტანტინე მიქაუტაძესთან

# ძალიან მინდა ეროვნულ გუნდში ფეხი მოვიკიდო



წლეულს, თბილისში გამართულ მსოფლიოს ახალგაზრდულ „ალაფაზე" საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებმა მესამე ადგილი დაიკავა. მიუხედავად ამისა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ნაკრების მორაგბეთა ეს თაობა, ბოლო წლებში ერთ-ერთი საუკეთესო და ყველაზე იმედისმომცემია.

სწორედ ამ ნაკრების წევრები არიან საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტური, პირველი დივიზიონის ერთ-ერთი ლიდერის, „ტულონის" შერკინების ბურჯი ლევან ჩილაჩავა და მეორეხაზელი კონსტანტინე მიქაუტაძე. ორივე მათგანმა ტულონელთა ძირითად შემადგენლობაში ევროთასების გათამაშების ორ შეხვედრაში იასპარეზა. მიქაუტაძეს კი ახლახან, სულაც საფრანგეთის ჩემპიონატში ჰქონდა დებიუტი „აჟენთან" შეხვედრაში, რომელიც კოტემ ლელოთი აღნიშნა. ასეთი სტარტით არათუ ქართველი, ბევრი, რაგბის საკმაოდ დიდი ტრადიციების მქონე ქვეყნის წარმომადგენელიც ვერ დაიკვეხნის.

ცოტა რამ მიქაუტაძის შესახებ. ის 20 წლისაა და სიმაღლით ზუსტად ორი მეტრია, წონა - 115 კილოგრამი. ასეთი ასაკის მოთამაშისთვის, ეს საკმაოდ შთამბეჭდავი მონაცემებია. ამასთან საკმაოდ სხარტი და ფიზიკურად ძლიერია.

მიქაუტაძე საფრანგეთში სამი წელიწადია თამაშობს. ჯერ „აჟენის" ესპუართა გუნდში ირჯებოდა. პერსპექტიული მორაგბე მალე მოხვდა ბევრი სკაუტის თვალთახედვის არეში და წლეულს, სეზონის დაწყების წინ ვარსკვლავებით მოჭედილ „ტულონში" გადაბარგდა. კოტე თავდაპირველად, ცხადია, ესპუართა გუნდში თამაშობდა, თუმცა თავდადებული შრომის წყალობით ნელ-ნელა ძირითადი გუნდისკენ გაიკაფა გზა.

კარიერის ამჟამინდელ ეტაპსა და მომავლის გეგმებზე სასაუბროდ, კონსტანტინე მიქაუტაძეს ტულონში დავუკავშირდით.

**- უწინარესად გილოცავთ საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატში დებიუტსა და წარმატებულ ასპარეზობას. ჩვენთვის საინტერესოა, რა შეგრძნებაა, ფრანგული რაგბის ერთ-ერთი უძლიერესი კლუბის ძირითად შემადგენლობაში თამაში?**

- „აჟენთან" სადებიუტო მატჩს ჩემთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ის ფაქტი, რომ გუნდის 22-კაციან განაცხადში მოვხვდი, უკვე ბევრს ნიშნავდა. მით უფრო, რომ მეტოქე არ იყო ხელწამოსაკრავი. ის სატურნირო ცხრილში ჩვენი მეზობელი იყო და პლეი ოფში გასვლისთვის იბრძვის.

თამაშის წინ ძალიან ვღელავდი. მოედანზე 58-ე წუთზე შევედი და სანამ თამაშში არ ჩავები, ნერვები უკიდურესად დაძაბული მქონდა. მინდა გითხრათ, რომ იმ მომენტში, როცა გვერდით ხაზთან ვიდექი, რათა თანაგუნდელი შემეცვალა, სულ არ მახსოვდა, ეს მატჩი სადებიუტო რომ იყო. როგორც კი თამაშის ორომტრიალში ჩავერთე, ნერვიულობამ იმწამსვე გამიარა და საბოლოოდ ყველაფერი კარგად დასრულდა.

**- როგორც წესი, სადებიუტო მატჩის წინ მწვრთნელი პირისპირ ესაუბრება სპორტსმენს. თამაშამდე ბერნარ ლაპორტმა რა გითხრათ?**

- დიახ, ლაპორტმა შემადგენლობის გამოცხადებისა და მატჩისთვის გეგმის დასახვის შემდეგ, ცალკე გამიხმო და მითხრა – მთავარია, არ ინერვიულო, ეცადე წესის დარღვევის გარეშე, უჯარიმოდ ითამაშო და ყველაფერი რიგზე იქნებაო. ყველანაირად ვეცადე, მისი დარიგება გამეთვალისწინებინა და, ვფიქრობ, ცუდად არ მითამაშია.

**- როგორი მწვრთნელია ბერნარ ლაპორტი?**

- ძალიან ძლიერი სპეციალისტია. იცით ალბათ, რომ 2003 წლის მსოფლიოს თასზე საფრანგეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი იყო. რაც ეგ გუნდში მოვიდა, ახალგაზრდებს მეტ ყურადღებას გვაქცევენ.

**- ლელოს გატანა სადებიუტო მატჩში ბევრისთვის აუხდენელი ოცნებაა, ბევრი ამაზე არც ოცნებობს. ხომ არ გაიხსენებდით, როგორ მოხდა ეს?**

- მეტოქის 22-მეტრიან ზონაში ავსტრალიელმა მეთ გიტომ ხაზი გაჭრა და ზედ ჩათვლის მოედანთან შეაჩერეს. ლელომდე სულ რალაც ერთი მეტრი იყო დარჩენილი. ცხადია, რაკიდან ბურთის ხაზზე გატანას აზრი არ ჰქონდა. ამიტომ მორკინალების მოკლე დარტყმებით ვცდილობდით მიზნის მიღწევას. ერთ-ერთ ეპიზოდში შევნიშნე, რომ ლელოს დაუცველ ხაზთან ახლოს ვიყავი და მიუხედავად იმისა, რომ ცხრა ნომერი მთელი ხმით გაჰკიოდა, ბურთი ხაზზე გამოიტანეთო, ავილე და ლელოში გადავდე. სულ ეს იყო, ძალიან გამიხარდა. ყველა თანაგუნდელი ალალად მილოცავდა ამ წარმატებას.

**- „ტულონი" ვარსკვლავებით სავსე გუნდია, ჯონი ვილკინსონი, მეთ გიტო, ჯო ფან ნიკერკი და სხვები. როგორი ურთიერთობა გაქვთ მათთან?**

- „ტულონში" მართლაც ბევრი ვარსკვლავია, ძალიან მაღალი დონის მოთამაშეები არიან, თუმცა რამდენადაც დიდი პოპულარობით სარგებლობენ, მით უფრო თავმდაბლები და კარგი ადამიანები არიან. ყველასთან, მათ შორის ჩემი ასაკის მორაგბეებთანაც ჩვეულებრივად, ყოველდღიურად როგორც ტოლ-სწორთან, ისე ურთიერთობენ. ყველა ერთად ვართ, ახალგაზრდა და ასაკოვანი, ცნობილი და უცნობი აქ არ არსებობს. ყველას ერთი საქმე გვაქვს.

**- „ტულონში" თქვენს გარდა დავით ქუბრიაშვილი და ლევან ჩილაჩავა თამაშობს. მათი პოზიციები გუნდში რამდენად მყარია?**

- ქუბრიაშვილი დიდი ხანია „ტულონის" ძირითადის მოთამაშეა, მან გუნდთან კიდევ სამი წლით გაახანგრძლივა კონტრაქტი, რაც თავისთავად მეტყველებს, თუ რა წონა აქვს კლუბში. ლევანი ჩემი ტოლია და ევროთასების გათამაშებაში ძირითად გუნდში ორჯერ უკვე ითამაშა.

**- უნდა ვივარაუდოთ, რომ თქვენი თამაშით კმაყოფილნი არიან. კონტრაქტის გახანგრძლივებას ხომ არ გთავაზობენ?**

- დიახ, ნამდვილად კმაყოფილნი არიან. მომავალ უქმეებზე „ემლინ ჩელენჯ კაპის" გათამაშებაში ინგლისურ „ნიუკასლს" ვმასპინძლობთ და გუნდის გაფართოებულ შემადგენლობაში ისევ დამასახელეს. ვნახოთ, ალბათ, მათამაშებენ კიდეც.

რაც შეეხება კონტრაქტის გახანგრძლივებას, „ტულონში" კიდევ ერთი წლით დარჩენას მთხოვენ. მაგრამ, სავარაუდოდ, ალბათ, არ დავთანხმდები. ფინანსური პირობები არ მაკმაყოფილებს და შემოთავაზებებს სხვა კლუბებიდან დაველოდები.

**- როგორ უყურებენ ქართველ მორაგბეებს ახალ ზელანდიაში გამართული მსოფლიოს თასის გათამაშების შემდეგ. შეიცვალა თუ არა რამე ჩვენს მორაგბეებთან მიმართებაში?**

- მსოფლიოს თასის გათამაშების დასრულების შემდეგ, დამოკიდებულება ჩვენ მიმართ რადიკალურად შეიცვალა. ყველა ერთხმად აღნიშნავს, რომ საქართველოს ნაკრებს ძალზედ დიდი პროგრესი აქვს. ადრე ეგონათ, რომ რაგბის ასეთ მაღალ დონეზე თამაში არ შეგვეძლო. ახლა ასე აღარ ფიქრობენ. დღეს ისე გვიყურებენ, როგორც ძლიერ, საშიშ მეტოქეს.

**- საქართველოს ნაკრებს ახალი მწვრთნელები ჰყავს. „ბორჯღალოსნებს" ორი ახალზელანდიელი გაწვრთნის. რას ფიქრობთ ამის თაობაზე?**

- საქართველოს ნაკრები ჩემთვის უპირველესია და მხოლოდ ამის შემდეგ არის მნიშვნელოვანი საკლუბო კარიერა. ეროვნულ ნაკრებში სამ მატჩში ვითამაშე ბუქარესტში გამართულ ტურნირზე და ძალიან მინდა, გუნდში ფეხი მოვიკიდო.

რაც შეეხება ახალ მწვრთნელებს, ახალზელანდიელები, ზოგადად, განთქმული, მაღალი დონის სპეციალისტები არიან. იმედია, ახალი მწვრთნელებიც ასეთნი იქნებიან. ვნახოთ, ყველაფერს დრო გვიჩვენებს.



შეტევაშია კონსტანტინე მიქაუტაძე

რეაქცია



# უცხოური პრესა ახალ მწვრთნელებზე

ცნობა საქართველოს ნაკრებში ახალი მწვრთნელების დანიშვნის შესახებ, ცხადია, უმალვე მოედო ახალზელანდიურ მედიას. აქაური მედია საშუალებები ფარულნარევი სიამაყით წერენ, რომ მათი თანამემამულეები მსოფლიოში ყველაზე პროგრესირებად ნაკრებს ჩაუდგებიან სათავეში.

აი, რას წერს ახალზელანდიური „ჰერალდი" (www.nzherald.co.uk)

*„ახალზელანდიელი მწვრთნელები მილტონ ჰეიგი და კრის გიბსი საქართველოს ნაკრების მწვრთნელებად დაინიშნენ. ისინი ამ ქვეყნის ეროვნულ გუნდს იანვარში ჩაიბარებენ და მოუთმენლად ელიან იმ დროს, როცა დაიწყებენ მუშაობას გუნდში, რომელმაც 2011 წელს შესანიშნავად იასპარეზა მსოფლიოს თასის გათამაშებაში.*

*შევახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრებმა რუმინეთის ეროვნული ნაკრები 25:9 დაამარცხა და ინგლისს, შოტლანდიასა და არგენტინას ცხოვრება გაუმწარა.*

*ჰეიგი და გიბსი ხელს მოაწერენ ორწლიან კონტრაქტს, რომელიც, შესაძლოა, კიდევ ორი წლით გახანგრძლივდეს, თუ ეს მწვრთნელები წარმატებულად იმუშავებენ.*

*- ჩვენ ვიცით, რომ ახალზელანდიელები რაგბით ცხოვრობენ და სუნთქავენ. ვფიქრობთ, რომ მილტონი და კრისი ქართულ რაგბის სხვა, გაცილებით მაღალ დონეზე აიყვანენ.*

*საქართველოს ახლა ძალიან მჭიდრო კავშირი აქვს ახალზელანდიურ რაგბისთან. ჩვენ მადლიერნი ვართ მათი მუდმივი მხარდაჭერის გამო. მსოფლიოს თასის დასრულების შემდეგ, როცა ახალი მწვრთნელების ძებნა დავიწყეთ, ამ ქვეყნის ფედერაციამ დიდი დახმარება გაგვიწია, მათ რამდენიმე ძალიან მაღალი დონის სპეციალისტის კანდიდატურა შემოგვთავაზეს.*

*ნაკრების მწვრთნელობის კანდიდატებს შორის იყვნენ ფრანგი და ბრიტანელი სპეციალისტებიც, თუმცა ჩვენ არჩევანი მილტონსა და კრისზე შევაჩერეთ, რადგან გავითვალისწინეთ მათი ცოდნა, გამოცდილება და სურვილი, საქართველოში დასახლდნენ - გვითხრა საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა გიორგი ნიჟარაძემ.*

*ჰეიგმა, რომელიც მორაგბეობისას ცხრა ნომრის პოზიციაზე თამაშობდა და მოგვიანებით ახალი ზელანდიის მაორების მთავარი მწვრთნელის თანაშემწე იყო, სიხარული გამოთქვა, რომ შესანიშნავი შანსი მიეცა, საერთაშორისო არენაზე თავისი შესაძლებლობების გამოსავლენად"*

მსოფლიოს თასის ექო

# მაკქოუ ფრანგების კრიტიკას პასუხობს

მსოფლიოს თასის გათამაშება ახალ ზელანდიაში თითქმის ორი თვეა რაც დასრულდა, თუმცა ურთიერთბრალდებები ფინალური მატჩის მონაწილეების მხრიდან დღემდე გრძელდება. „ოლ ბლექსის" კაპიტანმა **რიჩი მაკქოუმ** ფრანგთა შუამარბის **ორელიან რუჟერის** კრიტიკას უპასუხა.

*„ფრანგები, როცა რალაცის ეშინიათ, აუტანლად ცუდები ხდებიან. ისინი იმდენად დაეცნენ, რომ თამაშისას პირდაპირ თვალების ამოკორტნას ცდილობდნენ. იმის ნაცვლად, რომ ამისთვის დაესაჯათ, აქეთ შეტევაზე გადმოდიან და ათას სიბინძურეს გვაბრალებენ.*

*ამას სჯობია, ყველამ თავის გულში ჩაიხედოს"* - თქვა მან.

# იან რიჩი ინგლისურ რაგბის უხელმძღვანელებს

ინგლისის რაგბის კავშირმა ოფიციალურად განაცხადა, რომ ამ ორგანიზაციის აღმასრულებელ დირექტორად დაინიშნა **იან რიჩი.** ნისლიანი ალბიონის რაგბის ახალი ხელმძღვანელი 58 წლისაა და აქამდე ინგლისის ჩოგბურთისა და კრიკეტის კლუბის ხელმძღვანელი იყო. მის საქმიანობასთანაა დაკავშირებული ჩოგბურთში დიდი სლემის ერთ-ერთი ტურნირის, „უიმბლდონის" მზარდი პოპულარობა და ფინანსური წარმატება.

შეგახსენებთ, რომ ინგლისის რაგბის კავშირი, მას შემდეგ, რაც ივნისში აღმასრულებელი დირექტორი **ჯონ სტილი** გადადგა, „უთავოდ" იყო. ცხადია, ამან ქვეყნის რაგბის კარგი არაფერი მოუტანა. ახლა „ჩაძირვის პირას მისული გემის" გადარჩენა რიჩის მიანდეს, რომელსაც მაღალი დონის მენეჯერის რეპუტაცია აქვს.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური სპორტი

● კალათბურთი



კენი ფრიზი

# კრივი თუ კალათბურთი?

ბრანდიოზული ჩხუბით დასრულდა სტუდენტთა ლიგის შეხვედრა ქსავიერისა და ცინცინატის უნივერსიტეტის გუნდებს შორის.

მატჩი მასპინძელი გუნდის - „ქსავიერის“ უპირატესობით მიმდინარეობდა - სხვაობა 20 ქულას აჭარბებდა და როგორც ჩანს, ამან მწყობრიდან გამოიყვანა „ცინცინატის“ კალათბურთელები.

ჩხუბი მოედანზე მას შემდეგ ატყდა, რაც სტუმრების კალათბურთელმა **იენსი გეიტსმა** ისე ჩაარტყა მუშტი თვალში **კენი ფრიზს**, რომ ნებისმიერ მოკრივეს შეშურდებოდა.

ამის შემდეგ სიტუაცია მოედანზე უკონტროლო გახდა და საბოლოოდ, მთავარ მსაჯს მატჩის ნაადრევად დასრულებამ მოუწია.

მოგვიანებით, სადისციპლინო კომიტეტმა თითო გუნდიდან ოთხ-ოთხი კალათბურთელი დასაჯა დისკვალიფიკაციით. მაგალითად, იენსი გეიტსი ექვს მატჩს გამოტოვებს.

მაგრამ ეს კალათბურთელი, შესაძლოა, უფრო მკაცრად დაისაჯოს. ჩხუბის დეტალები სამართალდამცავებმაც შეისწავლეს და ჰემილტონის ოლქის პროკურორმა **ჯო დეტერსმა** განაცხადა, რომ არ არის გამორიცხული, ჩხუბისთავები სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცენ.

პროკურატურა დაკითხავს კალათბურთელებს, მწვრთნელებსა და სხვა მოწმეებს და ამის შემდეგ მიიღებს გადაწყვეტილებას.

● ჩოგბურთი

# ესპანეთი უმწვრთნელოდ

დევისის თასის მოქმედ ჩემპიონს ესპანეთის ნაკრებს ახალი მწვრთნელი ეყოლება. თანამდებობა დატოვა **ალბერტ კოსტამ**. მან ეს გადაწყვეტილება ესპანეთის ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტთან **ხოსე ლუის ესკანსუელასთან** პირადი საუბრის შემდეგ მიიღო.

*„ნაკრების კაპიტნის პოსტზე სამი ფანტასტიკური წელი გავატარე და ახლა მორიგი გამოწვევა უნდა მივიღო“*, - ამბობს კოსტა გაზეთ AS-თან კომენტარში. ამიერიდან, 36 წლის სპეციალისტი ესპანეთის მამაკაცთა და ქალთა ნაკრებების და აგრეთვე, ქვეყნის ოლიმპიური გუნდის კოორდინატორი იქნება.

იმ სამი წლის განმავლობაში, რომელიც კოსტამ ესპანეთის ნაკრების კაპიტნის პოსტზე გაატარა, პირენეელებმა ორჯერ მოიგეს დევისის თასი, მათ შორის წელს, როცა ფინალში არგენტინას მოუგეს - 3:1.

ბუნებრივია, დღის წესრიგში დადგა ალბერტ კოსტას შემცვლელის საკითხი. ესპანეთის ნაკრების კაპიტნის პოსტზე ერთ-ერთ მთავარ პრეტენდენტად **კარლოს მოიას** განიხილავდნენ, მაგრამ როლან გაროსის ყოფილმა ჩემპიონმა უარი განაცხადა ნაკრების გაწვრთნაზე.

*„ახლა ჩინეთში მივფრინავ, მაგრამ სანამ იქამდე ჩავაღწევ, მინდა ვუპასუხო კითხვას, რომელსაც ბოლო დროს ხშირად მისვამდნენ. ვაცხადებ, რომ არ ვაპირებ ჩავიბარო დევისის თასზე ესპანეთის ნაკრები“*, - წერტილი დაუსვა ამ საკითხს კარლოს მოიამ.

ასე რომ, ახლა ნაკრების მწვრთნელის პოსტს **ალექს კორეჩას** უწინასწარმეტყველებენ.

■ ■ ■

სავარაუდოდ, მწვრთნელი შეიცვლება საფრანგეთის ნაკრებშიც. გუნდის ამჟამინდელმა დამრიგებელმა **გი ფორჟემ** განაცხადა, რომ მომავალი სეზონის დასრულების შემდეგ თანამდებობის დატოვება აქვს ჩაფიქრებული.

*„სავარაუდოდ, 2012 წლის შემდეგ აღარ ვიქნები საფრანგეთის ნაკრების კაპიტანი“*, - აცხადებს „ეკიპთან“ ინტერვიუში გი ფორჟე.

ეს სპეციალისტი საფრანგეთის ნაკრებს 2001 წლიდან ავარჯიშებს. მან სამჯერ გაიყვანა გუნდი დევისის თასის ფინალში და ერთხელ - 2001 წელს გამარჯვება მოაპოვებინა.

გი ფორჟეს სავარაუდო შემცვლელებად მოიაზრებიან **ანრი ლეკონტი** და **სედრიკ პიოლინი**.


ალბერტ კოსტა

ევროლიგა

# რეალმა პირველობა გაინაღდა

საკალათბურთო ევროლიგაზე პირველი ჯგუფური ეტაპის ბოლოსწინა - მეცხრე ტური დაიწყო.

გაიმართა ექვსი შეხვედრა, რომელთაგანაც განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა მატჩი B ჯგუფში. ლიდერები - ცსკა და „პანათინაიკოსი“ მოსკოვში პირველი ადგილისთვის ხვდებოდნენ ერთმანეთს. მოქმედ ჩემპიონ „პანათინაიკოსს“ მხოლოდ მოგება სჭირდებოდა იმისთვის, რომ შეენარჩუნებინა ჯგუფში ლიდერობისთვის ბრძოლის შანსი.

ბერძნებმა ეს ამოცანა ვერ შეასრულეს. მათ კარგად ჩაატარეს პირველი ტაიმი და შესვენებაზე ორქულიანი უპირატესობითაც გავიდნენ, მაგრამ მთლიანად ჩააგდეს მესამე მეოთხედი. ეს ათწუთიანი მონაკვეთი არმიელებმა 14 ქულით მოიგეს და შემდეგ ახლოს აღარ მიუშვეს მეტოქე. ცსკა-მ 91:75 გაიმარჯვა და გაინაღდა ჯგუფში პირველი ადგილი, ისევე როგორც, „პანათინაკოსს“ ვერავინ შეეცილება მეორე პოზიციას.

ამავე ჯგუფში დიდი ნაბიჯი გადადგა შემდეგ ეტაპზე გასასვლელად ესპანეთის „უნიკახამ“. მან უმნიშვნელოვანესი მატჩი მოიგო ზაგრებში და გაიმყარა მესამე პოზიცია.

ესპანელებს საკმაოდ იოლი გასეირნება გამოუვიდათ ხორვატიის დედაქალაქში. „უნიკახას“ მხოლოდ პირველ მეოთხედში გაუჭირდა, როცა ორი ქულით დათმო მატჩის საწყისი 10 წუთი. ამის შემდეგ მოედანზე სტუმრები დომინირებდნენ და მეთოდურად ზრდიდნენ თავიანთ უპირატესობას, რომელმაც საბოლოოდ, 15 ქულას მიაღწია - 82:67 „უნიკახას“ სასარგებლოდ.

თუ ამ ჯგუფში დარჩენილ ერთ შეხვედრაში გერმანიის „ბამბერგი“ „ჟალგირისს“ დაამარცხებს, „უნიკახას“ გარანტირებული ექნება მეორე ჯგუფურ ეტაპზე თამაში.

■ ■ ■

D ჯგუფში გაირკვა მეოთხე გუნდი, რომელიც მეორე ეტაპზე ითამაშებს. თურქეთის „გალათასარაი“ შეუერთდა „ბარსელონას“, „მონტეპასკისა“ და უნიქს-ს და აგრძელებს ბრძოლას ევროლიგაზე.

თურქებმა იოლად გადაჭრეს ჯგუფიდან გასვლის საკითხი, როცა შინ 21 ქულის სხვაობით დაამარცხეს სლოვენიის „ოლიმპია“, არადა, პირველი ტაიმის შემდეგ სხვაობა მხოლოდ ოთხი ქულა იყო, თუმცა ამას მოჰყვა მესამე მეოთხედში 20:9 გაქცევა და მატჩის ბედიც სწორედ აქ გადაწყდა - 80:59 „გალათასარაის“ სასარგებლოდ.

■ ■ ■

C ჯგუფში მეშვიდე გამარჯვებას მიაღწია და პირველი ადგილი გაინაღდა მადრიდის „რეალმა“. სამეფო კლუბს წესით და რიგით არ უნდა გასჭირვებოდა შინ „პარტიზანის“ დამარცხება და ასეც მოხდა. მადრიდელთა უპირატესობა პირველივე წუთებიდან გამოიკვეთა და უკვე საწყის მეოთხედში „რეალი“ 12 ქულით გაიჭრა წინ. ამას მეორე მეოთხედში კიდევ სამი ქულა დაემატა და დიდი შესვენებისთვის მასპინძლები 15 ქულას იგებდნენ.

„პარტიზანის“ მხრიდან თამაშში გარდატეხის შეტანის ყველა მცდელობა ამაო გამოდგა და სერბული კლუბი 83:101 დამარცხდა, თუმცა ეს გუნდი მეოთხე ადგილზეა და ბოლო ტურში მოგების შემთხვევაში გააგრძელებს ბრძოლას მეორე ჯგუფურ ეტაპზე.

■ ■ ■

A ჯგუფში, სადაც არც ერთ გუნდს არ აქვს გარანტირებული შემდეგ ეტაპზე თამაში, ერთი შეხვედრა გაიმართა. ესპანეთის „კახა ლაბორალმა“ იოლად დაამტკიცა ფავორიტის სტატუსი „ნანსისთან“ შეხვედრაში. ფრანგულ კლუბს აღარ ჰყავს NBA-ში დაბრუნებული **ნიკოლა ბატუმი** და შესაბამისად, ეს გუნდი ჯგუფის აუტსაიდერი გახდა.

„ნანსისთვის“ ეს შეხვედრა ნამდვილ კატასტროფად იქცა. პირველი სამი მეოთხედის შემდეგ „კახა ლაბორალი“ 41 ქულის სხვაობით იგებდა. მაგრამ მეოთხე მეოთხედში ესპანელებმა დაინდეს მეტოქე და ბოლო 10 წუთი ექვსი ქულის სხვაობით მოაგებინეს „ნანსის“, რითაც სხვაობა 35 ქულამდე გავიდა და „კახა ლაბორალმა“ 90:55 გაიმარჯვა.

ესპანური კლუბი მესამე ადგილზეა და თუ სასწაული არ მოხდა, მომავალ წელს მეორე ჯგუფურ ეტაპზე ითამაშებს. „ნანსიმ“ კი თითქმის დაკარგა ჯგუფიდან გასვლის შანსი.


ცსკა-პანათინაიკოსი

### A ჯგუფი

**კ. ლაბორალი-ნანსი 90:55**

22:11, 20:10, 29:9, 19:25

კ-ლ: ტელეტოვიჩი (22), ოლესონი (14), სან ემეტერიო (13+5 მოხსნა), ერტელი (11), ბიელიცა (10).

ნ: გრეგორი (15+5 მოხსნა), სილა (10).

| | მ | წ | +/- |
|---|---|---|---|
| 1. ფენერბაჰჩე | 5 | 3 | 30 |
| 2. კანტუ | 5 | 3 | 12 |
| 3. კ. ლაბორალი | 5 | 4 | 42 |
| 4. ოლიმპიაკოსი | 4 | 4 | -5 |
| 5. ბილბაო | 3 | 5 | 6 |
| 6. ნანსი | 3 | 6 | -85 |

### B ჯგუფი

**ცსკა-პანათინაიკოსი 91:75**

26:24, 21:25, 28:14, 16:12

ც: კრსტიჩი (17+12 მოხსნა), შვედი (16+5 პასი), გორდონი (12+4 პასი), შიშკაუსკასი (10).

პ: ვუიუკასი (17), სმიტი (11).

**ზაგრები-უნიკახა 67:82**

22:20, 17:25, 13:20, 15:17

ზ: სიმონი (16+7 მოხსნა), ჰეიტველტი (12+5 მოხსნა), კასუნი (8+6 მოხსნა).

უ: ფრილენდი (17+8 მოხსნა), ზორიჩი (16+8 მოხსნა), როდრიგესი (11), პერიჩი (10+4 პასი).

| | მ | წ | +/- |
|---|---|---|---|
| 1. ცსკა | 9 | 0 | 133 |
| 2. პანათინაიკოსი | 6 | 3 | 90 |
| 3. უნიკახა | 4 | 5 | -9 |
| 4. ბამბერგი | 3 | 5 | -2 |
| 5. ჟალგირისი | 2 | 6 | -74 |
| 6. ზაგრები | 2 | 7 | -138 |

### C ჯგუფი

**მილანი-შარლერუა 88:53**

23:18, 25:12, 17:16, 23:7

მ: რადოშევიჩი (17), ჰეირსტონი (15), ნიკოლასი (12+6 პასი), ბურუსისი (12+13 მოხსნა), კუკი (9+7 პასი).

შ: უელში (12), რიდიკი (12+5 მოხსნა), ჟადენი (11).

**რეალი-პარტიზანი 101:83**

27:15, 25:22, 24:19, 25:27

რ: კეროლი (22), მიროტიჩი (20+8 მოხსნა), რეიესი (15+7 მოხსნა), როდრიგესი (8+8 პასი).

პ: მაჩვანი (16), ლუჩიჩი (13), კატიჩი (12), ლოუ (11), მილოსავლევიჩი (10).

| | მ | წ | +/- |
|---|---|---|---|
| 1. რეალი | 7 | 2 | 97 |
| 2. ეფესი | 5 | 3 | 18 |
| 3. მაკაბი | 5 | 3 | 2 |
| 4. პარტიზანი | 4 | 5 | -29 |
| 5. მილანი | 3 | 6 | -2 |
| 6. შარლერუა | 2 | 7 | -86 |

### D ჯგუფი

**გალათასარაი-ოლიმპია 80:59**

18:16, 21:19, 20:9, 21:15

გ: ლაკოვიჩი (16), ალდემირი (11+5 მოხსნა), აშიქი (9+4 პასი), შიპი (8+8 მოხსნა).

ო: ტომპსონი (21+7 მოხსნა), როტბარტი (18+7 მოხსნა).

| | მ | წ | +/- |
|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 8 | 0 | 168 |
| 2. მონტეპასკი | 6 | 2 | 54 |
| 3. უნიქსი | 5 | 3 | 6 |
| 4. გალათასარაი | 4 | 5 | -13 |
| 5. პროკომი | 1 | 7 | -72 |
| 6. ოლიმპია | 1 | 8 | -143 |

● ამბები

მძლეოსნობა

## ბოლტმა გამოკითხვა წააგო

ლეგენდარულმა იამაიკელმა სპრინტერმა უსაინ ბოლტმა მიმდინარე წელი მარცხით დაასრულა. კერძოდ, იამაიკაში 2011 წლის სეზონის საუკეთესო მამაკაც მძლეოსნად არა ბოლტი, არამედ 21 წლის **იოჰან ბლეიკი** აღიარეს. ამ მძლეოსანმა ტეგუში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე 100-მეტრიანი დისტანცია მოიგო, შემდეგ კი 4x100 მეტრზე ესტაფეტაში იამაიკის ნაკრებს მსოფლიოს რეკორდის დამყარებაში დაეხმარა.

ქალებს შორის ქვეყნის საუკეთესო მძლეოსნის ტიტული 29 წლის **ვერონიკა კემპბელ-ბრაუნმა** დაიმსახურა, რომელმაც ტეგუში პირველად მოიგო მსოფლიოს ჩემპიონატის ოქრო 200 მეტრ დისტანციაზე. სულ კი ამ მორბენლის ანგარიშზე თანამეგობრობის თამაშებზე, მსოფლიოს ჩემპიონატებსა და ოლიმპიურ თამაშებზე ჯამში 17 მედალი მოდის. უფრო მეტი ჯილდო (28) მხოლოდ ლეგენდარულ **მერლინ ოტის** აქვს.

ოლიმპიზმი

## არმია ოლიმპიადის დასაცავად

ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტრომ გამოაცხადა, რომ 13.5 ათას ჯარისკაცს გამოყოფს 2012 წლის ოლიმპიადაზე უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის. ოფიციალური განცხადების თანახმად, ჯარისკაცები დავალებას უშუალოდ თამაშების დედაქალაქში შეასრულებენ, აგრეთვე იმ ქალაქებში, სადაც ცალკეული სტარტები გაიმართება.

უსაფრთხოების დაცვაში სამხედროების ჩართვა მას შემდეგ გადაწყდა, რაც ეჭვი გამოითქვა იმის თაობაზე, რომ 10 ათასი მცველი და 12 ათასი პოლიციელი საკმარისი არ იქნებოდა სპორტსმენებისა და ოლიმპიადის სტუმრების დასაცავად. დავამატებთ, რომ ოლიმპიადის ორგანიზატორებმა ნოემბერში ორჯერ გაზარდეს ბიუჯეტი სპორტული ობიექტების დაცვის მიმართულებით. ასე რომ, უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ჯამში მილიარდ ფუნტზე მეტი დაიხარჯება.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# ლიდერმა ზედიზედ მეორე წააგო


მინესოტა-ჩიკაგო

სამი მატჩით გაგრძელდა ჰოკეის ეროვნული ლიგის რეგულარული ჩემპიონატი. დასავლეთი კონფერენციის ლიდერები შეხვდნენ ერთმანეთს მინესოტაში. ადგილობრივმა კლუბმა წინადღეს „ვინიპეგთან" წააგო და რეგულარულში მის ლიდერობას საფრთხე შეექმნა, ასე რომ, „მინესოტას" უშუალო კონკურენტთან - „ჩიკაგოსთან" მატჩში მაქსიმალურად მონდომება მართებდა.

მაგრამ მასპინძლები მუდმივად მდევრის როლში იყვნენ. ჯერ 0:2 ჩამორჩნენ მეორე პერიოდში, მაგრამ ორი წუთის ინტერვალში აღადგინეს თანაფარდობა. მესამე პერიოდში ჩიკაგო კიდევ ერთხელ გავიდა წინ, როცა სეზონში მე-18 შაიბა გაიტანა ჯონათან ტეუვზმა, მაგრამ საფინალო სირენამდე ხუთი წუთით ადრე „მინესოტას" კაპიტანმა **მიკო კოივუმ** შეძლო ანგარიშის გათანაბრება და შეხვედრის ოვერტაიმში გადაყვანა.

დამატებით დროში ანგარიში არ შეცვლილა. ბულიტების სერიაში ორიდან ორი პენალტი გამოიყენეს „ჩიკაგოს" ლიდერებმა - ტეუვზმა და **პატრიკ კეინმა**, ხოლო სტუმართა მეკარემ **რეი ემერიმ** ორი ბულიტი მოიგერია და „ბლეკჰოქსმა" 4:3 მოიგო, რითაც ერთ ქულამდე შეამცირა სხვაობა „მინესოტასთან".

ორი დღის განმავლობაში ზედიზედ მეორე მატჩი მოიგო სტენლის თასის მფლობელმა „ბოსტონმა". „დათვები" სტუმრად გაუსწორდნენ „ოტავას" და ქულების რაოდენობით გაუთანაბრდნენ აღმოსავლეთის ლიდერ „ფილადელფიას".

„ოტავას" აკლდა რეგულარული ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერი **მილან მიხალეკი**, მაგრამ ამით „ბოსტონის" დაცვასა და მეკარე **ტიმ ტომასს** საქმე არ მოჰკლებია. ბოსტონელთა კარის დარაჯმა მორიგი ფანტასტიკური თამაში ჩაატარა და ჯამში 47 დარტყმა მოიგერია.

ტომასის დამაჯერებელი მოქმედება მის პარტნიორებსაც გადაედოთ და მათ პირველ პერიოდში დაწყებული საქმე მესამე პერიოდის სტარტზე დაასრულეს, როცა 2:1-ზე ერთი წუთის ინტერვალით ორი შაიბა გაიტანეს და ანგარიში 4:1 გახადეს. ტომასის ბრწყინვალე თამაშის ფონზე ამ უპირატესობის გაფლანგვა დაუჯერებელი ჩანდა. ასეც მოხდა - დარჩენილ დროში გუნდებმა მხოლოდ ქულები გაცვალეს და „ბოსტონმა" 5:2 მოიგო.

როგორც იქნა, მოიგო „ანაჰაიმმა", რომელიც წინადღეს წაგების შემდეგ ბოლო ადგილზე დაეშვა. „იხვები" საკუთარ მოედანზე გაუსწორდნენ „ფინიქსს" - 4:1. აღვნიშნავთ ნიკლას ჰაგმანის ორ შაიბას და ახალბედა როდ პეილის გოლს - ამ ჰოკეისტმა პირველი მატჩი ითამაშა „ანაჰაიმის" რიგებში.

| ოტავა-ბოსტონი | 2:5 |
|---|---|

0:1, 1:1, 1:3

**გოლები**: 0:1 პევერლი-6 (ფერენსი-8, კორვო-11), 1:1 ალფრედსონი-8 (სპეცა-22), 1:2 კ. კელი-12 (ბოიჩუკი-4, პევერლი-15), 1:3 პ. ბერჟერონი-6, 1:4 პეი-4 (შ. ტორნტონი-4, ფერენსი-9), 2:4 სპეცა-10 (კ. ფილიპსი-9, ალფრედსონი-10), 2:5 პეი-5 (პ. ბერჟერონი-18).

| მინესოტა-ჩიკაგო | 3:4 (ბ) |
|---|---|

0:0, 2:2, 1:1, 0:0

**გოლები**: 0:1 მარიან ჰოსა-13 (ტეუვზი-16, შარპი-16), 0:2 ფროლიკი-5 (კრუგერი-6, მეიერსი-3), 1:2 ბროძიაკი-11 (ნ. ჯონსონი-9), 2:2 კულენი-9 (კლატერბეკი-5, პეტერსი-2), 2:3 ტეუვზი-18 (სტალბერგი-10), 3:3 მ. კოივუ-8 (კლატერბეკი-6, სტოუნერი-2).

**ბულიტები გაიტანეს**: ტეუვზი (ჩიკაგო), პ. კეინი (ჩიკაგო).

| ანაჰაიმი-ფინიქსი | 4:1 |
|---|---|

1:0, 2:1, 1:0

**გოლები**: 1:0 პეილი-1 (მაკენაუერი-3, ვიშნოვსკი-4), 2:0 ჰაგმანი-3 (პერი-13, სელიანე-21), 2:1 ჰანჟალი-5 (რეი უიტნი-16, იენდლი-16 3:1 ჰაგმანი-4 (პერი-14, გეტცლაფი-17), 4:1 პალმიერი-1 (რაიანი-7, ბოშემენი-7).

## ხელბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები


საფრანგეთი-რუსეთი

# ორი სენსაცია

ბრაზილიაში ქალებს შორის ხელბურთში მსოფლიოს ჩემპიონატი მიმდინარეობს, სადაც მეოთხედფინალური მატჩები გაიმართა და მაყურებელმა ორი სენსაცია იხილა.

თავდაპირველად ტურნირს გამოეთიშა მოქმედი ჩემპიონი - რუსეთის ნაკრები, რომელიც ამ ეტაპამდე დაუმარცხებლად მივიდა.

რუსების მეტოქე საფრანგეთი იყო, რომელიც პირველად წინ მე-12 წუთზე გავიდა, როცა **სირაბა დემბელემ** ზუსტი დარტყმით დაასრულა შეტევა. რუსეთის ნაკრების მეკარის **ანა სედიოკინას** კარგი თამაში საფრანგეთს კომფორტული უპირატესობით წინ გასვლის საშუალებას არ აძლევდა, თუმცა მეორე ტაიმის მეშვიდე წუთზე **კამილ აილონმა** პირველად მატჩში დააფიქსირა სამბურთიანი უპირატესობა, ხოლო სედიოკინას ფანტასტიკური სეივების მიუხედავად, მატჩის დამთავრებამდე 15 წუთით ადრე ანგარიში გახდა 20:16 საფრანგეთის სასარგებლოდ.

ანგარიშში სხვაობა სწორედ სამ-ოთხ ბურთს შორის მერყეობდა, სანამ 56-ე წუთზე რუსმა **ემილია ტურეიმ** პენალტი არ გაიტანა და ანგარიში 22:24 არ გახადა. მსოფლიოს ჩემპიონებმა ფრანგების საპასუხო შეტევა მოიგერიეს და იქვე **პოლინა კუზნეცოვამ** მინიმუმამდე შეამცირა სხვაობა - 24:23 საფრანგეთის სასარგებლოდ.

ამ უკანასკნელის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ არ დაიბნა და გადამწყვეტი იერიში გოლით დაასრულა - თავი გამოიჩინა **კლოდინ მენდიმ**, რომელმაც საბოლოო წერტილი დაუსვა ამ მეოთხედფინალს - 25:23 საფრანგეთის სასარგებლოდ.

ნახევარფინალში ფრანგები დანიას შეხვდებიან, რომელმაც ანგოლას ნაკრებს სძლია.

აღსანიშნავია, რომ 2001 წლიდან მოყოლებული, მსოფლიოს ჩემპიონი მუდმივად რუსეთი ხდებოდა. გამონაკლისი იყო მხოლოდ 2003 წელი, როცა ჩემპიონობა სწორედ საფრანგეთმა მოიპოვა. ახლა, ამ გუნდს 8 წლის წინანდელი შედეგის გამეორების კარგი შანსი აქვს.

■ ■ ■

მეორე მოულოდნელი შედეგი იყო ესპანეთის ნაკრების მოგება ტურნირის მასპინძლის - ბრაზილიის წინააღმდეგ. რუსების მსგავსად, ბრაზილიის ნაკრებიც ექვსიდან ექვსი მოგებით შეხვდა ამ მატჩს. ტურნირის წინ ეს გუნდები ამხანაგურ მატჩში დაუპირისპირდნენ ერთმანეთს და მაშინ გამარჯვება ბრაზილიას დარჩა.

შეხვედრის დებიუტიდანაც ცხადად ჩანდა, რომ მატჩი ძალიან დაძაბული იქნებოდა. მეექვსე წუთზე ესპანელმა **ელიზაბეტ პინედომ** დაასრულა თავისი გუნდის გაქცევა და ევროპელები 6:1 დაწინაურდნენ.

მაგრამ მასპინძლებმა იქვე საპასუხო სპურტი მოაწყვეს - ბრაზილიას სულ რაღაც ხუთი წუთი დასჭირდა იმისთვის, რომ ანგარიში გაეთანაბრებინა - **დეონისე კავალიერომ** ზუსტი დარტყმით დაასრულა თავისიანების იერიში და მე-11 წუთისთვის ანგარიში თანაბარი იყო - 7:7.

მაგრამ მაინც, შესვენებაზე ლიდერის რანგში ესპანეთი გავიდა. სტუმრების გუნდი არ გატყდა ბრაზილიის ამ გაქცევის შემდეგ, მცირე ინიციატივა მოიპოვა და **კარმენ მარტინმა** ზუსტი გასროლით დააფიქსირა პირველი ტაიმის საბოლოო ანგარიში - 19:17 ესპანეთის სასარგებლოდ.

თუმცა ეს არ იყო ის უპირატესობა, რომელიც ესპანეთის ნაკრებს დამშვიდების საშუალებას მისცემდა. ეს დადასტურდა კიდეც 38-ე წუთზე, როცა **დანიელა პიედადემ** წინ გაიყვანა ბრაზილია.

ამის შემდეგ თამაში ქულა ქულაში მიდიოდა. 56-ე წუთისთვის დეონისე კავალიერომ თანაფარდობა აღადგინა - 25:25.

გუნდებმა თითო გოლი გაცვალეს და მატჩმა კულმინაციას ბოლო წუთზე მიაღწია - ესპანელმა პინედომ საფინალო სასტვენამდე 15 წამით ადრე გაიტანა გოლი, რომელმაც გამარჯვება მოუტანა სტუმრებს - 27:26.

დარჩენილ დროში **სილვია პინეირომ** სცადა თამაშის გადარჩენა, მაგრამ ჯარიმა ვერ გაიტანა და ესპანეთი ნახევარფინალში გავიდა, სადაც 16 დეკემბერს ნორვეგიის ნაკრებს შეხვდება, რომელმაც ხორვატია გამოსთიშა ბრძოლას.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ევროპის ლიგა** | |
| პაოკ-რუბინი | 1:1 |
| შემროკი-ტოტენჰემი | 0:4 |
| კოპენჰაგენი-სტანდარდი | 0:1 |
| ჰანოვერი-ვორსკლა | 3:1 |
| ჰაპოელი (თ-ა)-ლეგია | 2:0 |
| ეინდჰოვენი-რაპიდი (ბ) | 2:1 |
| ავსტრია-მალმიო | 2:0 |
| ალკმაარი-მეტალისტი | 1:1 |
| ბირმინგემი-მარიბორი | 1:0 |
| ბრიუგე-ბრაგა | 1:1 |
| ატლეტიკო-რენი | 3:1 |
| უდინეზე-სელტიკი | 1:1 |
| **მს. ჩემპიონატი** | |
| **კლუბები. 1/2 ფინალი** | |
| ალ სადი-ბარსელონა | 0:4 |
| **კოლუმბია** | |
| სანტა ფე-ონსე კალდასი | 1:2 |
| **[illegible]** | |
| ბაქუ-სუმგაითი | 1:0 |
| თურანი-გაბალა | 0:1 |

| კალათბურთი | |
|---|---|
| **ევროლიგა** | |
| **კაცები** | |
| უნიქსი-პროკომი | 68:41 |
| ფენერბაჰჩე-ბილბაო | 70:80 |
| ბამბერგი-ჟალგირისი | 68:82 |
| ოლიმპიაკოსი-კანტუ | 86:61 |
| მაკაბი-ეფესი | 96:57 |
| მონტეპასკი-ბარსელონა | 77:74 |
| **ქალები** | |
| დიორი-ბურჟი | 66:72 |

| ჰოკეი | |
|---|---|
| **ევროტური** | |
| რუსეთი-ფინეთი | 3:0 |
| ჩეხეთი-შვედეთი | 1:2 |

## TV პროგრამა

### 16 დეკემბერი. პარასკევი

#### GMG-ფეხბურთი

**10:00** არგენტინა. XIX ტურის მიმოხილვა.
**11:00** იტალიის შოუ.
**11:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**12:00** გადაცემა - საფეხბურთო ღამე.
**13:30** იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**14:00** იტალიის ჩემპიონატი. XV ტური. ჯენოა-ინტერი.
**16:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. XVII ტური. პსჟ-ბორდო.
**18:00** ინგლისის ჩემპიონატი. XV ტურის მიმოხილვა.
**19:00** ესპანეთის ჩემპიონატი. XVI ტური. ლევანტე-სევილია.
**21:00** საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
**22:30** იტალიის ჩემპიონატი. XVI ტურის წინ.
**23:00** ესპანეთის ჩემპიონატი. XVII ტურის წინ.
**23:30** გერმანიის ჩემპიონატი. XVII ტური. ბაიერნი-კიოლნი (LIVE).
**01:30** საფრანგეთის ჩემპიონატი. XVIII ტურის წინ.

#### GMG-სპორტი 1

**10:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ლეჩე-ლაციო.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. IX ტური. მონტეპასკი-ბარსელონა.
**14:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**14:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - მსოფლიო ტანვარჯიში.
**15:00** ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. ლილი-დიჟონი .
**17:00** რაგბი. ჰაინეკენის თასი. ჯგუფური ეტაპი. კლერმონი-ლეისტერი.
**18:45** სუპერკოლაჟი.
**19:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - WORLD OF FOOTBALL.
**19:30** სპორტ-NEWS.
**20:00** კალათბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. IX ტურის მიმოხილვა.
**21:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 2011 წლის ფინალური მატჩები. რაფაელ ნადალი-დავიდ ფერერი. ბარსელონა. ესპანეთი.
**23:30** რაგბი. ჰაინეკენის თასი. ჯგუფური ეტაპი. III ტურის მიმოხილვა.
**00:00** რაგბი. ჰაინეკენის თასი. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ოსპრეი-სარასენი (LIVE).

#### GMG-სპორტი 2

**10:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**10:45** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. შანხაი. ჩინეთი.
**12:30** სპორტ-NEWS.
**13:00** ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. სოშო-პსჟ.
**15:00** სპორტ-NEWS.
**15:30** საჩოგბურთო მიმოხილვა - მატჩ-პოინტი.
**16:00** რაგბი. ჰაინეკენის თასი. ჯგუფური ეტაპი. III ტურის მიმოხილვა.
**16:30** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**17:30** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-ვოლფსბურგი.
**19:30** რაგბი. ჰაინეკენის თასი. ჯგუფური ეტაპი. ბეთი-ლენსტერი.
**21:15** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. შანხაი. ჩინეთი.
**23:45** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**00:15** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - მსოფლიო ტანვარჯიში.

## ამბები

**ფორმულა 1**

### ფერარი ტესტებისთვის მზად იქნება

იტალიური საჯინიბოს „ფერარის" ხელმძღვანელობა ახალ ბოლიდს თებერვალში წარადგენს. მანქანა უკვე ზამთრის პირველი ტესტებისთვის იქნება მზად.

„სკუდერიაში" ამტკიცებენ, რომ ახალი ბოლიდი შესამჩნევად განსხვავებული იქნება იმისგან, რომლითაც „ფერარი" წლევანდელ სეზონში გამოვიდიოდა.

შეგახსენებთ, რომ ზამთრის პირველი ტესტები 7-9 თებერვალს ხერესში გაიმართება.

### ესპანური გუნდის ახალი მენეჯერი

ფორმულა 1-ის ყოფილი პილოტი **ლუის პერეს-სალა** ესპანური საჯინიბოს - HRT-ის ახალი ხელმძღვანელი გახდა, - იტყობინება ვებგვერდი autosport.com.

ეს პოსტი ვაკანტურია მას შემდეგ, რაც ორი დღის წინ HRT-ის ხელმძღვანელი პოსტი დატოვა **კოლინ კოლესმა**.

პერეს-სალას ფორმულა 1-ში ერთი წელი აქვს გატარებული - 1988-89 წლების სეზონში „მინარდის" ღირსებას იცავდა.

**მოტოსპორტი**

### არგენტინა ჩემპიონატში ბრუნდება

2013 წელს მოტოგრანპრის მსოფლიოს ჩემპიონატის კალენდარში არგენტინის გრან-პრი დაბრუნდება.

ვარაუდობენ, რომ ამ ეტაპის ორგანიზატორებთან სამწლიან კონტრაქტს გააფორმებენ და არგენტინის რბოლა 2015 წლის ბოლომდე დარჩება კალენდარში.

ეტაპი სანტიაგო-დელ-ესრეტოს პროვინციაში გაიმართება.

**რალი**

### სოლბერგი ფორდში გადავიდა

რალიში მსოფლიოს 2003 წლის ჩემპიონი პეტერ სოლბერგი მომავალ წელს „ფორდის" საქარხნო გუნდის მეორე პილოტი გახდება. 37 წლის ნორვეგიელმა ეს ადგილი მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონის, ფინელი **მიკო ჰირვონენის** „სიტროენში" გადასვლის შემდეგ მიიღო.

სოლბერგი, რომელიც დიდი ხანი „სუბარუს" რიგებში გამოდიოდა, სამი წლის წინ უმუშევარი დარჩა, რადგან იაპონურმა მარკამ მიატოვა ჩემპიონატი. მას შემდეგ ნორვეგიელი საკუთარი გუნდით გამოდიოდა. მართალია, ვერც ერთი ეტაპის მოგება ვერ შეძლო, მაგრამ 2010 წელს საერთო ჩათვლაში მესამე ადგილი დაიკავა.

„ფორდთან" სოლბერგის კონტრაქტი ერთწლიანია. მისი შტურმანი ბრიტანელი **კრის პატერსონი** იქნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

● კრივი


ანდრე უორდი

# სხარტი და სამაგალითო

მოგეხსენებათ, შაბათს, ატლანტიკ სიტის „ბორდუოქ ჰოლში“ ერთმანეთის პირისპირ სუპერსაშუალოწონოსნები - ამერიკელი **ანდრე უორდი** და ბრიტანელი **კარლ ფროჩი** წარდგებიან. უორდი WBA-ს ჩემპიონია, ფორჩი კი WBC-ის ქამარს ფლობს. ბრიტანელი 34 წლის გახლავთ. მისი სტატისტიკაა: 28 გამარჯვება (22 ნოკაუტით) და ერთი დამარცხება. 27 წლის ამერიკელს კი კარიერაში 24 ბრძოლა ჩაუტარებია და ყველა მოუგია, მათგან 13 ნოკაუტით.

უორდი და ფროჩი იმ შეჯიბრების ფინალისტები არიან, რომელსაც ტელეკომპანია „შოუთაიმი“ გერმანელი პრომოუტერის - **ვილფრედ ზაურლენდის** ფირმა „საურლენდ ივენთთან“ ერთად ატარებს და რომელსაც Super Six World Boxing Class ეწოდება. ტურნირის გამარჯვებულს გადაეცემა ჟურნალ „რინგის“, WBA-ს და WBC-ს ქამრები ანუ სუპერსაშუალო წონაში „ჩემპიონთა ჩემპიონად“ ცხადდება.

გუშინ, კარლ ფროჩის შესახებ გელაპარაკეთ და მოახლოებული ბრძოლისადმი მისი მოსაზრებები გაგაცანით, დღეს კი უორდის ვიდეოპრესკონფერენციის ამბავს გიამბობთ. ცნობისათვის - ანდრე უორდი თავს S.O.G-ს ანუ Son of God-ს (ქართულად „ღვთის შვილს“) უწოდებს.

ორიოდ სიტყვით ამერიკელი მოკრივის შესახებ: ის ბუნებამ განსაკუთრებული ღონით არ დააჯილდოვა, მაგრამ მეტოქეების ძლიერი დარტყმით გათიშვა მისი სტილი არც არის. მას ვინმეს ფიზიკური დაჩაგვრა არ სჭირდება, რადგან აქცენტს საზრიანობასა და სისხარტეზე აკეთებს. სპეციალისტები ამბობენ, რომ დღეს, ამ სტილის მოკრივეთა შორის ყველაზე დახვეწილი სწორედ უორდია - ის აკეთებს ზუსტად იმას და იმდენს, რაც კონკრეტული მეტოქის დასამარცხებლად არის საჭირო. Super Six World Boxing Class-ზე **არტურ აბრაჰამის, საკიო ბიკას, ალან გრინისა** და **მიკელ კესლერის** დამარცხებამ ფანებს კიდევ ერთხელ შეახსენა მისი დადებითი თვისებები.

*„შაბათს უდიდესი ბრძოლა მელის და ასეთი რანგის დაპირისპირებისთვის მოსამზადებლად ყველაფერი გავაკეთე* - თქვა უორდმა. - *ფიზიკურად საუცხოოდ ვარ მომზადებული. როდის უნდა შევჩერდე, დედამიწის ზურგზე ერთადერთმა ადამიანმა - ჩემმა მწვრთნელმა იცის. მან რომ არ გამაჩეროს და ჩემს ნებაზე მიმიშვას, რინგზე ხტუნვასა და გადაადგილებას წამითაც არ შევწყვეტ. ყველაფერი, რაც გეგმის მიხედვით უნდა გამეკეთებინა, გავაკეთე. მენტალურადაც მზად ვარ. ნებისმიერ წამს შემიძლია ავფეთქდე“.*

მიმომხილველებმა უორდის ბოლო სიტყვებზე გაამახვილეს ყურადღება. მან თქვა - ნებისმიერ წამს შემიძლია ავფეთქდეო, არადა იმპულსურობა მისი სტილი ნამდვილად არ არის. ის სხარტი, მაგრამ თანმიმდევრული მოკრივეა, რომელიც ჭკვიანურად, დაჟინებით მიიწევს გამარჯვებისკენ. პრესკონფერენციაზე სწორედ ამის შესახებ ჰკითხეს კიდეც. მან უპასუხა:

*„სტილის შეცვლას ნამდვილად არ ვაპირებ, ეს ჩემი მხრიდან დიდი შეცდომა იქნებოდა. მე ყოველთვის საკუთარი პრინციპების ერთგული დავრჩები. რაც ვარ, ის უნდა ვიყო. ვერ წარმოიდგენთ, რამდენი ადამიანი მოდის ჩემთან და მეუბნება, რომ ჩემი დაჟინება, სტილი, მეთოდურობა მოსწონს. ეს ის ხალხია, ვინც კრივთან კავშირში არ არის. ისინი უბრალო ფანები არიან. ერთმა ისიც კი მითხრა, რომ მე წესიერი ქცევისა და თავშეკავებულობის მაგალითი ვარ და სურს თავის ქალ-ვაჟს ჩემი ბრძოლები აყურებინოს“.*

ბრიტანელები კი დარწმუნებულები არიან, რომ ატლანტიკ სიტიში უორდის სასარგებლო და ფროჩის საწინააღმდეგო მსაჯობას ნახავენ. სწორედ ამაზე გაამახვილა ყურადღება **ამირ ხანმა**, რომელმაც გასულ შაბათს, ლაით-ველტერვეითში ჩემპიონის ტიტული დაკარგა და ახლა, ამერიკელ **ლემონტ პიტერსონთან** წაგებას მსაჯობას აბრალებს. შეგახსენებთ, რომ ხანისა და პიტერსონის ბრძოლაც ამერიკაში, კერძოდ პიტერსონის მშობლიურ ქალაქ ვაშინგტონში გაიმართა.

*„კარლს ნანახი ექნება, როგორ გამძარცვეს ერთი კვირის წინ და როგორც წამაგებინეს ბრძოლაში, რომელიც სინამდვილეში მოვიგე. უორდის დასამარცხებლად ერთადერთი გზა არსებობს: ის ახლოს არ უნდა მიიკარო და როგორც კი მომენტს უხელთებ, ნოკაუტში უნდა ჩააგდო. თუ საქმე ქულების დათვლაზე მიდგა, მსაჯები ამერიკელის მხარეს დაიჭერენ“.*

**ილია ბაბუნაშვილი**

● კალათბურთი. NBA. ახალი ამბები

# კრის პოლი კლიპერსში წავიდა

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ერთ-ერთი საუკეთესო გამთამაშებელი **კრის პოლი** "ნიუ ორლეანიდან" "ლოს ანჯელეს კლიპერსში" გადავიდა. გუნდებს შორის განხორციელებული ტრეიდის თანახმად, "ჰორნეტსი" პოლის სანაცვლოდ მცველ **ერიკ გორდონს**, ფორვარდ **ალ-ფარუქ ამინს**, ცენტრ **კრის კამანსა** და 2012 წლის დრაფტის პირველ რაუნდში არჩევანის უფლებას მიიღებს.

ამ მომენტისთვის "ნიუ ორლეანი" NBA-ის ეკუთვნის, ამიტომაც გარიგებას ასოციაციის კომისრის **დევიდ სტერნის** მხრიდან თანხმობა სჭირდებოდა. მან განაცხადა, რომ პოლის წასვლის შემდეგ "ჰორნეტსის" პერსპექტივები გაუმჯობესდა. ასეთივე აზრი გამოთქვა კლუბის გენერალურმა მენეჯერმა **დელ დემპსიმ**.

უფრო ადრე NBA-მ დაბლოკა 26 წლის გამთამაშებლის ტრეიდი "ლოს ანჯელეს ლეიკერსში". ამერიკული პრესა წერდა, რომ ეს გადაწყვეტილება, შესაძლოა, სხვა კლუბების მფლობელთა პოზიციას უკავშირდებოდა, რომლებმაც ჩათვალეს, რომ გარიგება ძალიან მომგებიანი იქნებოდა "ლეიკერსისთვის".

პოლი ოთხჯერ მონაწილეობდა "ყველა ვარსკვლავის მატჩში". 2010-11 წლების რეგულარულში მცველმა 80 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 15.8 ქულა, 9.9 შედეგიანი პასი და 4.6 მოხსნა დააგროვა. ამერიკის ნაკრების შემადგენლობაში პოლი მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი და პეკინის ოლიმპიადის გამარჯვებული გახდა.

გასულ სეზონში 22 წლის გორდონის სტატისტიკა 22.3 ქულას უდრიდა, 21 წლის ამინი საშუალოდ 5.6 ქულასა და 3.3 მოხსნას აგროვებდა, ხოლო 29 წლის კამანი 12.4 ქულითა და 7.0 მოხსნით გამოირჩა, თუმცა ტრავმის გამო რეგულარულში მხოლოდ 32 მატჩი ჩაატარა.

"კლიპერსი" მრავალი წელია ლიგის ერთ-ერთ უსუსტეს გუნდად მიიჩნევა. 1993 წლიდან მოყოლებული, კალიფორნიული კლუბი მხოლოდ ორჯერ (1996-97, 2005-06) გავიდა პლეიოფში. შარშან, "კლიპერსმა" დასავლეთ კონფერენციაში მე-13 ადგილი დაიკავა.

**გია თვალაბეიშვილი**

# ჩიკაგოშ რიპი გაიფორმა

შევსებაა აღმოსავლეთი კონფერენციის ერთ-ერთი ფავორიტის - "ჩიკაგო ბულზის" რიგებში. გასული სეზონის საუკეთესო მოთამაშეს **დერიკ როუზს** საჩემპიონო ტიტულის მოპოვებაში დაეხმარება "დეტროიტ პისტონზის" ყოფილი მოთამაშე, ცნობილი შემტევი მცველი **რიჩარდ „რიპ“ ჰემილტონი**.

მხარეები გარიგების დეტალებს არ ახმაურებენ, მიუხედავად ამისა, ერთ-ერთი წყაროს მეშვეობით ჟურნალისტებმა შეიტყვეს, რომ ჰემილტონმა "ჩიკაგოსთან" სამწლიანი და 15-მილიონიანი ხელშეკრულება გააფორმა.

მცველს NBA-ში დებიუტი 1999 წელს „ვაშინგტონის“ რიგებში ჰქონდა, 2002 წლიდან კი "დეტროიტში" თამაშობდა და ამ გუნდის რიგებში ერთხელ ჩემპიონიც გახდა (2003-04). ჰემილტონი სამჯერ თამაშობდა „ყველა ვარსკვლავის მატჩში“.

შარშან ჰემილტონმა რეგულარული ჩემპიონატის 55 მატჩში საშუალოდ 14.1 ქულა, 3.5 მოხსნა და 3.2 შედეგიანი პასი დააგროვა. „რიპს“ „დეტროიტთან“ 2013 წლის ბოლომდე ჰქონდა კონტრაქტი გაფორმებული, მაგრამ „პისტონზის“ ხელმძღვანელობამ ხელშეკრულების ნაადრევად გაუქმება გადაწყვიტა, რისთვისაც კალათბურთელს კონტრაქტით გათვალისწინებული 19 მილიონიდან 11 მილიონი გადაუხადა.

**გია თვალაბეიშვილი**


რიჩარდ ჰემილტონი




# დევისი უმუშევარი და ტრავმირებულია

უმუშევარი დარჩა ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო გამთამაშებელი **ბაირონ დევისი**. "კლივლენდ კავალიერზის" ხელმძღვანელობამ "გოლდენ სტეიტის" ყოფილი მცველის გაშვება გადაწყვიტა, რითაც შესამჩნევად განტვირთა სახელფასო ბიუჯეტი.

ბაირონ დევისის მაღალ სათამაშო დონეს თუ გავითვალისწინებთ, წესით ის დიდი ხანი უმუშევარი არ უნდა დარჩეს, მაგრამ აქ მეორე პრობლემა წარმოიშვა - დევისს ხერხემალთან დაკავშირებული პრობლემები შეექმნა, რის გამოც ვეტერან კალათბურთელს დაახლოებით 8-10 კვირის გამოტოვება მოუწევს. სავარაუდოდ, ბაირონს ოპერაციას გაუკეთებენ.

სანამ ეს ინფორმაცია გავრცელდებოდა, პრესაში წერდნენ დევისის მიმართ "ნიუ იორკისა" და "ლეიკერსის" დაინტერესების შესახებ - თუმცა ახლა ამ გუნდებმა, შესაძლოა, აღარ მოინდომონ ტრავმირებული კალათბურთელის აყვანა.

შარშან დევისმა 58 მატჩის ჩატარება მოასწრო და საშუალოდ 28.4 წუთში 13.1 ქულა და 6.7 შედეგიანი პასი დააგროვა.

**გია თვალაბეიშვილი**

# ორლანდო ჰოვარდით დაიწყებს

"ორლანდო მეჯიქის" ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა შეწყვიტოს მოლაპარაკებები თავისი ლიდერის **დუაიტ ჰოვარდის** სავარაუდო ტრეიდის თაობაზე. გუნდი ახალი სეზონის დაწყებას ლიგის საუკეთესო ცენტრთან ერთად აპირებს, შემდეგ კი ეცდება თავისი ლიდერის გუნდში დიდი ხნით დატოვებას.

ჰოვარდის ხელში ჩასაგდებად მთავარი კანდიდატი "ნიუ ჯერსი" იყო. ტრეიდის განხორციელებას თითქოს აღარაფერი აკლდა, მაგრამ ბოლო მომენტში მასზე "ორლანდოს" ხელმძღვანელობამ თქვა უარი. "ნეტსი" ჰოვარდში ცენტრ **ბრუკ ლოპესს** ცვლიდა და ზედ დრაფტის პირველ რაუნდში ხუთი არჩევანის უფლებას ამატებდა, რომელთაგანაც ოთხი "პორტლენდისთვის" იყო განკუთვნილი **ჯერალდ უოლასის** სანაცვლოდ.

და თუ მაინც "მეჯიქმა" ვერ შეძლო ჰოვარდის შენარჩუნება, მაშინ ამ გუნდს "ლეიკერსთან" ტრეიდი ურჩევნია, რადგან ამ შემთხვევაში ორ ძლიერ მაღალ კალათბურთელს - **პაუ გასოლსა** და **ენდრიუ ბინუმს** მიიღებს.

**გია თვალაბეიშვილი**

